საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geworld.ge

№24 (306)

1 - 7 ივლისი, 2015


# საქართველო და მსოფლიო


ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru




## «საქართველო სუვერენული ქვეყანაა თუ აშშ-ის «ნახევარშტატი»? 10

## «უცხოეთიდან მრჩევლის გამოგზავნა ნიშნავს, რომ საქართველოს სუვერენიტეტი შეზღუდულია» 5



„ქართველებმა ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სწორი პარტნიორები უნდა ავირჩიოთ და უსიტყვოდ და უაპელაციოდ არ შევასრულოთ ჩვენთვის მიუღებელი რეკომენდაციები“



მამა ვახტანგი:

## ქართველ კაცს ვერავინ დაარწმუნებს, რომ სოდომია, გარყვნილება და აღვირახსნილობა მისი ისტორიული არჩევანია 12



რიჩარდ ნორლანდი



იან კელი

## «ნორლანდს აეროპორტში პანღური უნდა მივაყოლო; ვინც ჩამოვა მის შემცვლელად, იმას კვერცხს ვესვრი!» 13

**2** ილია მეორემ აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დიდი შეცდომა უწოდა

**2** საქართველოს ახალი გუბერნატორი ჰყავს

**3** რუსეთის პატრიარქი: კათოლიკური სომხეთის შექმნა კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოს უდიდესი შეცდომა იყო

**8** «კიევური მაიდნის» საფრთხე ერევანში

**10** აშშ-თან ასოცირებული სახელმწიფო დეფოლტის პირასაა




## «გამარჯვებული სოდომისტების შეერთებული შტატები» 4

## «სოდომია – ვაშინგტონის დიადი გამარჯვება» 6

## «აგრესიული ჰომოსექსუალიზმი», ანუ დემოკრატიკა პირდაპირი გაგებით!» 7

## «თუ ერთსქესიანთა ქორწინებას დავაკანონებთ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავკარგავთ!» 11

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თბილისის აეროპორტს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა

**დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა.**

თბილისის საკრებულოში 30 ივნისს განიხილეს საკითხი თბილისის აეროპორტისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების შესახებ. სხდომაზე ამ საკითხს 30 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ერთმა კი თავი შეიკავა.






## საქართველოს პატრიარქმა აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დიდი შეცდომა უწოდა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას გამოეხმაურა და ბრძანა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები და სახელმწიფოები უკანონობას აკანონებენ.**

„მედიიდან ვიცით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება, ყველა შტატში იყოს დაშვებული ერთსქესიანთა ქორწინება. ეს დიდი შეცდომაა და ამას ამბობენ თვითონ ამერიკელები, სასულიერო პირები. ამას ვადასტურებთ ჩვენც და ვამბობთ, რომ ეს არის დიდი შეცდომა. სრული თავისუფლება რომ მისცე ადამიანს, მაშინ არ იქნებოდა საჭირო 10 მცნება, კანონები და წეს-ჩვეულებები. ამიტომ ჩვენ უნდა გავარჩიოთ, რა არის სასარგებლო ჩვენთვის. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები, სახელმწიფოები, უკანონობას აკანონებენ," — განაცხადა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ქართველმა ადამიანმა უნდა გაარჩიოს, სად არის კეთილი და ბოროტი და რა არის მისაღები და მიუღებელი.



## ირაკლი ღარიბაშვილი: დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისის ცენტრში უნდა დაბრუნდეს

**პრემიერმა გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სააკაშვილმა „ყოვლად უზნეო საქციელი" ჩაიდინა, როცა ძეგლს შეეხო.**

„დიახ, სააკაშვილმა ყოვლად უზნეო საქციელი ჩაიდინა, როცა ჩვენი უდიდესი და წმინდა მეფის ძეგლს შეეხო და, მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე, სხვაგან გადაიტანა. ვფიქრობ, რომ მერიამ და საკრებულომ დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრში დაბრუნების საკითხი უნდა განიხილონ, სპეციალისტები მოიწვიონ, საჯარო დისკუსია დაიწყონ და ამაში საზოგადოებაც ჩართონ", — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

# საქართველოს ახალი გუბერნატორი ჰყავს

**აშშ-ის სენატმა საქართველოში ახალ ელჩად იან კელი დაამტკიცა. საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იან კელი და მისი მეუღლე ფრანჩესკა თბილისში სექტემბერში ჩამოვლენ. რიჩარდ ნორლანდმა კი გასამგზავრებლად მზადება დაიწყო. „სადაც უნდა ვიყოთ, საქართველო და ქართველები მუდამ დარჩება მერისა და ჩემს გულებში", — განაცხადა საქართველოში აშშ-ის აწ უკვე ყოფილმა ელჩმა.**

## ირაკლი ღარიბაშვილს ანტიამერიკული განცხადება შეიძლება ძვირად დაუჯდეს

რიჩარდ ნორლანდის „თბილი" დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გასაკვირი არ არის, რადგან აშშ-ის ინტერესებს ისე ატარებდა საქართველოში, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა, მის მითითებებს ხომ უსიტყვოდ ასრულებდნენ ჩვენი ქვეყნის წინა და ამჟამინდელი ხელისუფლებები.

სწორედ ნორლანდის მეცადინეობითა და საქართველოს ხელისუფლების უსიტყვო თანხმობით შეიქმნა საქართველოში **ბიოლოგიური ლაბორატორია** და **ნატოს საწვრთნელი ცენტრი**, რომლის გამოც ტერიტორიადაკარგული ქვეყანა რუსული რაკეტების სამიზნე გახდა. შემდეგ **დამნაშავე „ნაციონალებს"**, რომლებიც 9 წლის განმავლობაში სისხლს სწოვდნენ და აწამებდნენ ქართველებს, ებრძოდნენ ქართულ ტრადიციებს, ფასეულობებს, მართლმადიდებლობას და ანგრევდნენ ქვეყანას, კალთა გადააფარა და ახალ ხელისუფლებას უბრძანა, მათთვის ხელი არ ეხლოთ. სწორედ ნორლანდის ინიციატივით დაიწყო **ე.წ. კოაბიტაციის პროცესი**, რომელმაც დამნაშავე „ნაციონალები" ისე გაათამამა, რომ ახლა ხელისუფლების სათავეში დაბრუნებაზე აქვთ პრეტენზია; სწორედ ნორლანდის ელჩობის პერიოდში წამოყო თავი **ლგბტ თემმა,** რომელიც ყველაფერ ქართულთან ერთად ქრისტიანულ ღირებულებებსაც ებრძვის, იმ ღირებულებებს, რომლებმაც კაცობრიობა აქამდე მოიყვანა; სწორედ ნორლანდის ელჩობის პერიოდში მიიღო საქართველოს პარლამენტმა ე.წ. **ანტიდისკრიმინაციული** კანონი, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების საფუძველია. ბოლოს კი, წასვლამდე რამდენიმე თვით ადრე, ნორლანდის მითითებით თუ ბრძანებით, საქართველოს **თავდაცვის მინისტრად რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი** დანიშნეს.

სექტემბრიდან საქართველოს აშშ-ის ახალი ელჩი, უფრო ზუსტად, ახალი გუბერნატორი ეყოლება, რომელიც განაგრძობს წინამორბედის დაწყებულ საქმეს — ბრძოლას ყოველივე ქართულის წინააღმდეგ, თავისი გუბერნიის — საქართველოს გადაქცევას აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების პლაცდარმად, ქართული კულტურისა და განათლების ნგრევას და ამის გაკეთებას შეეცდება არა საკუთარი, არამედ საქართველოს ხელისუფლების ხელით, თუმცა ჯერ თვითონ საქართველოს ხელისუფლების სრულად დანგრევა






**საქართველოს პრემიერმინისტრის — ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება — «ყველაფერს ვილონებ, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა», ეწინააღმდეგება აშშ-ის მიზნებს, რომლის პირველი პირები ცდილობენ, მსოფლიოს ყველა ქვეყანას თავს მოახვიონ სოდომია და ქრისტიანობის საწინააღმდეგო ღირებულებები**

და ქვეყნის სათავეში ამერიკელთა ახალი ძაღლიშვილების მოყვანა მოუწევს რესპუბლიკელების ან ალასანიას სახით, რადგან **საქართველოს პრემიერმინისტრის — ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება — „ყველაფერს ვილონებ, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა", ეწინააღმდეგება აშშ-ის მიზნებს, რომლის პირველი პირები ცდილობენ, მსოფლიოს ყველა ქვეყანას თავს მოახვიონ სოდომია და ქრისტიანობის საწინააღმდეგო ღირებულებები.**

საქართველოს პრემიერმინისტრის ანტიამერიკული, ქართული ტრადიციების, მართლმადიდებლობის დასაცავად მიმართული განცხადება შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

აქ პარალელის გავლება შეიძლება ირაკლი ღარიბაშვილსა და საქართველოს პირველ პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** შორის, რომელიც ქართველი ერის გადარჩენის ერთადერთ გზად ქრისტიანული და ქართული ეროვნული ღირებულებების დაცვას მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა (უფროსმა),** ზვიად გამსახურდია მდინარების საწინააღმდეგოდ მიცურავსო, თუმცა პასუხიც საკადრისი მიიღო: „მდინარებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან".

აი, რას ამბობდა ზვიად გამსახურდია წლების წინათ, როდესაც ჯერ კიდევ ასე მძლავრი არ იყო დასავლური პროპაგანდა ქრისტიანული ღირებულებებისა და ქართული ტრადიციების წინააღმდეგ:

**„ქართველთა ეროვნული ცნობიერება უნდა აღდგეს ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებითა და პროპაგანდით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაციით, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა...**

ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს. ის, ვინც „გაინგლისელდება", „გაგერმანელდება", „გაფრანგდება", „გარუსდება", „გაამერიკელდება", ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი ან ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს. თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიოს მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობების წაშლა და გათქვეფა".

რაც შეეხება მაიკლ კელის, მას მდიდარი გამოცდილება აქვს. 2007-2009 წლებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ხელმძღვანელობდა ევროპისა და ევრაზიის საქმეების ბიუროს რუსულ მიმართულებას. მანამდე კი კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლობდა რუსულ ენას. მუშაობდა რუსეთსა და სსრკ-ის სხვა ყოფილ რესპუბლიკებში, აგრეთვე, ყოფილ იუგოსლავიაში (ამ ქვეყანას რაც დამართეს ამერიკელებმა, როგორ დაბომბეს და მიწასთან გაასწორეს სერბეთის მართლმადიდებლური ტაძრები, ყველასთვის ცნობილია).

როგორც ჩანს, სექტემბრიდან საქართველოს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება და ვნახოთ, **თუ გაუძლებს ქართველი საზოგადოება ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური ღირებულებების ექსპანსიას.**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

## გარდაიცვალა ევგენი პრიმაკოვი

**26 ივნისს მოსკოვში 85 წლისა გარდაიცვალა ევგენი პრიმაკოვი, რუსეთის ყოფილი პრემიერმინისტრი, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. პრიმაკოვმა მოასწრო, ემუშავა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორად, საგარეო საქმეთა მინისტრად, აგრეთვე, პრემიერმინისტრად ბორის ელცინის პრეზიდენტობისას.**

ევგენი პრიმაკოვი 1929 წელს კიევში დაიბადა, საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებიც თბილისში გაატარა და ბევრ ქართველთან აკავშირებდა ხანგძლივი მეგობრობა; ამბობდა კიდეც, თბილისელი ვარო. შემდეგ ისწავლა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, დაამთავრა ასპირანტურა მოსკოვის უნივერსიტეტში. მოგვიანებით იმუშავა არაბულ ქვეყნებში გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტად; იყო სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელიც — მართავდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტს.



## უკრაინის ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგი ვარშავაში

27 ივნისს პოლონეთის დედაქალაქში უკრაინის ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგი გაიმართა. აქციის ორგანიზატორებმა — პოლონეთის ანტიფაშისტურმა საზოგადოებამ და ანტიბანდერულმა ორგანიზაცია „უკრაინის კომიტეტმა“ თავისი მომხრეები უკრაინის საელჩოს შენობასთან შეკრიბა. აქციის მონაწილეები უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ და განაცხადეს, რომ უკრაინაში ფაშიზმმა აღორძინება დაიწყო, ევროპარლამენტი კი ფაშისტური კიევის მხარდაჭერას განაგრძობს.




ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### ჩეხეთის პრეზიდენტი:

# აშშ-მა შეიძლება ისე დაასრულოს, როგორც ბრონტოზავრებმა

**„ამერიკელებს აკლიათ თვითანალიზის უნარი. მოხარული ვარ, რომ ეს გამოვლინდა თუნდაც 50 წლის შემდეგ პრეზიდენტ ობამას მიერ კუბისთვის სანქციების გაუქმებაში, თუმცა წარმოებული პოლიტიკის ინტელიგენტურობა იზომება ინტერვალის (დროის) სიგრძით, რომლის მიმდინარეობისას სწორდება დაშვებული შეცდომები. და თუ თქვენი რეაქცია ვლინდება 50 წლის შემდეგ, მაშინ შეიძლება დაასრულოთ ისე, როგორც ბრონტოზავრებმა, რომლებიც გადაშენდნენ მანამდე, ვიდრე შეძლებდნენ თავიანთი ევოლუციური შეცდომების გამოსწორებას“, — განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა გაზეთ Parlamentni Listy-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**



**«საკუთარი პოლიტიკური სისტემის ექსპორტირება განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაში დასრულდება იმით, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში ეს ქვეყანა თქვენს მტრად გადაიქცევა, წარმატების შემთხვევაში კი — დაინგრევა. მიტინგის მიმდინარეობისას ერთმა მოქალაქემ ცნება «აგრესორი» საინტერესოდ განმარტა: «აგრესორი არის ის, ვინც რომელიმე ქვეყანას თავს დაესხმება აშშ-ზე ადრე»**

ჩეხეთის პრეზიდენტის აზრით, „აშშ-მა შეცდომების წყება დაუშვა, როდესაც შეიჭრა ერაყში, სადაც, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, იყო მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც შემდეგ ვერსად იპოვეს. გარდა ამისა, აშშ შეცდა, როდესაც დაბომბა სირიის სამთავრობო ჯარების პოზიციები იმ გულუბრყვილო იმედით, რომ ამ სამთავრობო ძალების წინააღმდეგ დემოკრატიული ძალები იბრძოდნენ. ასე ხდებოდა მანამდე, ვიდრე ამერიკელები გააცნობიერებდნენ, რომ იქ მოქმედებდა „ალ ქაიდა“, რომლის წინააღმდეგაც ავღანეთში იბრძოდნენ“.

მილოშ ზემანმა გააკრიტიკა ვაშინგტონის ძალისხმევა — გაიტანოს თავისი პოლიტიკური სისტემის მოდელი უცხოეთში.

„ეს სრული უაზრობაა. **საკუთარი პოლიტიკური სისტემის ექსპორტირება განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაში დასრულდება იმით, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში ეს ქვეყანა თქვენს მტრად გადაიქცევა, წარმატების შემთხვევაში კი — დაინგრევა. მიტინგის მიმდინარეობისას ერთმა მოქალაქემ ცნება „აგრესორი“ საინტერესოდ განმარტა: „აგრესორი არის ის, ვინც რომელიმე ქვეყანას თავს დაესხმება აშშ-ზე ადრე“**, — აღნიშნა ჩეხეთის პრეზიდენტმა, რომელიც ამჟამად მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს“ მიიჩნევს და მოითხოვს, სასწრაფოდ შეიქმნას საერთაშორისო ძალა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ საბრძოლველად.



## რუსეთის პატრიარქი: კათოლიკური სომხეთის შექმნა კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოს უდიდესი შეცდომა იყო

**მოსკოვისა დ სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ მიტროპოლიტთა ყურადღება მიაპყრო სომხეთში მიმდინარე მოვლენებს, სადაც უკვე რამდენიმე დღეა მასობრივი აქციები გრძელდება და ანტირუსული განწყობა ძლიერდება.**

„სომხეთის სახელმწიფოს წარმოქმნის მომენტიდან ვიცავთ ამ ხალხს, რომელიც მართლმადიდებლობასაც კი არ აღიარებს. სომხეთს ყოველთვის მივიჩნევდით რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად და მრავალ კათოლიკე სომეხს თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით. ასეთ რთულ გეოგრაფიაში რუსეთის გარეშე ის ვერასოდეს იარსებებდა. ახლა მიაქციეთ ყურადღება, როგორ მკვეთრად იცვლება ყველაფერი და როგორ მიეცემა სიკეთე დავიწყებას ასე სასტიკად და ურცხვად. თურმე ჩვენ დავჩაგრეთ სომხები! როცა ოსმანთა იმპერიაში იტანჯებოდნენ, კათოლიკურ სამყაროს ისინი არც გახსენებია. ახლა სომხები იმ ქვეყნების დაკრულზე ცეკვავენ, რომლებმაც ოდესღაც ბედის ანაბარად მიატოვეს. სომეხ ხალხს არ უნდა დაავიწყდეს ჭეშმარიტება, რომ რუსეთის გარეშე, მათი მხსნელი რუსი მართლმადიდებელი ჯარისკაცების სისხლით მორწყულ ამ მიწაზე ვერ იარსებებდნენ“.



# ავსტრია ევროკავშირიდან გასასვლელად ემზადება

**ავსტრიაში დაიწყო ხელმოწერების შეგროვება პეტიციაზე, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს ნაციონალური რეფერენდუმი ევროკავშირიდან ავსტრიის გასვლის შესახებ.**

რეფერენდუმის ჩატარების ინიციატორია 66 წლის მთარგმნელი **ინგე რაუშერი.** მისმა სამოქალაქო ორგანიზაციამ — Heimat & Umwelf-მა („სამშობლო და გარემომცველი პირობები“) უკვე შეაგროვა 10 ათასზე მეტი ხელმოწერა, მაგრამ, პარლამენტმა რომ განიხილოს, პეტიციას 100 ათასი კაცი უნდა აწერდეს ხელს.

საინტერესოა, რომ ინგე რაუშერის მხარდამჭერი გაერთიანება კატეგორიული წინააღმდეგია ტრანსნაციონალური სავაჭრო-საინვესტიციო პარტნიორობისა ევროპასა და აშშ-ს შორის. მათი აზრით, **ასეთი თანამშრომლობა დაანგრევს ავსტრიისა და ევროპის სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობას, რადგან ბევრია მაგალითი იმისა, რომ ეკონომიკური ვითარება იმ ქვეყანაში, რომელმაც საქმე დაიჭირა აშშ-თან, საგრძნობლად გაუარესდა. ბოლო ხანს კი ევროკავშირი იქცა აშშ-ის მსხვერპლად.**

როგორც ჩანს, ავსტრიელები მშვენივრად აცნობიერებენ, რა ძლიერ გავლენას ახდენს მათზე აშშ. ფაქტია, რომ ამჟამად საკანონმდებლო აქტების 80%-ს ქვეყანას თავს ახვევს ბრიუსელი (ევროპარლამენტი), ხოლო, ბრიუსელი აშშ-ის მითითებებს უსიტყვოდ რომ ასრულებს, ეს საიდუმლო არავისთვის აღარ არის.

# გერმანელმა დეპუტატმა უკრაინაში კონფლიქტის ესკალაციაზე პასუხისმგებლობა ევროკავშირს დააკისრა

**სარა ვაგენკნეხტმა — გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატმა — ტელეარხ Russia Todey-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინაში კონფლიქტის ესკალაციაზე პასუხისმგებლობა ევროკავშირს უნდა დაეკისროს.**



„ევროპა პასუხისმგებელია უკრაინაში კონფლიქტის ესკალაციაზე. ადამიანები საომარი მოქმედების ზონიდან გაქცევას ცდილობენ და ამ მხრივ არაფრით განსხვავდებიან სირიელი ლტოლვილებისგან. უკრაინაში მოქმედებენ მოხალისეთა ბატალიონები, რომლებიც ნეონაცისტებისგან შედგება. ისინი საჯაროდ ატარებენ ფაშისტურ სიმბოლოებს. ასეთი ქვეყნიდან მეც გამიჩნდებოდა გაქცევის სურვილი. **მიუღებლად მიმაჩნია, რომ უკრაინის მთავრობა მხარს უჭერს ასეთ ნაციონალისტურ სტრუქტურებს და არა — მოქალაქეებს, რომლებსაც გასაგები მიზეზების გამო, ეშინიათ და ქვეყნიდან გაქცევას ცდილობენ, თუმცა ევროკავშირი უარს ეუბნება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე.**

ევროპელი პოლიტიკოსები აშშ-ის ძლიერ წნეხში არიან მოქცეული. ყველასთვის ნათელია, რომ **აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მიზანი გერმანიასა და რუსეთს, ევროპასა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაფუჭებაა და ნატო არის ინსტრუმენტი, რომელსაც აშშ თავისი ინტერესების დასაცავად და გავლენის სფეროს გასაფართოებლად იყენებს“,** — განაცხადა სარა ვაგენკნერტმა და დასძინა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ნატოს მძიმე შეიარაღების განლაგება სახიფათო და უპასუხისმგებლო პოლიტიკაა, რომელსაც რუსეთის იძულებითი საპასუხო ნაბიჯები მოჰყვება, ეს ცეცხლთან თამაშია!



## აშშ-ის ყოფილი ელჩი: მხოლოდ სულელს შეუძლია, თავს დაესხას რუსეთს!

**აშშ-ის ყოფილმა ელჩმა რუსეთში — მაიკლ მაკფოლმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლება ტყუილუბრალოდ არის შეშფოთებული რუსეთის საზღვრებთან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შეიარაღების განლაგების გამო.**

„ნატო არასოდეს შეიჭრება რუსეთის ტერიტორიაზე, მხოლოდ სულელს შეუძლია, თავს დაესხას რუსეთს“, — დაწერა მაკფოლმა სოციალურ ქსელში.

პენტაგონის შეფმა ეშტონ კარტერმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ აშშ-ს განზრახული აქვს, მძიმე სამხედრო ტექნიკა განალაგოს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპასა და გერმანიაში. რუსეთის საზღვრებთან უნდა გადაისროლონ 250 ტანკი, თვითმავალი ჰაუბიცები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები, აგრეთვე, 5 ათასი სამხედრო მოსამსახურე“.

ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მგლის თავზე სახარების კითხვას აზრი რომ არ აქვს, ჩვენმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ, თორემ სახარებაში (ძველ აღთქმაში, ყურანში) ყველაფერი უკვე ნათქვამია და ისიც ცნობილია, რომ, სოდომ-გომორის გარდა, მსოფლიო ისტორიაში ყველა იმპერია სწორედ ამ ცოდვის დაშვების შემდეგ გადაშენდა.**

# გამარჯვებული სოდომისტების შეერთებული შტატები

**ირლანდიაში ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების შემდეგ რომის პაპმა აღშფოთება ვერ დაფარა, მაგრამ სულ მალე მას კიდევ ერთი შოკი ელოდა წინ: მსოფლიოში დემოკრატიის გამავრცელებელმა შეერთებულმა შტატებმა უმაღლესი სასამართლოს პირით აღიარა, რომ სოდომია 50-ვე შტატში ლეგალიზებულია. მეტიც, სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით, აშშ იბრძოლებს ერთსქესიანთა ქორწინების მსოფლიოში დასაკანონებლად. თუ დღემდე შეერთებული შტატები დემოკრატიის ექსპორტს ეწეოდა სხვა ქვეყნებში, ახლა სოდომიის ექსპორტს ჰკიდებს ხელს.**



ბარაკ ობამა აღფრთოვანებული გამოვიდა უმაღლესი სასამართლოს შენობის წინ და ერთსქესიან წყვილებს მიულოცა: „დღეს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა თანასწორობის ჩვენ მარშში. ერთსქესიან წყვილებს ახლა ისეთივე უფლება აქვთ, იქორწინონ, როგორც სხვა ნებისმიერს!"

თავის დროზე ქალთან (და არა მამაკაცთან) „არასანქცირებული" სექსის გამო საქვეყნოდ გამოჭენებულმა ყოფილმა პრეზიდენტმა **ბილ კლინტონმა** კი მარგალიტებად დაყარა: „ამ კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯით ამერიკა განაგრძობს მოგზაურობას სრულყოფილი კავშირისკენ". მისი იმჟამად მოტყუებული მეუღლე, ახლა კი დემოკრატების პრეზიდენტობის კანდიდატი **ჰილარი კლინტონი** ამბობს, რომ სიამაყით ზეიმობს ისტორიულ გამარჯვებას (თითქოს „ისლამური სახელმწიფო" დაემარცხებინოთ). **ეს „გამარჯვება" იმავე ოპერეტიდანაა, რომელშიც სააკაშვილმა „რუსეთზე გამარჯვება აზეიმა რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილ ხალხს. ასეა – როცა ვერც ერთ ომს ვერ მოიგებ, ხელოვნური „გამარჯვებები" უნდა გამოიგონო და ხალხს შეაჩეჩო, თუმცა ხალხს კი არა, თვით რესპუბლიკურ პარტიასაც (ჩვენსას არა — ამერიკულს) კი არ გახარებია აშშ-ის მორიგი „გამარჯვება".**

ლუიზიანის რესპუბლიკელმა გუბერნატორმა **ბობი ჯინდლმა** პირდაპირ განაცხადა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის კავშირი ღვთის შექმნილია და მიწიერ სასამართლოს მისი გაუქმება არ ხელეწიფება. პენსილვანიის ყოფილმა სენატორმა **რიკ სანტორუმმა** ხაზგასმით მიუთითა, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საზოგადოების ფუძემდებლური ერთეულის გადახედვას წარმოადგენს და დროა, უბრალო ხალხმა გამოთქვას აზრი. **სანტორუმის აზრით, გეისაზოგადოების სიხარულს ამერიკის მამა-ფუძემდებლები არ გაიზიარებდნენ.**

ცნობილმა რადიოწამყვანმა და ერთსქესიანი ქორწინების პრინციპულმა მოწინააღმდეგემ **ბრაიან ფიშერმა** ეს გადაწყვეტილება, მორალური თვალსაზრისით, 2001 წლის 11 სექტემბერს შეადარა: **„სიწმინდისა და ჭეშმარიტების ტყუპი კოშკები დღეს მორალურმა ჯიჰადისტებმა ააფეთქეს".**

როგორც ყოველთვის, იაპონიამ არასტანდარტული პასუხი გასცა ქორწინების მიმართ ასეთ ლიოალურ დამოკიდებულებას და ტოკიოში პირველი საქორწინო რიტუალი გაიმართა... რობოტებს შორის. ანდროიდი იუკირინი რობოტ ფროისს გაჰყვა ცოლად. პატარძალს თეთრი კაბა ეცვა, სიძის წითელი თავი და ქრომის უამრავი პრიალა დეტალი კი მეხანძრის ასოციაციას აღძრავდა. ცერემონიას უამრავი ადამიანი და რობოტი ესწრებოდა. ერთსქესიანი წყვილების დასწრების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა **იაპონელების გამჭვირვალე მინიშნება სრულიად გასაგებია: თვით რობოტებიც კი ქალ-ვაჟი არიან.**

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **მანანა კობახიძე** „ფეისბუქში" გამოეხმაურა ამერიკული დემოკრატიის „გამარჯვებას":

**„სულ რომ მარტონი დავრჩეთ ამ დედამიწაზე, ყველა ჩვენმა მეგობარმა, პარტნიორმა თუ მოკავშირემ რომ ზურგი გვაქციოს, მე მაინც ვიტყვი, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება დიდი შეცდომაა, ხელისუფლების მხრიდან დაშვებული შეცდომა, თორემ სხვა დანარჩენ კატეგორიებზე, როგორიცაა ზნეობა, მორალი და ა.შ., ჩემზე უფრო ზნეობრივები და ღირსეულები ილაპარაკებენ, მე მხოლოდ სახელმწიფოზე ვამბობ, კანონმდებლებზე... დღეს ლამის ერთიანად გაცისარტყელდა facebook-ი , ტაში შემოკრეს ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო; რა ვქნა, თუ მე ვერ შევუერთდი ამ „სიხარულს", მაპატიეთ, ვიცი, გამკიცხავთ ზოგიერთი, კრიტიკას არ დაიშურებთ, შეიძლება ქარ-ცეცხლშიც გამატაროთ, მაგრამ, ალბათ, აზრის თავისუფლება ის უფლებაა, რომელიც მაინც მრჩება, როგორც საჯარო პირს. თქვენი ნებაა, მაკრიტიკეთ, ოღონდ ადამიანების სიძულვილს, შეუწყნარებლობას, დისკრიმინაციას, რაც მთავარია, რუსეთუმეობას და ამის მსგავსებს ნუ დამაბრალებთ"!**

არადა, საინტერესოა, **პოლიტიკური მოგების რა მარჟით იხელმძღვანელეს ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, როცა 70 ათას სოდომისტ წყვილს გაუწიეს ანგარიში და არა მილიონობით ამერიკელს, რომლებიც ამ ყველაფერს ეწინააღმდეგებიან!** აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ეს „ისტორიული" გადაწყვეტილება ერთი ხმის უპირატესობით მიიღო — ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ. დღეს იმ შტატებში, რომლებშიც ერთსქესიანთა ქორწინება აკრძალული იყო, 70 ათასი წყვილი ცხოვრობს, რომლებსაც თავიანთი ურთიერთობის დაკანონება სურთ. ასეთი შტატი კი ამ „ისტორიულ" გადაწყვეტილებამდე 14 იყო დარჩენილი.

**ირაკლი ღარიბაშვილმა** სწორედ ის თქვა, რასაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (ეროვნებისა და აღმსარებლობის მიუხედავად) ფიქრობს:

**„რაზე დგას ქართული სახელმწიფო? – ჩვენს სარწმუნოებაზე, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა და ოჯახის ინსტიტუტზე, რომელსაც თანამედროვე, ძლიერი საქართველო უნდა დაეფუძნოს. ოჯახს მეორე ტაძარს უწოდებენ და მწამს, რომ სწორედ ოჯახია ყველანაირი სიკეთის საწინდარი. ამდენად, მე, როგორც პრემიერმინისტრი და როგორც საქართველოს მოქალაქე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება და ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა! დღეს მსოფლიოში ყველა სახელმწიფო ამ საკითხს თავისებურად წყვეტს, ჩვენ კი ვთვლით, რომ საქართველოში ეს საკითხი ასე უნდა მოგვარდეს."** — ეს თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა და „რატომღაც" გაანაწყენა **ეკა გიგაური** და კიდევ ერთი ორი "ლატენტური უფლებადამცველი".

აშშ-ში კი ქრისტიანული კონფესიების 50 ათასი ლიდერი გამოვიდა უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ. **„ჩვენ, როგორც ქრისტიანი მოქალაქეები, გავერთიანდით და განზე ვერ გავდგებით, როცა ოჯახის ინსტიტუტის განადგურება მიმდინარეობს ქვეყანაში, რომელიც გვიყვარს",** — აცხადებენ ისინი.

ევანგელისტთა ლიდერმა **ფრანკლინ გრემმა**, რომელსაც ყველაზე გავლენიან იერარქად მიიჩნევენ, „ფეისბუქში" დაწერა: **„დღეს უზენაესმა სასამართლომ ამერიკის შეერთებული შტატების 50-ვე შტატში დააკანონა ერთსქესიანთა ქორწინება. მიუხედავად უზენაესი სასამართლოს პატივისცემისა, ეს არ განსაზღვრავს ქორწინებას, რადგანაც იგი არაა უფლებამოსილი ქორწინების ხელახლა განსაზღვრაში. ქორწინება შეიქმნა მის მიერ, ვინც შექმნა ქალი და კაცი და მისი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება რაიმე განხილვას ან ცვლილებას, ადამიანის მიერ შექმნილი სასამართლოს მიერ. ვლოცულობ, რომ ღმერთმა დაინდოს ამერიკა თავისი სამსჯავროსგან, თუმცა ჩვენი, როგორც ერის, ქმედებები, მას ამისათვის სულ უფრო ნაკლებ მიზეზს უტოვებს".**

ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** გეების ცნობილ უფლებადამცველებთან ერთად დიდი ბრიტანეთის, შვედეთის, დანიისა და ისლანდიის ელჩების თანდასწრებით განაცხადა, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას დავალებით აშშ-ის დიპლომატიურმა სამსახურმა ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიოში გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების უფლებების დაცვას.

**„მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა"**, — განუცხადა ბაიდენმა სტუმრებს და დაამატა, რომ სწორედ სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვა არის ცივილიზებული ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანი და ის უნდა იდგეს ეროვნულ კულტურასა და სოციალურ ტრადიციებზე მაღლა.

**„გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ნაკადს, მათი მოწინააღმდეგეები კი მარგინალები არიან. თქვენ უმრავლესობა ხართ; ისინი კი, სხვები — ველურები! ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის გამო!"** — გააფრთხილა ისინი ბაიდენმა.

ერთსქესიანთა პირველი ქორწინება ნიდერლანდებში 2001 წელს გაიმართა. სულ რაღაც, 14 წელი დასჭირდა, რომ მისი ლეგალიზება აშშ-შიც შესაძლებელი ყოფილიყო. ერთი კვირის წინათ იტალიის დედაქალაქში, სხვადასხვა შეფასებით, 300 ათასიდან მილიონ ადამიანამდე გამოვიდა ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის წინააღმდეგ. სწორედ ამას ისახავს მიზნად იტალიის პრემიერმინისტრი **მატეო რენცი.** მან პარლამენტში „სამოქალაქო კავშირების შესახებ" კანონპროექტი წარადგინა და უკვე ივლისის ბოლომდე მის დამტკიცებას აპირებს.

ამ საკითხის ლობირება მიმდინარეობს ყველა ქვეყანაში, მიუხედავად ხალხის აზრისა. **ცოტა ხნის წინათ აშშ-ში ხნიერ ფლორისტ ქალბატონს სასამართლოში უჩივლა გეიწყვილმა იმის გამო, რომ მან მათი საქორწინო ცერემონიის ყვავილებით მორთვაზე უარი განაცხადა, რადგან ეს მის რელიგიურ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. გეები მას მხოლოდ მორალურ ზიანზე კი არ ედავებიან, მის ბიზნესსა და ქონებას მოითხოვენ საკომპენსაციოდ. არ არის გამორიცხული, ცოტა ხანში ახირებული ჰომოსექსუალისთვის სექსზე უარის თქმაც დაისაჯოს; ესეც ხომ ერთგვარი დისკრიმინაციაა!**

ვისაც ჰგონია, რომ ეს ყველაფერი წყნარად ჩაივლის, მწარედ ცდება. **ინფორმაცია „ტაბურეტკების" თემის მოყვარულთათვის:**

**„სან-ფრანცისკოში, ქალაქის ცენტრში, ერთსქესიანთა მხარდასაჭერ აქციაზე სროლების შედეგად 64 წლის მამაკაცი დაიჭრა. დემონსტრანტებმა აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების მხარდასაჭერი მიტინგი გამართეს, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიაზე ორი დღის წინათ ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება განახორციელა.**

**ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც დემონსტრანტებს სასამართლოს გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეთა ჯგუფი დაუპირისპირდა. ურთიერთშელაპარაკება მალევე გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში და ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დაიწყო. შედეგად დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაკავებულია რამდენიმე ადამიანი".**

**სტამბოლში გეიპარადის ჩატარების მსურველები პოლიციამ პლასტიკის ტყვიებითა და წყლის ჭავლით დაშალა. ლონდონში პოლიცია დუმილით აკვირდებოდა მსვლელობას, რომელიც ჯონ კერის განცხადების მხარდასაჭერად გაიმართა.** მონაწილეთა ნაწილს საბჭოთა დროშები ეკავა, ხოლო „მშვიდობისმოყვარე" მოცეკვავეები რუსეთის პრეზიდენტს მიმსგავსებულ პერსონაჟს ესროდნენ. ღონისძიების მონაწილეთა განცხადებით, „რუსეთი თავისუფლების, დემოკრატიისა და ლგბტ მოძრაობის მთავარი მტერია".

ამ ყველაფრის შემყურეს, არ გტოვებს განცდა, რომ სამყარო შეიშალა. ასეთი „თავისუფლებისა და დემოკრატიის" ფონზე არ უნდა გვიკვირდეს, რომ პუტინის რეიტინგი, მხოლოდ რუსეთში კი არა, დასავლეთშიც განუხრელად იზრდება.

**ის, რომ აშშ გააძლიერებს ზეწოლას თავის ვასალებზე, უკვე საჯაროდ არის ნათქვამი. ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, შეძლებენ თუ არა ქართველი პოლიტიკოსები ხალხის პოზიციის დაცვას თუ ლგბტ-თა ჭკუით იცხოვრებენ? მით უფრო, რომ სოდომიის დამკანონებელი ამერიკელი პოლიტიკოსები ნახსენებ პერსონაჟზე ჭკვიანები ნამდვილად არ არიან და არც ის ესმით, რომ ქარის დამთესავი ქარიშხალს მოიმკის.**

**მგლის თავზე სახარების კითხვას აზრი რომ არ აქვს, ჩვენმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ, თორემ სახარებაში (ძველ აღთქმაში, ყურანში) ყველაფერი უკვე ნათქვამია და ისიც ცნობილია, რომ, სოდომ-გომორის გარდა, მსოფლიო ისტორიაში ყველა იმპერია სწორედ ამ ცოდვის დაშვების შემდეგ გადაშენდა.**

**თამარ დავითულიანი**

**„ქართული ოცნება“ თავისი რიგების გაძლიერებას არ ცდილობს, არც სტრუქტურულად და არც პერსონალიებით. ხელისუფლება მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის ხარჯზე ძლიერდება. რესპუბლიკელები მკვეთრად პროდასავლური ძალა არიან და ყოველგვარ დასავლურს უაპელაციოდ იღებენ“.**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*თამარ კიკნაძე:*

# უცხოეთიდან მრჩევლის გამოგზავნა ნიშნავს, რომ საქართველოს სუვერენიტეტი შეზღუდულია

**გასული კვირის ყველა ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების ცნობამ გადაფარა, თუმცა ჩვენი ინტერესის სფეროში მაინც მოხვდა სიახლე: ადმინისტრაციის პრესსამსახურმა საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოწვევითა და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის წარდგინებით, საქართველოს მთავრობის სპეციალურ მრჩევლად ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საკითხებში მაიკლ ო'ბოილი დანიშნა. ჩვენი ყურადღება, აგრეთვე, მიიპყრო „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ რუსეთის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, პროვინციის დაარსებამ. კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**



მაიკლ ო'ბოილი

**— „ისლამურმა სახელმწიფომ“ ჩრდილოეთ კავკასიაში ვილაიეთი დააარსა. ზოგი ქართველი პოლიტოლოგი ამბობს, რომ ეს საქართველოს საფრთხეს არ შეუქმნის...**

— ე.წ ისლამური სახელმწიფოს ქმედებები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა და დიდი საფრთხის წინაშე აყენებს მსოფლიოს. ის ანადგურებს კაცობრიობის მიერ შექმნილ უნიკალურ ძეგლებსა და ცდილობს ისტორიული მეხსიერების წაშლას. აღნიშულ სახელმწიფოში უკვე 5-6 მილიონი მოსახლეა. დღეს „ისლამურ სახელმწიფოს“ სახელმწიფოებრივი ნიშნებიც აქვს თავისი მმართველობით, სტრუქტურებით და უკვე საკუთარი ფულის მოჭრაზეც არის საუბარი, თანაც დაპყრობილ ტერიტორიაზე 5-6 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. დასავლური ლიბერალიზმის კრიზის ფონზე, „ისლამური სახელმწიფო“ ბევრი ახალგაზრდისთვის არის მომხიბვლელი; იქ ჩადიან ადამიანები ევროპიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან... ახლახან საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა, რომელიც ამ ორგანიზაციის რიგებში იბრძოდა.

საერთაშორისო თანამეგობრობა საკმარისად კონსოლიდირებული არ არის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ საჰაერო დარტყმები სასურველ შედეგს არ იძლევა და მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება. სამაგიეროდ, ამ დარტყმებისას იბომბება სირიის ტერიტორიაც, „ისლამური სახელმწიფო“ ნავთობს დაბალ ფასად შავ ბაზარზე ყიდის, მსოფლიოს დახურულ აუქციონებზე იყიდება კულტურის უნიკალური შედევრები. ეტყობა, ამ ორგანიზაციას გარკვეული ფუნქცია აქვს შესასრულებელი და მისი არსებობა ხელს აძლევთ გარკვეულ ძალებს.

**— „ისლამური სახელმწიფო“ — ჩრდილოეთ კავკასიაში, ნატოს საწვრთნელი ცენტრები — საქართველოში... შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთმა განაცხადოს — თავს ვიცავო და მართლაც, გადაწყვიტოს იარაღით თავის დაცვა ამ ყველაფრისგან... დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ?**

— საფრთხე ნამდვილად დიდია. „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მიზანი, ჩემი აზრით, პოლიტიკური რუკის შეცვლაც არის. **რაც შეეხება საქართველოში საწვრთნელი ცენტრის განთავსებას, რუსეთი ამ ნაბიჯს მტრულ აქციად განიხილავს, ამიტომ მას რეაქცია აუცილებლად ექნება.**

საერთოდ, დღევანდელი მსოფლიო წესრიგის ძირითადი საკითხი დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაა, თუმცა ევროპაში განწყობა სხვადასხვანაირია. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა თვით ევროპასაც სერიოზულად დაარტყა, ამიტომ ზოგმა ევროპულმა ქვეყანამ რუსეთთან კავშირი მაინც შეინარჩუნა. ეს კარგად გამოჩნდა პეტერბურგის სამიტზე, სადაც საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციები იყო ჩასული, მათ შორის, ეკონომიკური ჯგუფები, პოლიტიკოსები და სხვ. **ასეთი შეხვედრები იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის გარეშე პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები ვერ წყდება, მათ შორის, „ისლამური სახელმწიფოს“ პრობლემაც. რუსეთის ხელისუფლებამ კი სირიის დახმარების გადაწყვეტილება მიიღო.**

**ვინ იბრძვის „ისლამურ სახელმწიფოში“? — ამერიკის მიერ მხარდაჭერილი ისლამისტები, რომლებიც სირიაში, ერაყსა და ლიბიაში იბრძოდნენ, ამიტომ ამ პროცესებში რუსეთის ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია.**

**— ვინ შეიძლება იყოს ჩვენი მფარველი ამ მეტად მძიმე ვითარებაში? ვის შეუძლია, „ისლამური სახელმწიფოსგან“ მომდინარე საფრთხე აგვარიდოს? ზოგი ქართველი პოლიტიკოსი თვლის, რომ ამის გაკეთება რუსეთს შეუძლია, ხოლო ზოგი ამბობს, რომ „ისლამური სახელმწიფო“ რუსეთის შექმნილია.**

— არა მგონია, „ისლამური სახელმწიფო“ რუსეთის შექმნილი იყოს, რადგან უკვე გითხარით, რომ ამ „სახელმწიფოში“ ის ადამიანები არიან, რომლებიც ლიბიაში, სირიასა და ერაყში იბრძოდნენ და ამერიკისა და დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. საგულისხმოა, რომ ლიბია, სირია და ერაყი სეკულარული სახელმწიფოები იყო და ეს ისლამისტური ჯგუფები მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ. ახლო აღმოსავლეთში ეს სამი სახელმწიფო, ასე თუ ისე, მშვიდობას ინარჩუნებდა და რეგიონიც უფრო სტაბილური და მშვიდობიანი იყო. დღეს კი ეს რეგიონი ტერორიზმის ყველაზე ცხელი ადგილია.

**ამერიკას განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს, იგი სხვა კონტინენტზეა, ამიტომ აქ მიმდინარე პროცესები მას პირდაპირ არ ეხება, თუმცა მისი ინტერესების სფეროშია. ისინი ანგლო-საქსური პოლიტიკის კარგი გამგრძელებლები არიან. მათ შექმნეს ევროატლანტიკური სტრუქტურები და პროცესებს იმ პრინციპებით წარმართავენ, რომლითაც თავის დროზე ინგლისი. აშშ ახალი ტიპის მსოფლიო იმპერიაა და ამაზე ამ ქვეყნის პოლიტიკოსები დაუფარავად საუბრობენ.**

**— ამერიკამ ორმოცდაათივე შტატში ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა. როგორ მიიღებს ამ ფაქტს მართლმადიდებელი საბერძნეთი, რომელიც მწვავე ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას?**

— ევროპის პოლიტიკური ელიტისთვის ამერიკელთა ეს გადაწყვეტილება მისაღებია, მაგრამ იმავე საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ მილიონიანი აქცია გაიმართა; წინააღმდეგობაა გერმანიაში, თურქეთში, იტალიაში და სხვ. რაც შეეხება საბერძნეთს, იქ რთული პროცესები ვითარდება და მათი შედეგები დიდწილად განსაზღვრავს მსოფლიოს მომავალს.

დღეს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება დასავლეთის პოლიტიკური ელიტის პრიორიტეტია. ამაზე ახლახან განცხადებები გააკეთეს ობამამ, კერიმ, ბაიდენმა. ზოგიერთი ქართველი ექსპერტი აცხადებს, რომ ეს ახალი ცივილიზაციისა და ეპოქის დასაბამია და თუ ამას შევეგუეთ, სრულიად ახალი ცივილიზაციის ჩამოყალიბების მონაწილენი გავხდებით.

დღეს დიდძალი ფული იდება ე.წ. ტრანსჰუმანიზმის განვითარებაში, რაც ხელოვნური ადამიანის შექმნას გულისხმობს და ეს მხოლოდ მდიდარ ადამიანებს ხელეწიფებათ. **ერთქესიანთა ქორწინების ძირითადი მიზანი ადამიანთა გამრავლებაზე კონტროლის მოპოვებაა.** ტრანსჰუმანიზმი, ფაქტობრივად, ღმერთთან შეჯიბრებას ნიშნავს და, როგორც სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი **ფრენსის ფუკუიამა** ამბობს, **„ადამიანის ღმერთთან შეჭიდება ძალიან ცუდად დამთავრდება“.**

დღეს დასავლური ლიბერალური აზროვნება კრიზისშია და ადამიანის განუხრელი თავისუფლება ადამიანთა მოდგმის თვითლიკვიდაციას უწყობს ხელს.

**— ქალბატონო თამარ, ერთსქესიანთა ქორწინების მომხრეები საქართველოშიც გამოჩნდებიან, მით უმეტეს, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, მსოფლიომ უნდა მიიღოს ეს კანონიო. საქართველოს პრემიერმა, თავის მხრივ, განაცხადა — საქართველოს კონსტიტუციაში აუცილებლად შევა მუხლი, რომლითაც მკვეთრად იქნება გამოხატული, რომ ოჯახი მხოლოდ კაცისა და ქალის ერთობააო. შეძლებს ღარიბაშვილი კონსტიტუციაში ამ მუხლის შეტანას?**

**«მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგია და ღარიბაშვილი მათ აზრს გამოხატავს, მაგრამ ის ძლიერი წნეხის ქვეშ აღმოჩნდება. პრემიერის მხრიდან ამ განცხადების გაკეთება დიდი ვაჟკაცობა და სითამამე იყო, რადგან დასავლეთი მას ჰომოფობიაში დასდებს ბრალს, თუმცა არჩევნების წინ მას დივიდენდებს შესძენს»**

— ჩემი აზრით, **მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგია და ღარიბაშვილი მათ აზრს გამოხატავს, მაგრამ ის ძლიერი წნეხის ქვეშ აღმოჩნდება. პრემიერის მხრიდან ამ განცხადების გაკეთება დიდი ვაჟკაცობა და სითამამე იყო, რადგან დასავლეთი მას ჰომოფობიაში დასდებს ბრალს, თუმცა არჩევნების წინ მას დივიდენდებს შესძენს.** ვნახოთ, როგორ გაუმკლავდება იგი ამ სიტუაციას.

**— ღარიბაშვილის განცხადება ევროპასა და ამერიკას არ მოეწონება, შესაძლოა, ზურგიც კი შეაქციონ. ვის უნდა შეაფაროს თავი? ის არაბებთან მეგობრობს, ინვესტიციებსაც მათგან ელოდება...**

— დასავლეთიც არ არის ერთფეროვანი. ამერიკაშიც რესპუბლიკელებმა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გამოხატეს ერთსქესიანთა ქორწინების მიმართ, ჩვენი პოლიტიკის არსიც მის დივერსიფიცირებაში მდგომარეობს, **ქართველებმა ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სწორი პარტნიორები უნდა ავირჩიოთ და უსიტყვოდ და უაპელაციოდ არ შევასრულოთ ჩვენთვის მიუღებელი რეკომენდაციები. ეს კი დიდ ერუდიციას, სითამამეს, პოლიტიკურ ალღოს, თავის შეწუხებას მოითხოვს. დღეს ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას არ უნდა ემსახურებოდეს.** ვისაც ქვეყნის კეთილდღეობა უნდა, ის ყოველდღიურად უნდა სჩადიოდეს სამოქალაქო გმირობას, რისკავდეს. საქართველო მძიმე სიტუაციაშია და ამიტომ დღეს ხელისუფლებაში გმირები უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიზისიდან ვერ გამოვალთ. ამ მხრივ **ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას მივესალმები, მაგრამ მას უნდა ჰყავდეს გუნდი, რომელთან ერთადაც პრობლემის მოგვარებას მოახერხებს. „ქართული ოცნება“ თავისი რიგების გაძლერებას არ ცდილობს, არც სტრუქტურულად და არც პერსონალიებით. ხელისუფლება მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის ხარჯზე ძლიერდება. რესპუბლიკელები მკვეთრად პროდასავლური ძალა არიან და ყოველგვარ დასავლურს, უაპელაციოდ იღებენ.**

**— ერთსქესიანთა ქორწინება რომ დაკანონდეს, ეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს უფრო არ დაგვაშორებს?**

— აფხაზები და ოსები ერთსქესიანთა ქორწინებას არ მიიღებენ და არც ჩვენ უნდა დავაკანონოთ. **საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა და ასეთ ქორწინებებს ჩვენი ეკლესია უარყოფითად აფასებს. სწორედ ამით არის განპირობებული შეტევები ჩვენს პატრიარქსა და ეკლესიაზე. დემოგრაფიულად კი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ.**

**— პრემიერ ღარიბაშვილს ევროსაბჭოდან მრჩეველი გამოუგზავნეს, თანაც, ადამიანის უფლებათა დამცველი. ეს კარგია თუ ცუდი?**

— დღეს ქვეყნების სუვერენიტეტის დონე სულ უფრო მცირდება. **უცხოეთიდან მრჩევლის გამოგზავნა ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი შეზღუდულია.** საქართველომ ევროასოცირებას მოაწერა ხელი და ეს ჩვენი ხელისუფლების არჩევანი იყო. მაგრამ ევროკავშირი პრობლემების წინაშე დგას და მის ერთიანობასაც საფრთხე ემუქრება. როგორც „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ჩანს, ზოგიერთი ევროპული ქვეყანაც უწყობს ამას ხელს. საერთოდ, ჩვენ მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდში ვიმყოფებით. პოლიტიკური თვალსაზისით, ეს საინტერესო პროცესია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან მძიმედ აისახება ადამიანების ცხოვრებაზე.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველმა ერმა თვითონ განსაჯოს, რა სჯობს — გაპედერასტებულ ამერიკელ დემოტრაკებთან ეფემერული სტრატეგიული მოკავშირეობა და უეჭველი გადაგვარება, გახლისტება, საქართველოს კიდევ უფრო დაშლა-დაქუცმაცება თუ რუსეთის მფარველობის ქვეშ ევრაზიულ სივრცეში სამშობლოს, მართლმადიდებლობის, ღირსების შენარჩუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პერსპექტივა.**

# სოდომია — ვაშინგტონის დიადი გამარჯვება

**აშშ თუ რუსეთი? — არც აშშ, არც რუსეთი! — მსგავსი განცხადებები ხშირად გვსმენია პოლიტიკოსთა მხრიდან, რაც, უკეთეს შემთხვევაში, უცოდინარობის ბრალია, ხოლო უარესში — ურაპატრიოტიზმის, უსინდისო პოპულიზმის.**
**აშშ თუ რუსეთი? — ამ დილემაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. რაც შეეხება თეზისს „არც აშშ და არც რუსეთი!“, უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსი ფუფუნების უფლება საქართველოს, სულ რაღაც, 120 წლის განმავლობაში (დავით აღმაშენებლიდან, ვიდრე თამარ მეფემდე) ჰქონდა, როდესაც აქეთ მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერიის და იქით მუსლიმან ბარბაროსთათვის ჭკუის უკითხავად წარვმართავდით საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას. ეს ოქროს ხანა მალე დასრულდა და, თუ თითო-ოროლა ეპიზოდურ გამონათებას არ ჩავთვლით, ფიზიკური გადარჩენისთვის ვიბრძოდით ხან სპარსეთის, ხან არაბ სარკინოზთა, ხან თურქ-სელჯუკთა თუ სხვა გადამთიელი ბარბაროსების წინააღმდეგ.**




ეს ვრცელი ისტორიული ექსკურსი იმისთვის დამჭირდა, რომ ყველას შევახსენო: დღესაც ბრძოლაა გაჩაღებული აგრესიულ ლიბერალიზმად წოდებულ ნეოტროცკიზმთან, ისტორიულად ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა, რადგან **ამ ბრძოლის შედეგით გადაწყდება – ვიარსებებთ თუ არა, როგორც ერი, თუ ზნეობამორღვეულთა გლობალურ ნახირში გავერევით.**

აგრესიული ნეოლიბერალიზმი დაფუძნებულია ხუთ არაზე: **არა — სამშობლო, არა — ეროვნება, არა — ღმერთი, არა — ოჯახი და არა — სქესი!..**

ეს თეზისები გასული საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა კავშირშიც ინერგებოდა იმ პერიოდის ლიბერალების მიერ **ლევ ტროცკის** მეთაურობით და ამიტომ თანამედროვე ლიბერალებს ნეოტროცკისტებადაც მოიხსენიებენ...

20-ანი წლების ტროცკისტების თარეშს სამანი „სისხლისმსმელმა“ სტალინის გენიამ დაუდო!

სწორედ **სტალინის მმართველობის პერიოდში განახლდა ლენინ-ტროცკის მიერ დახურულ ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება, რუსეთის ეკლესიას დაუბრუნდა პატრიარქის ინსტიტუტი, საქართველოს ეკლესიას — ავტოკეფალია, ღვთითბოძებული შინაარსი დაიბრუნა სამშობლოს ცნებამ, საბჭოთა მოქალაქეთა პასპორტებში გაჩნდა ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, ოჯახის ინსტიტუტი გამოცხადდა საბჭოთა წყობის (გნებავთ — რეჟიმის) ქვაკუთხედად, ხოლო მამათმავლობა — სისხლის სამართლის დანაშაულად.**

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, განსაკუთრებით ამ ომში გამარჯვების მთავარი შემოქმედის, გენერალისიმუს სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო დასავლეთმა (წაიკითხე — აშშ) ე.წ. ცივი ომი საბჭოეთის წინააღმდეგ, რაც მათი გავლენის აგენტის — **გორბაჩოვის** მეცადინეობით საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა.

ამ ომის იდეოლოგია ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვას ემყარებოდა, რომელიც გულისხმობდა, პირველ რიგში, სიტყვის, პრესის, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების, საჯარო შეკრებების თავისუფლებას და ა.შ.

**დასავლეთის რადიოსადგურების მიერ გადმოყრილი ეს პროპაგანდისტული საკენკი სწორედ ჩემმა თაობამ აკენკა და სწორედ ჩემი თაობის ხელით დაანგრიეს, როგორც დღევანდელი გადასახედიდან გამოჩნდა, სოციალურად ყველაზე სამართლიანი ზესახელმწიფო, რომლის სამართალმემკვიდრე ეკონომიკურად განადგურებული, დემორალიზებული რუსეთი გახდა.**

ბოლო 20 წლის განმავლობაში მრავალი დამცირება, აბუჩად აგდება გადაიტანა ელცინის დროს გაძარცვულ-გაფარჩაკებულმა რუსეთმა და, როდესაც ამერიკას რუსეთის თემა „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ დახურული ეგონა, როგორც არა ერთხელ ყოფილა რუსეთის ისტორიაში, რუსეთი სასწაულებრივ, ფენიქსივით აღდგა და ამ სასწაულის შემოქმედი არის ვლადიმერ პუტინი.

დღეს კი ისტორია ჩვენ თვალწინ მეორდება:

ისევ ადამიანის უფლებების კომუფლაჟით ამერიკული „დემოკრტიის ექპორტი“ ე.წ. ფერადი რევოლუციების მეშვეობით ჯერ იუგოსლავიაში, შემდეგ — საქართველოსა და უკრაინაში, მერე — ე.წ. არაბული გაზაფხული და შედეგად „ისლამური სახელმწიფო“, დაშლილ-დაქუცმაცებული იუგოსლავია, უკრაინა, საქართველო...

**ადამიანის იმ უფლებებს შორის, რომელთაც აშშ საბჭოეთში „იცავდა“ და ამ უფლებებს შორის, რომელთა დაცვასაც აშშ ახლა რუსეთში ცდილობს, განსხვავება არის ის, რომ დღეს ე.წ. ადამიანის უფლებებში, უპირველესად, ლგბტ თემის უფლებები, ანუ საჯდომის თავისუფლება — დემოტრაკია იგულისხმება!**

ამის ნათელი დასტურია ის, რაც 26 ივნისს ამერიკაში მოხდა!

გავიხსენოთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები, რომლებიც წინ უძღვოდა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს „ისტორიულ“ ვერდიქტს, რომლის ძალითაც ერთსქესიანი ქორწინებები ყველაზე მძლავრი ზესახელმწიფოს ყველა შტატში დაკანონდა და რომელსაც ობამამ, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის დემოკრატიის გამარჯვება უწოდა.

**ბარაკ ჰუსეინ ობამას გაპრეზიდენტებისას აშშ-ის მხოლოდ 6 თუ 7 შტატში იყო აღრიცხული მსგავსი „გამარჯვება“...**

აქედან გამომდინარე განაცხადა აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი მსოფლიოში ლგბტ უფლებების დაცვა იქნებაო და ბარაკმაც კვერი დაუკრა!

ჰოდა, შედეგიც უკვე ჩანს — მას შემდეგ ბევრი ევროპული სახელმწიფო გაბედნიერდა მსგავსი გამარჯვებით და აგერ, ახლა აშშ-ში მსოფლიო დემოკრატიის სიმბოლო — თეთრი სახლი — ლგბტ ფერებში შეღებეს, რომლის ფონზეც ვიხილეთ ახალგაზრდა თუ ბებერი პედერასტების გულის ამრევი მტლაშა-მტლუში, ხოლო აშშ-ის დღევანდელმა სახმდივანმა **ჯონ კერიმ** პირობა დადო, რომ მოკლე ხანში სრულიად მსოფლიო იზეიმებს კაცობრიობის არნახულ პროგრესს!

„ამერიკული **დემოტრაკიის** გამარჯვება“ რომ არა, წინამდებარე წერილში ვაპირებდი საუბარს დილემაზე — რუსეთი თუ ამერიკა? და ამ საკითხის განხილვას საქართველოსთვის მისაღებ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჭრილში, მაგრამ...

რადგან **„ამერიკული დემოტრაკიის გამარჯვების“** ფონზე ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა არგუმენტმა ფასი დაკარგა და კითხვა — ამერიკა თუ რუსეთი? — პირადად ჩემთვის დღეიდან მხოლოდ ზნეობრივ კონტექსტში განიხილება, რადგან მსოფლიოს იმ ნაწილში, რომელსაც ჯონ კერი ტოტალური ლგბტ-ზაციით დაემუქრა, არის ჩემი სამშობლოც — აშშ-ის მიერ გაფარჩაკებული სატელიტი. და ალბათ, საქართველოსაც (რომლის ხელისუფლებაც თავის მოსახლეობას აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირეობის უტოპიით ატყუებს) აიძულებენ „დემოტრაკიის“ ამ „დიადი გამარჯვების“ გაზიარებას.

**დემოტრაკია** — უკეთესად, ალბათ, შეუძლებელია **„ამერიკის გამარჯვების“** შეფასება...

ჯონ კერის დანაპირების ინტერპრეტაცია ასეც შეიძლება — ვინც ჩვენთან არ არის (ანუ არ არის დემოტრაკი, არ არის პედერასტი) ჩვენი მტერია!

განსაკუთრებული პოლიტკორექტულობით არ გამოვირჩევი, ამიტომ, სხვა უფრო მძიმე ტერმინი რომ არ წამომცდეს, დღეიდან საქართველოში მოქმედ **პროამერიკულ** ძალებს **დემოტრაკებად** მოვიხსენიებ. უფრო მძიმე ტერმინში პედერასტები ვიგულისხმე, თუმცა **მას შემდეგ, რაც მათმა ბელადმა ბარაკ ობამამ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება „ამერიკის გამარჯვებად“ გამოაცხადა, ხელისბიჭ ალასანიას, რესპუბლიკელებს, „ნაცებს“, ახლებს, პერსონალურად ირაკლი წერეთელს, ისევე, როგორც ქართველ ლგბტ თემს, პედერასტად ან დემოტრაკად მოხსენიება კი არ უნდა ეწყინოთ, პირიქით — პატივად უნდა ჩათვალონ.**

ვისაც მაინც ეწყინება, სანუგეშოდ 1767 წელს ანტონ კათალიკოსის ეპისტოლეზე მეფე ერეკლეს მინაწერს მოვიყვან, რათა ყველა **დემოტრაკმა** და **პედერასტმა** დიად ბარაკ ჰუსეინს ლიტანიით შესწიროს მადლობა, რომ ერეკლეს ზეობის ხანაში არ უცხოვრიათ:

**„ჩვენ ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგან მარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაბრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს — ან მომწამლელნი, ან კაცის შემკრელნი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით** (ჯაჯა — დამნაშავე კაცის ტანჯვა-წამება — დ.მ.) **დაიხოცნენ. ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“.**

წყარო: კორნელი კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი 1, თავი — კანონიკა, გვერდი 522.

ეს ისე, მცირე ლირიკულ-იუმორისტული გადახვევა და ახლა სერიოზულად განვაგრძოთ...

მსოფლიოში შექმნილ ამ ტრაგიკომიკურ ფონზე ერთადერთი სახელმწიფოა რუსეთი, რომელსაც კანონით აქვს აკრძალული საკუთარ ტერიტორიაზე გეიაღლუმები და რუს პედერასტებს ერთსქესიანთა ქორწინებაზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ! თანაც, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და სახელმწიფო პრაქტიკულად ერთი და იგივეა. მართლმადიდებლობა, რომელიც უპირველესი მოწინააღმდეგეა სოდომის ცოდვის დაკანონებისა!

**დღეს მსოფლიოს მართლმადიდებლობის ბურჯი არის რუსეთის ზესახელმწიფო, რომელსაც ბირთვული პოტენციალიც იცავს და, თუ ჯონ კერი შეეცდება დაპირების აღსრულებას, რომლისთვისაც ვატიკანის სიმბოლური წინააღმდეგობის დაძლევას ადვილად შეძლებს, მართლმადიდებლობას ცუდუბრალოდ ბუზსაც ვერავინ აუფრენს!**

მაშ, ამერიკა თუ რუსეთი?

არჩევანი მარტივია:

ან დემოტრაკია და შედეგად ქართველი ერის ლგბტ-ზაციის რეალური საფრთხე, ან ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ მენტალობის შენარჩუნება და, როცა იქნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი!

დასასრულ, დიდი ქართველი მამულიშვილის, წმინდა ილია მართლის ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილიდან **„ასის წლის წინათ“** მოვიყვან ფინალურ პასაჟს. წერილიდან, რომელიც ილია ჭავჭავაძემ 1899 წელს დაწერა და რომელიც საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა:

**„ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდმარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნეობის სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.**

**დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ“.**

ამას წერს კაცი, რომელმაც ჩვენზე უკეთ იცოდა ყოველივე სიავენი, რომელიც რუსეთის იმპერიაში მყოფ საქართველოს შეხვდა, მაგრამ 100 წლის შემდეგ აწონა რა ისტორიის სასწორზე ბოროტება და სიკეთე, ავი და კარგი რუსეთთან ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებისა, ბოროტება სიკეთემ გადაწონა, ავი — კარგმა!

**მთავარი სიკეთე კი იყო ის, რომ რუსეთის იმპერიაში გვქონდა სამშობლო და ეროვნული თვითმყოფადობა!..**

ახლა, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, **ქართველმა ერმა თვითონ განსაჯოს, რა სჯობს — გაპედერასტებულ ამერიკელ დემოტრაკებთან ეფემერული სტრატეგიული მოკავშირეობა და უეჭველი გადაგვარება, გახლისტება, საქართველოს კიდევ უფრო დაშლა-დაქუცმაცება თუ რუსეთის მფარველობის ქვეშ ევრაზიულ სივრცეში სამშობლოს, მართლმადიდებლობის, ღირსების შენარჩუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პერსპექტივა.**

**დავით მხეიძე**

ამერიკაზე, ნატოსა და ე.წ. დასავლურ ფასეულობებზე „გადამკვდარი“ ადამიანები ძირითადად ან ლგბტ თემის წარმომადგენლები არიან, ან მათი დამცველები ყველაფრის ფასად, რაც სამშობლოს ფულზე გაყიდვის ტოლფასია! ისინი გრანტების, დაფინანსების, სხვადასხვა სიკეთის სანაცვლოდ ეწევიან ლგბტ-პროპაგანდას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს, რადგან უზნეო ქვეყანა ვერასოდეს იქნება სახელმწიფო.

ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «აგრესიული ჰომოსექსუალიზმი», ანუ დემოტრაკია პირდაპირი გაგებით!

**ბოდიშს მოვიხდი — ცოტა უნდა დავარღვიო ცენზურისა და ეთიკის ნორმები, თუმცა რაღა ცენზურა და ეთიკა, როდესაც ადამიანის სხეულის ის ნაწილი, რომელსაც მუდამ „ცუდის“, „არასასურველის“ ეპითეტად ვიყენებდით ხოლმე, თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე უფრო აქტუალური და მისაღები ატრიბუტი გახდა!**

დიახ, **მსოფლიო ტრაკშია!** დღეს ეს პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ და ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო უკვე ამ მხრივაც ამყარებს მსოფლიო რეკორდს უცნაური მოვლენების სფეროში.

რა უცნაური მოვლენა შეიძლება არსებობდეს ჰომოსექსუალიზმთან კავშირში? — მაგალითად, **პედერასტების დამცველი „ძველი ბიჭები“!**

დიახ, საქართველოში უკვე ამასაც მოვესწარით. **დაწერ უარყოფით მოსაზრებას ე.წ. ლგბტ თემის მიერ საკუთარი ცხოვრების წესის პროპაგანდაზე და უცებ გამოგიხტება ვიღაც და ისეთი ჰონორითა და ტერმინოლოგიით გწერს, უბნის ყოჩი გეგონება! მეტიც — „სტრელს“ გთავაზობს და „ჩაცუცუქულ ბაზარს“ აწევება.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, რა ფენომენია ეს!

პედერასტების დამცველი „ძველი ბიჭები“, რომლებსაც მეორე დღეს პოლიციაში შეაქვთ საჩივარი!

კონკრეტული მაგალითი გნებავთ? — კი, ბატონო!

ვინმე **რეზო ჩიგოგიძე** და ასევე ვინმე **ირაკლი მანაგაძე.**

ტერმინოლოგია?

**„შევხვდეთ და განახებ!“, „კბილები დაათვლევინეთ“** და, მუქარის შემცველი ასეთი ფრაზების გარდა, სხვა ისეთი უცენზურო და უხამსი გამოთქმები, გაზეთში რომ ვერ დაიბეჭდება.

ეს დილით!

საღამოს კი ზარი პოლიციიდან — **ამ „ძველმა ბიჭებმა“ ჩემ წინააღმდეგ საჩივარი შეიტანეს** თურმე, რადგან შეურაცხმიყვია ისინი.

რას გააწყობ? — **მათ ხომ თვით დიადი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უჭერს მხარს და ახუნტრუცებულები, გახარებულები, გაგიჟებულები და ჭკუაზე გადასულები ერთ ამბავში არიან!**

„ღმერთო! დალოცე ამერიკა!“, რადგან „ლგბტ პირებისა და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ამერიკის დიდი გამარჯვებაა!“ .

ეს ხომ იცი, ვინც თქვა, ღმერთო? — დიახ! ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა შავკანიანმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

ლგბტ, ხომ იცი, რას ნიშნავს, ღმერთო? **ლ**-ესბოსელი, **გ**-ეი(ჰომოსექსუალი) **ბ**-ისექსუალი, **ტ**-რანსსექსუალი...

აჰ, არ იცოდი ეს, ღმერთო, და ეს ლგბტ-ები ვიღაც უცოდველი „უმცირესობა“ გეგონა და ამიტომ „გააჯეჯილე“ ასე აქამდე?

ჰოდა, აწი ხომ იცი, ღმერთო?

რატომ გელაპარაკები ასე? — **განა ამის შემდეგ მსოფლიოსთვის მნიშვნელობა აქვს ღმერთს, ხატს, რჯულს და რაიმე წმინდას?!**

ან, საერთოდ, ვინ მიგდია მსოფლიო?!

**„ჩვენ პირობას ვდებთ, რომ მალე სრულიად მსოფლიოში დაკანონდება ერთსქესიანთა ქორწინება!“ — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და... სულ ფეხებზე ჰკიდია, იმ „სრულიად მსოფლიოს“ სურს თუ არა ეს!**

აი, ამას ჰქვია „დემოკრატია“... კი არა, **დემოტრაკია** პირდაპირი გაგებით!

ადრე, რამე ცუდი რომ ხდებოდა, ვამბობდით ხოლმე, **„ტრაკისკენ მივდივართ!“** ან სულაც — **„ტრაკში ვართ!“**

ეს არ იყო მხოლოდ ქართული გამოთქმა. რუსული თუ ინგლისურენოვანი ფილმების გმირებიც ხშირად იყენებდნენ „ტრაკს“ ცუდის, არასასურველი სიტუაციის სინონიმად...

მუდამ მიკვირდა, რაღა მაინცადამაინც ეს სიტყვა ამოირჩია კაცობრიობამ არაცნობიერად იმის აღსანიშნავად, საითაც მივდიოდით?!

ჰოდა, აჰა! როგორც ჩანს, გული უგრძნობდათ ჩვენს წინაპრებს — მსოფლიო, პირდაპირი მნიშვნელობით, მიდის ტრაკისკენ!

აი, თუ არა:

**„უნდა დაიწყოს ლგბტ-უფლებების დაცვის აგრესიული კამპანია ყველგან — სკოლებში, უნივერსიტეტში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მედიაში. მივიღოთ თითოეულმა ჩვენგანმა მონაწილეობა ამ კამპანიაში და უარი ვთქვათ ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებაზე!“** — აი ტექსტი ინტერნეტ „ფორუმიდან“.

სკოლებშიცო! გესმის, ღმერთო?!

თანაც — **„აგრესიული“-ო** და თანაც — **„ძალადობაზე უარი უნდა ვთქვათ“-ო.**

ეგ როგორ ხდება?

ანუ **მათი აგრესიულობა არ არის „ძალადობა“ და სხვისი აგრესიულობა „ძალადობაა“?**

ან მაშინ იქნებ ამიხსნათ, „არაძალოდობრივი“ აგრესია როგორია?

ვერ ამიხსნით! ამიტომ უნდა შევეგუოთ აზრს, რომ სწორედაც **აგრესიულ ჰომოსექსუალიზმამდე მივდივართ!** ფაქტობრივად, — შავრაზმელობამდე, ფაშიზმამდე, ადრეულ კომუნიზმამდე, როდესაც „თავისუფლების“ იდეით მოსულმა ძალებმა ყველა განსხვავებულად მოაზროვნე დახვრიტეს.

დარწმუნებული ვარ, თუკი




ლგბტ-პირები რეალურ ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში, მათზე აგრესიული, მათზე მოძალადე, მათზე დიქტატორი და მათზე სადისტი არავინ და არაფერი იქნება! ისინი ფიზიკურად მოსპობენ და გაანადგურებენ ყველა მათგან განსხვავებულს.

აკი, უკვე დღესვე და ახლავე, როდესაც „მაზოლზე“ დააჭერ, თავს ვერ იკავებენ და თავიანთ აგრესიულ და ბოროტ ბუნებას ავლენენ!

მაგალითად, **„ჟურნალისტ-უფლებადამცველი“ მანაგაძე მოითხოვს, რომ მე იძულებით მიმკურნალონ ფსიქიატრიულში.** ვისაც ფაშიზმისა და ადრეული კომუნიზმის ისტორია გახსოვთ, გეცნობათ განსხვავებულ აზრთან ბრძოლის მეთოდი?

დიახ! აქ საუბარი არ არის **მანაგაძის** სექსუალურ მიდრეკილებებზე, თუნდაც „ჰეტერო“ და თუნდაც „ჰომო“ სექსუალიზმზე!

აქ საუბარი უკვე მძიმე ფსიქიკურ გადახრაზეა და ასეთი დაავადებული ფსიქიკის ადამიანები საზოგადოებისთვის საშიშნი არიან! მათ შეუძლიათ, გაანადგურონ ყველა და ყველაფერი, რაც გზაზე გადაეღობებათ! ეს ნებისმიერ ტერორიზმზე უფრო საშიში მოვლენაა, მეტიც — ისინი შობენ ტერორიზმს!

სწორედ ისინი არიან რეალური **ჰ ო მ ო ფ ო ბ ე ბ ი,** ანუ **ადამიანთმოძულენი.**

მათგან სხვა ადამიანების დადანაშაულება „ჰომოფობიაში“ მხოლოდ და მხოლოდ **„მშვიდობისმყოფელის“ პოზაა, მანამდე, ვიდრე რეალურ ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში.**

ისინი ითვისებენ ხელოვნებას — აქაოდა, ღირებულ ხელოვნებას მხოლოდ ლგბტ-პირები ქმნიანო!

ისინი ითვისებენ განათლებას — აქაოდა, ლგბტ-პირები ყველაზე ინტელექტუალები არიანო!

ასეთ პროპაგანდას ეწევიან!

არადა, რეალურად, პროცენტული შეფარდება 90-ზე მეტი პროცენტით იქნება ჩვეულებრივი ადამიანების მხარეს!

უმცირესობის დიქტატურა უკვე მიიღო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა! რა ელის დანარჩენ მსოფლიოს?

მახსოვს, საქართველოს პირველ პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** როგორღაც წამოსცდა — „ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კრემლის აგენტია“-ო...

ჯორჯ ბუშის არ ვიცი და, ბარაკ ობამას დღევანდელი საქციელი ძალიან დიდი რაოდენობით და „ნაპორით“ რომ ასხამს წყალს რუსეთის, კრემლისა და პუტინის ინტერესებზე — ეს უკვე ჭეშმარიტებაა!

ნამდვილად ვერ დავამტკიცებ, რომ ობამა კრემლის აგენტია, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რა შეიძლება ამას ეწოდოს. **ნუთუ ძნელი გამოსაცნობია, რომ ადამიანების დიდი უმრავლესობა (ნებისმიერ ქვეყანაში არა ლგბტ-პირები, ანუ ნორმალური ადამიანები, უმრავლესობაში არიან) ამერიკის ასეთი დემარშის შემდეგ აუცილებლად რუსეთისკენ გადაიხრება? ძნელი გამოსაცნობია, რომ რუსეთი მოირგებს ნორმალურობის, მორალის, ზნეობის მცველის იმიჯს მსოფლიოში?**

უკვე ყველასთვის ცხადია: **ამერიკაზე, ნატოსა და ე.წ. დასავლურ ფასეულობებზე „გადამკვდარი“ ადამიანები ძირითადად ან ლგბტ თემის წარმომადგენლები არიან, ან მათი დამცველები ყველაფრის ფასად, რაც სამშობლოს ფულზე გაყიდვის ტოლფასია!**

**ისინი გრანტების, დაფინანსების, სხვადასხვა სიკეთის ფასად ეწევიან ლგბტ-პროპაგანდას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს, რადგან უზნეო ქვეყანა ვერასოდეს იქნება სახელმწიფო.**

კიდევ ვიმეორებ — არანაირი „ჰომოფობია“!

აქ საუბარი არ არის ლგბტ-პირების სახლებში შევარდნასა და დასჯაზე, მოსპობაზე ან რამე მსგავსზე.

უბრალოდ, არ შეიძლება არავითარი „სექსუალობის“ ასე ღია პროპაგანდა არასრულწლოვნებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, სამაუწყებლო მედიით!

რა, განა ჰეტეროსექსუალთა აღლუმს დაუჭერს მხარს საზოგადოება?

**როგორ გგონიათ, რომ გამოვიდნენ ქუჩაში ჰეტეროსექსუალი მამაკაცები და გამოიტანონ ლოზუნგი „ქალი მინდა!“ ან ჰეტეროსექსუალმა ქალებმა გამოიტანონ ლოზუნგი „კაცი მინდა!“ — ამას ნორმალური საზოგადოება მიიღებს და მოეწონება?**

არა, ბატონო! ანუ აქ არ არის ჰომოსექსუალთა სიძულვილზე საუბარი!

თავისთვის, შინ, ვისაც რა უნდა, ის აკეთოს — უნდა, ჰეტეროსექსით დაკავდეს და უნდა, — ჰომოსექსით.

უბრალოდ, თემა, რომელსაც ინტიმი, ძალიან პირადული ჰქვია, სახალხო, საჯარო და საპროპაგანდო არ უნდა გახდეს.

კიდევ ერთი უცნაურობა არის ის, რომ, როდესაც რომელიმე ამ ჰომოსექსუალთა დამცველის მიმართ ეჭვს გამოთქვამ, თვითონაც ჰომოსექსუალი ხომ არ არის, ის იჯაგრება, ბრაზდება, გიჟდება და პირად შეურაცხყოფაზე გადმოდის.

რამდენიმე მათგანი ჩემს 16 წლის შვილსაც კი შეეხო...

მაინტერესებს, **რატომ ბრაზდებით, ჰომოსექსუალთა დამცველებო, როდესაც ჰომოსექსუალს გიწოდებენ? ნუთუ ეს შეურაცხყოფაა? ანუ გამოდის, თქვენც სამარცხვინოდ მიგაჩნიათ ჰომოსექსულობა და მხოლოდ იმიტომ იცავთ მათ ასე თავგამოდებით, რომ ამაში ვიღაც დიდ ფულს გიხდით, არა?**

სწორედ ამიტომ ეს სტატია ე.წ. უფლებადამცველებისადმი მიმართვით, მინდა, დავასრულო (ყველა და ნამდვილი უფლებადამცველები არ იგულისხმებიან, რა თქმა უნდა):

თქვენ ხართ სწორედ ყველაზე დიდი **უ ფ ლ ე ბ ა დ ა მ რ ღ ვ ე ვ ე ბ ი** და აი, რატომ:

***მე**, პირადად, თქვენგან „ჰომოფობად“ შერაცხილს, ვინმესთან კამათისას არასოდეს, პირადი შეურაცხყოფის შემთხვევაშიც კი, არაფერი წამომცდენია ოპონენტის პირად ცხოვრებაზე. მით უმეტეს, არასოდეს მიხსენებია არავისი **შ ვ ი ლ ი!** აი, თქვენი მხრიდან კი, ჩემი მისამართით ასეთი შემთხვევა არაერთხელ იყო! რაც უნდა იყოს, **ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა და მისი არასრულწლოვანი შვილის ხსენება უარყოფით კონტექსტში ყველაზე დიდი უფლებადარღვევაა, ყველაზე დიდი უკულტურობა და ნაგვობა!**

ამიტომ ჯერ კულტურა გამოიმუშავეთ და მერე ილაპარაკეთ სხვისი უფლებების დაცვაზე!

***სინამდვილეში, თქვენ ხართ ყველაზე უფრო დაკომპლექსებული, ყველაზე უფრო დაბოღმილი, ყველაზე წარუმატებელი და არშემდგარი ადამიანები, რომლებიც ყველანაირ ნაგვობაზე წავლენ, ოღონდ კი გარკვეულ მატერიალურ კეთილდღეობას მიაღწიონ!**

* მე შეიძლება ვინმემ მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი დამიდოს, აი, თქვენნაირი „უფლებადამცველებისგან“ კი ჩემი „პრივატი“ ფიზიკური განადგურების მუქარებითაა სავსე!

*** თქვენ ხართ ყველაზე შავბნელი, ბოროტი და დაუნდობელი ძალა დედამიწაზე და ამიტომ თქვენთვის რეალური ძალაუფლების მოცემა უკიდურესად საშიშია!**

საშიშია ისიც, რომ **თქვენი წყალობით „ჰომოსექსუალი“ და „პროდასავლელი“ იდენტური ცნებები გახდა, ხოლო ამის საპირისპიროდ მძლავრად იკიდებს ფეხს „პრორუსისა“ და „ზნეობრივის“ გაიგივება ხალხში!**

ახლა თვითონვე ახსენით, **ვინ ხართ და რას ემსახურებით სინამდვილეში!**

და **მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პრეზიდენტი მსოფლიოს ტრაკისკენ წაყვანას ოფიციალურად ჰპირდება, ჯერ მაინც არ არის დაკარგული იმედი, რომ მსოფლიოში კეთილგონიერება გაიმარჯვებს და ის ძალა, რომელიც ასეთ კრიზისულ სიტუაციებში მუდამ გამოუჩნდება ხოლმე მხსნელად მსოფლიოს, ამჯერადაც გადაარჩენს მას თქვენნაირი „ცისარტყელის ფერებში გახვეული“, სინამდვილეში ყველაზე უშავესი სულის ადამიანებისგან!**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დემონსტრანტებს შორის, უკვე რამდენიმე დღეა, გამალებით მუშაობენ პროვოკატორები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს პროტესტის სხვა კალაპოტისკენ მიმართვა, ანუ მათ სურთ შეტაკება პოლიციასთან. მეტიც, ბაგრამიანის პროსპექტზე, მაღალი შენობის სახურავზე, შავნიღბიანი სნაიპერიც შევნიშნეთ. როგორც ჩანს, „მშვიდობიანი“ მომიტინგე სნაიპერი იყო“.**

# «კიევური მაიდნის» საფრთხე ერევანში

**შარშან შემოდგომაზე სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა კონფერენცია თემაზე — „კიევის მაიდნის გამოწვევები, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი“. კონფერენციაში სომეხ ისტორიკოსებსა და პოლიტოლოგებთან ერთად საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობდა. დამსწრე საზოგადოებამ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და კავკასიის რეგიონში „კიევური მაიდნის“ განმეორების საფრთხეებზე იმსჯელა.**

**კვირაზე მეტია, ერევანში ელექტროენერგიის საფასურის მომატების წინააღმდეგ მიმართული მასშტაბური საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. გამართლდება თუ არა ექსპერტების ვარაუდი და გადაიზრდება თუ არა სოციალური მოთხოვნები პოლიტიკურ აქტივობაში? — სომხეთში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ერევნის გეოპოლიტიკური კლუბის ხელმძღვანელი არმან ბოშიანი და ერევანში შარშან გამართული კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე, პოლიტოლოგი ირაკლი უბილავა ესაუბრნენ.**



## არმან ბოშიანი: გარე ძალები ნებისმიერი სოციალური პროტესტის სათავისოდ გამოყენებას ცდილობენ



არმან ბოშიანი:

**— ბატონო არმან, როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს, გარდა რთული სოციალური პრობლემებისა, რა მიზეზებმა განაპირობა სომხეთში ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო აქცია?**

— 29 ივნისამდე ეს საპროტესტო აქცია მხოლოდ სოციალური აფეთქება იყო. ხალხში წლების განმავლობაში გროვდებოდა უკმაყოფილება და ელექტროენერგიაზე ფასის მომატება სოციალური აფეთქების ლოგიკურ მიზეზად იქცა, თუმცა ახლა პოლიტტექნოლოგები ჯიუტად ცდილობენ, ამ პროცესებს მაიდნის ელფერი მისცენ.

მე ვესაუბრე ამ აქციის ორგანიზატორებს და, შეიძლება ითქვას, ისინი თვითონაც შოკში იყვნენ, რომ ამდენი ხალხი შეიკრიბა. უნდა ითქვას, რომ **ისინი მართლა ცდილობდნენ, მომიტინგეებსა და პოლიციას შორის პროვოკაციის ყველა შესაძლებლობა აღეკვეთათ. რაც მთავარია, აქციის მონაწილეები არ ცვლიდნენ თავიანთ მოთხოვნებს, მაგრამ, როგორც წესი, გარე ძალები ნებისმიერი სოციალური პროტესტის სათავისოდ გამოყენებას ცდილობენ. და აი, პროცესი დაიწყო...**

**სომხეთის „რევოლუციას“ უკვე აქვს „მხარდაჭერა“ უკრაინაში, თბილისში, აზერბაიჯანსა და თურქეთში. ცხადია, რომ საუბარი მიმდინარეობს შეკვეთაზე.** სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, მაგალითად, სომხეთის გენოციდის ფაქტებით თურქეთი ან აზერბაიჯანი ასე შეშფოთებული ყოფილიყვნენ. არ მახსოვს, რომ კიევში, სადაც ელექტროენერგიის საფასური ორჯერ გაიზარდა, ვინმე გამოსულიყო ქუჩაში და ეს გაეპროტესტებინა. ანუ, **ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს გარედან მომდინარე შეკვეთასთან და ბაქო-თბილისი-სტამბოლი-კიევში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ ამ შეკვეთის შედეგია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვითხოვია, სომხეთის შიგა პოლიტიკური სიტუაცია ბაქოში განეცადათ და ეს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია.**

ამ პროცესებს უკვე მოჰყვა ამერიკის საელჩოსა და ლოს-ანჯელესის გეოპოლიტიკური კლუბის მთელი რიგი განცხადებები და „შეშფოთებები დემოკრატიის“ გამო. **ლოს-ანჯელესის გეოპოლიტიკური კლუბის განცხადება არა მხოლოდ ანტირუსულ და ანტისამთავრობო შეტყობინებებს მოიცავს, არამედ საუბარია „პოლიციისთვის სასტიკი წინააღმდეგობის გაწევაზე“, მაგრამ საინტერესოა, ვინ აპირებს წინააღმდეგობის გაწევას, ნუთუ ისინი?**

**უკვე რამდენიმე დღეა, დემონსტრანტებს შორის გამალებით მუშაობენ პროვოკატორები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს პროტესტის სხვა კალაპოტისკენ მიმართვა, ანუ მათ სურთ შეტაკება პოლიციასთან. მეტიც, ბაგრამიანის პროსპექტზე, მაღალი შენობის სახურავზე, შავნიღბიანი სნაიპერიც შევნიშნეთ. როგორც ჩანს, „მშვიდობიანი“ მომიტინგე სნაიპერი იყო.**

მართალია, აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს თავისი სურვილის შესახებ, გადასულიყვნენ თავისუფლების მოედანზე და გაეთავისუფლებინათ სავალი გზის ნაწილი, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდნენ დემონსტრანტებს შორის ჩანერგილი პროვოკატორები (აგენტურა), რომლებმაც აქციის ზოგიერთი მონაწილე დაარწმუნეს, პროტესტის შემდგომი მაიდანიზაციის მიზნით ბაგრამიანის პროსპექტზე დარჩენილიყვნენ. მას შემდეგ, რაც პოლიციამ ბაგრამიანის პროსპექტზე დემონსტრანტების დაშლის შესახებ განაცხადა, შევეცადე, იქიდან ქალები და ბავშვები გამეყვანა, თუმცა წინააღმდეგობას წავაწყდი თავისუფლებისთვის მებრძოლების მხრიდან, რომლებიც ქალებსა და ბავშვებს დაჟინებით არწმუნებდნენ, ბაგრამიანის პროსპექტი არ დაეტოვებინათ. ერთმა დაკუნთულმა კი განაცხადა: **„ჩვენ, ყველანი, უნდა გვცემონ, რათა ყველამ გაიგოს, როგორი რეჟიმია სომხეთში“.**

ბაგრამიანის პროსპექტზე რუპორებით დადიან უცნობი ადამიანები, რომლებსაც არავინ იცნობს, და აქციის მონაწილეებს მოუწოდებენ, არ დაიშალონ და არ დაუჯერონ ჭორებს, თითქოს აქციაზე პროვოკატორები არიან. ჩემს კითხვაზე — თუ ისინი მართლაც აქციის ორგანიზატორები არიან, შეიძლება თუ არა მათგან ინტერვიუს აღება, მივიღე აგრესიული პასუხი, — ჩვენ ხალხის ნებას გამოვხატავთო.

ვრცელდება ასევე ანონიმური ფურცლები ლოზუნგებით — „არა — ძარცვას!“, რომლებსაც, საეჭვოა, რაიმე საერთო ჰქონდეს აქციის ორგანიზატორებთან, რადგან მათ უკვე განაცხადეს, რომ არანაირ ფურცლებს არ ავრცელებენ. ეს ფურცლები გვატყობინებენ, რომ არ უნდა ვიურთიერთოთ პოლიციელებთან, რადგან ამან შეიძლება მათი მხრიდან ძალადობა და შეურაცხყოფა გამოიწვიოს. აქციაზე ასევე ვნახე 4-კაციანი ჯგუფი, რომელიც თურქულად საუბრობდა. **როგორც ჩანს, სომხეთში ფასების ზრდის გამო თურქი დემონსტრანტებიც „ძალიან ღელავენ“.**

**— მოგეხსენებათ, თავდაპირველად საპროტესტო აქციები კიევშიც სულ სხვა მოთხოვნებით დაიწყო, მაგრამ ხელისუფლების შეცვლით დასრულდა. სომხეთის მთავრობა აქციის მონაწილეების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარს ამბობს, კომპრომისზე წასვლას არც დემონსტრანტები აპირებენ. შესაძლოა თუ არა, სომხეთში „მაიდანი“ და სახელმწიფო გადატრიალება მოეწყოს?**

— ფაქტია, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეები გაზრდილი ტარიფების გაუქმებას მოითხოვდნენ და მართალია, 3 თვით, კომპანიის აუდიტის დასრულებამდე, მაგრამ მათი ეს მოთხოვნა მაინც შესრულდა. შეიძლება ითქვას, ხელისუფლებამ დემონსტრანტების მოთხოვნა ნაწილობრივ შეასრულა, თუმცა ელექტროქსელების კომპანია კერძოა და, როდესაც კომპანია გეოპოლიტიკურ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს, ის სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს.

რაც შეეხება კიევსა და ერევანში მიმდინარე მოვლენებს, ვფიქრობ, ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან. კიევში პროტესტს თავიდანვე ხელმძღვანელობდა ოპოზიცია და აქციას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. თავიდანვე შეინიშნებოდა მოქმედებების მკაფიო ორგანიზაცია და კოორდინაცია. არსამთავრობო ორგანიზაციები და სექტები თავიდანვე აქტიურობდნენ. ხოლო **ერევანში სოციალური აფეთქება ისეთი უეცარი იყო, რომ სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე დასავლეთის აგენტურისა და მათი გავლენის ქვეშ მოქმედი პარტიებისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც კი დაიბნენ.**

**— სომხეთში მიმდინარე საპროტესტო აქციები ბევრს „უკრაინული მაიდნის“ დასაწყისს აგონებს. ქართველმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ „ნაკანუნე. რუს“ ვებგვერდზე გამოთქვა თავისი ექსპერტული მოსაზრება, რომ „ფერადი რევოლუციები“ ყოველთვის სოციალური პრობლემებით იწყება. შემდგომ აქციის მონაწილეები იწყებენ საუბარს ადამიანის უფლებებისა და ინტერესების შელახვაზე, მთავრობის კორუფციაზე. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რა მძლავრ სამუშაოებს ატარებენ დასავლური სპეცსამსახურები ერევანში, ეს პროტესტი შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთგვარი ძალების ცდა!“**

— ეჭვგარეშეა, რომ დღეს **სომხეთი სახელმწიფოებრიობის განადგურების რიგში დგას. ქვეყანაში ბევრი ორგანიზაცია ფუნქციონირებს სხვადასხვა სფეროში, მაგრამ მათი მიზანია ოჯახის ინსტიტუტის გაუქმება, არმიის დისკრედიტაცია.** ისინი ცდილობენ, ახალგაზრდობას ჩაუნერგონ ახალი თეზისი „სამოქალაქო საზოგადოების შესახებ“. ყველანაირად ცდილობენ, ახალგაზრდობა ამ მანიპულაციების გავლენის ქვეშ მოაქციონ.

თუმცა ეს სოციალური აფეთქება ჩვენ და ბევრმა ანალიტიკოსმა ადრე ვიწინასწარმეტყველეთ. ამის მიუხედავად, ეს ყველაფერი ყველასთვის სიურპრიზად იქცა. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ **ეს გრანტიჭამიები განსაკუთრებულად გააქტიურდნენ. მომიტინგეებს შორის დადიან ადამიანები მოწოდებებით, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვს საპროტესტო აქციის მონაწილეების მოთხოვნებთან. მცდელობები პროცესების მართვის ხელში ჩაგდებისა, არ წყდება და შეიძლება ითქვას, რომ პროცესის ნაწილი უკვე ჩაიგდეს ხელში პოლიტტექნოლოგებმა, რომლებსაც სრულიად სხვა საკითხები აქვთ გადასაწყვეტი, ვიდრე სომხეთის სოციალური პრობლემებია.**

— შარშან შემოდგომაზე ერევანში „ერევნის გეოპოლიტიკური კლუბის“ ორგანიზებით, რომლის ხელმძღვანელიც თქვენ ბრძანდებით, გაიმართა კონფერენცია თემაზე „კიევის მაიდნის გამოწვევები, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი“. კონფერენციის მონაწილეებმა კავკასიაში და, კერძოდ, სომხეთში მოსალოდნელ საფრთხეებზეც იმსჯელეს. კონფერენცის სახელწოდება და მისი ჩატარების იდეა ნიშნავდა თუ არა, რომ გარკვეული საფრთხის საფუძველი უკვე არსებობდა?

— ჯერ კიდევ **2014 წლის ივლისში ვიწინასწარმეტყველეთ, რომ სოციალური უკმაყოფილება მიგვიყვანდა იმ პროცესებამდე, რომელთა მეორე მაიდნად გადაქცევასაც შეეცდებოდნენ გარკვეული ძალები და რომ ამისთვის უკვე აქტიური მზადება მიმდინარეობდა;** მაგრამ ცოტა თუ ვარაუდობდა, რომ სოციალური აფეთქების ინიცირებას მოახდენდა მსხვილი რუსული კაპიტალი ▶

# „სომეხი ახალგაზრდები რატომღაც ფიქრობენ, რომ საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარდა, აქედან გამომდინარე, მათაც სურთ ცვლილებები. ჰგონიათ, რომ ხელისუფლებაში ამერიკელების კონტროლს დაქვემდებარებული პროდასავლური ძალების მოსვლას ქვეყნის დემოკრატიზაცია, კორუფციის აღმოფხვრა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ჩუბაისის პირმშოს სახით. მიმაჩნია, რომ „ინტერ რაოს“ მმართველებს არ შეეძლოთ, არ გაეთვალისწინებინათ პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც ელექტროენერგიის ფასს ზრდიდნენ. „ინტერ რაოს“ მმართველები სპეციალურად მოიქცნენ ასე რუსულ-სომხური ურთიერთობებისთვის ძირის გამოსათხრელად, ან არ ჰყავთ ანალიტიკოსები, რასაც კომპანიის სავალალო მდგომარეობაც ადასტურებს.

**— შარშან გამართულ კონფერენციაზე განაცხადეთ, რომ კიევის მაიდნის განმეორების საფრთხეს ვერ ხედავთ, ვინაიდან სომხეთში შესაბამისი საზოგადოებრივი განწყობა არ არსებობს, მაგრამ რას ფიქრობთ ახლა, როდესაც აქციები სომხეთის რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობს?**

— ამ საპროტესტო აქციებში დამნაშავეა საბაზრო სისტემა. ჩვენ გავყიდეთ სტრატეგიული დარგები და ახლა გვიკვირს, რომ კომპანიებს თავიანთი ბიზნესინტერესები აქვთ. **„მაიდნის მსგავსი განწყობა“ ჯერჯერობით სომხეთის მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს, თუმცა სოციალური უკმაყოფილება კოლოსალურია და, თუ ხელისუფლება ამ საკითხებს გადაწყვეტს, მანიპულატორები პროცესებს სხვა მიმართულებით წაიყვანენ.**

როგორც აღვნიშნე, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია სტრატეგიული დარგების ნაციონალიზაცია. **დამოუკიდებლობის 25 წელმა გვაჩვენა, რომ ჩვენ დამოკიდებულები ვართ მსხვილ მესაკუთრეებზე, რომლებიც ემსახურებიან არა სომხეთის, არამედ სხვა, მესამე ქვეყნების ინტერესებს, როგორც ეს „ინტერ რაოს“ შემთხვევაში ხდება, რომელიც არათუ სომხეთის, რუსეთის ინტერესებსაც არ ემსახურება.** მოცემულ შემთხვევაში, სომხეთის ელექტროქსელების კომპანიის მოქმედება მკაფიოდ ანტისახელმწიფოებრივია, რაც, არ არის გამორიცხული, გარედან შეკვეთილი იყოს. საქმე ის არის, რომ მე წერილობით ვთხოვე კომპანია „ინტერ რაოს“, დაუყოვნებლივ გააუქმონ ფასების მომატების შესახებ გადაწყვეტილება და ავუხსენი მათი უარის შემთხვევაში მოსალოდნელი პოლიტიკური შედეგები.

მოგვიანებით პრესაში გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კომპანია ბიზნესსაქმიანობითაა დაკავებული და პოლიტიკა არ აინტერესებს. არ შეიძლება მსხვილი და მონოპოლიური ბიზნესის მხრიდან პოლიტიკისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის სრული იგნორირება. ხოლო, თუ კომპანია ასე იქცევა, ეს ბიზნესსაქმიანობა კი არა, ძირგამომთხრელი საქმიანობაა.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ სომეხ და აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს შორის შეტაკება მოხდა და სომეხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. დღეს ამ ვითარებაში რა შეგიძლიათ თქვათ — არსებობს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის განახლების საშიშროება?**

— თუ პროცესი მთლიანად გარე ძალების აგენტების მართვის ქვეშ მოექცევა, ამით აზერბაიჯანი დაუყოვნებლივ ისარგებლებს. **დასავლეთის გეოპოლიტიკური მოთამაშეების მიზანი ამიერკავკასიის დესტაბილიზაცია და რეგიონში სხვა გეოპოლიტიკური რეალობის ფორმირებაა, თუმცა მოაზროვნე ადამიანი ბევრია და ჯერჯერობით პროცესების მთლიანად ხელში ჩაგდება მათ ვერ მოახერხეს.**

**ირაკლი უბილავა:**

**— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ერევანში ვიზიტისას, უკვე არსებობდა ნიშნები იმისა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ სომხეთში ასეთი ვითარება შეიქმნებოდა?**

— სიმართლე გითხრათ, ერევანში ჩასვლამდე სომხეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე სრულიად სხვა წარმოდგენა მქონდა, თუმცა ერევანში ვიზიტისას, შეიძლება ითქვას, პარადოქსული სიტუაცია დამხვდა და სომხეთის პოლიტიკურ სისტემაზე განსხვავებული წარმოდგენა შემექმნა. სომხეთში მმართველი ელიტა და ოპოზიციის დიდი ნაწილი პრორუსული ორიენტაციისაა, ვინაიდან ისინი კარგად აცნობიერებენ მათ წინაშე არსებულ გეოპოლიტიკურ რეალობას, თუმცა სამოქალაქო სექტორი (ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები) მთლიანად პროდასავლურია და ამ პოლიტიკურ დაჯგუფებებს სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური და საგარეო-პოლიტიკური ორიენტირები აქვთ. **ერევანში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ ახლო მომავალში რევოლუციური პროცესების განვითარება იყო მოსალოდნელი. ჩემი მოლოდინი ამა წლის 19 ივნისს გამართლდა.**

თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ, როგორც წესი, ასეთი აქციები სპონტანურად არ იწყება. ბუნებრივია, **როდესაც ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება იწყება, ყოველთვის არსებობს სოციალური მიზეზი, რომელსაც შემდეგ კორუფციისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ლოზუნგები ემატება. ამ პროცესების უკან კი, როგორც წესი, ყოველთვის ამერიკის შეერთებული შტატები დგას.** აღსანიშნავია, რომ ერევანში სოციალური მოთხოვნებით დაწყებულ საპროტესტო აქციას უკვე პროდასავლური ორიენტაციის ოპოზიციური სომხური ორგანიზაციები და პარტიებიც შეუერთდნენ. მაგალითად, „ნაციონალური კონგრესი“, რომელსაც ლიბერალური და პროდასავლური იდეების მქონე **ლევონ ტერ-პეტროსიანი** ხელმძღვანელობს. **აქციაზე გამოჩნდნენ პროდასავლური პოლიტიკური პარტიების — „ნასლედიესა“ და „დაშნაკცუთიუნის“ წარმომადგენლებიც. უფრო მეტიც, აქციაზე უკვე უკრაინისა და ევროკავშირის დროშებიც**

## ირაკლი უბილავა: ამ პროცესების უკან, როგორც წესი, ყოველთვის ამერიკის შეერთებული შტატები დგას



**გამოიტანეს. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, ერევანში მიმდინარე პროცესების უკან რა ძალები დგანან.**

**— ერევანში მიმდინარე საპროტესტო აქციებს ხშირად ადარებენ კიევის მაიდანზე განვითარებულ მოვლენებს. არის თუ არა მოსალოდნელი „კიევური მაიდანი“ კავკასიაში, კერძოდ, სომხეთში?**

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ვინაიდან სომხეთის ხელისუფლება დღეს საკმაოდ სუსტია. ამას გარდა, სომხეთს აქვს საქართველოს მაგალითი. **სომეხი ახალგაზრდები რატომღაც ფიქრობენ, რომ საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარდა, აქედან გამომდინარე, მათაც სურთ ცვლილებები. ჰგონიათ, რომ ხელისუფლებაში ამერიკელების კონტროლს დაქვემდებარებული პროდასავლური ძალების მოსვლას ქვეყნის დემოკრატიზაცია, კორუფციის აღმოფხვრა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება.**

არადა, სინამდვილეში **ამერიკელებს დემოკრატიის დარდი ნამდვილად არ აქვთ. ისინი მხარს უჭერდნენ სააკაშვილსაც, მაგრამ ვისაც ოდნავ მაინც ესმის პოლიტიკა, ხვდება, რომ წარმოუდგენელია, სააკაშვილს დემოკრატი უწოდო.** მან შექმნა მკვეთრად ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა ტოტალიტარიზმის ელემენტებით და ასეთი პოლიტიკური სისტემა ამერიკელებისთვის მისაღები და დემოკრატიული იყო. ამერიკელები დღესაც კი უჭერენ მხარს თავიანთ „დემოკრატიის შუქურას“ და საქართველოს ხელისუფლებას უფლებას არ აძლევენ, სააკაშვილის მიმართ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხი დასვას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს აზერბაიჯანის პრეზიდენტ **ილხამ ალიევსა** და დასავლეთს შორის ურთიერთობა ძალიან იძაბება. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინათ რიგაში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე აზერბაიჯანის პრეზიდენტი არ ჩავიდა და, შესაბამისად, არ შეუერთდა ანტირუსულ განცხადებებს. ალიევის საქციელმა დასავლეთი კიდევ უფრო გაალიზიანა. ილხამ ალიევის ამ ნაბიჯის საპასუხოდ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე **ტომ მალინოვსკიმ** აზერბაიჯანში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა. ამას გარდა, **დასავლურ პრესაში ლამის ყოველდღე იბეჭდება სტატიები, როგორი არადემოკრატიულია აზერბაიჯანის პრეზიდენტი, როგორ არღვევს ის ადამიანის უფლებებს და ა.შ. აზერბაიჯან-**



**სა და აშშ-ს შორის არსებული ეს დაძაბული ურთიერთობა სომხეთის პროდასავლურ პოლიტიკურ ძალებს აძლევს იმედს, რომ აზერბაიჯანის აგრესიის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები სომხეთს დაიცავს.** მათ იმედი აქვთ, რომ ამერიკელები აზერბაიჯანს შეაკავებენ, მაგრამ საკითხავია, მეორე გეოპოლიტიკური მოთამაშე — რუსეთი თავისი ინტერესების ხარჯზე გააძლიერებს დასავლეთის ინტერესებს? რას მოიმოქმედებს რუსეთი ასეთ შემთხვევაში?

**დღეს რუსეთი სომხეთის ერთიანობის გარანტია. შესაბამისად, რუსეთთან დაპირისპირება შეცდომაა. ჩემი აზრით, რუსეთი არ ჩაერევა პროცესებში და ამით გარკვეულწილად დასჯის სომხეთს.** რუსეთი თვალს დახუჭავს ყარაბაღზე და აზერბაიჯანს საშუალებას მისცემს, იქ კონსტიტუციური წესრიგი აღადგინოს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და რუსეთს შორის არსებობს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოწინააღმდეგის აგრესიის შემთხვევაში, რუსეთი ვალდებულია, სტრატეგიული მოკავშირის დაცვის მიზნით ჩაერიოს კონფლიქტში. თუ სომხეთის ხელისუფლების სათავეში პროდასავლური ძალები მოვლენ, გიუმრის სამხედრო ბაზების დახურვასა და ხელშეკრულებების დენონსაციაზეც დაიწყებენ საუბარს.

გასათვალისწინებელია აზერბაიჯანის მიმართ რუსეთთურქეთის ურთიერთობებიც. აზერბაიჯანს სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ძლიერი ეკონომიკური პოლიტიკა აქვს, ხოლო, თუ აზერბაიჯანის მთავრობამ ყარაბაღზე კონტროლი აღადგინა, აზერბაიჯანის ხელისუფლების ნდობის ხარისხი მოსახლეობაში კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, ამერიკელების მიერ ალიევის წინააღმდეგ რაიმე რევოლუციის მოწყობის შანსი ნულამდე შემცირდება.

**— ქართველი პოლიტოლოგის — ალექსანდრე ჭაჭიას განცხადებით, თუ სხვა ქვეყნების გამოცდილებას გავითვალისწინებთ, სომხეთში დღეს ყველა წინაპირობა არსებობს „ფერადი გადატრიალებისთვის“. მეტიც — ეს რევოლუცია აუცილებელიც კია, თუ სომხეთის გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობებს გავითვალისწინებთ, ვინაიდან „ეს ყველაფერი რუსეთის საწინააღმდეგოდ, მის შესასუსტებლად ხდება“...**

— სრულიად ვეთანხმები ამ თვალსაზრისს და მინდა, ვთქვა, რომ შეუძლებელია, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას დონის პოლიტოლოგს პოლიტიკური პროცესების ანალიზში არ დაეთანხმო, რადგან მისი პოლიტიკური პროგნოზები ყოველთვის მართლდება. **ჩემი აზრით, დღეს თუ არა ხვალ ან ერთი წლის შემდეგ მაინც, სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ისე დასრულდება, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს ჩაფიქრებული. ეს, უბრალოდ, დროის საკითხია...**

**— სიტუაციის გართულების შემთხვევაში, როგორ აისახება ერევანში მიმდინარე პროცესების შედეგები კავკასიაზე და, კერძოდ, საქართველოზე?**

— გარდა იმისა, რომ სომეხი ეთნოსი სერიოზულ კრიზისში აღმოჩნდება, ეს პროცესები კავკასიაში გეოპოლიტიკურ სიტუაციას შეცვლის, თუმცა, ვფიქრობ, უშუალოდ საქართველოზე, ამ ეტაპზე მაინც, დიდ გავლენას ვერ მოახდეს, ვინაიდან საქართველო, ფაქტობრივად, უკვე ისედაც ამერიკელების გავლენის ქვეშ არის.



## «ერევანში სოციალური აფეთქება ისეთი უეცარი იყო, რომ სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე დასავლეთის აგენტურისა და მათი გავლენის ქვეშ მოქმედი პარტიებისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც კი დაიბნენ»

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ახალგაზრდა რეფორმატორები“, რომლებიც ე.წ. ვარდების რევოლუციის ტალღაზე მოვიდნენ ხელისუფლებაში, ამერიკის სპეცსამსახურებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ხელდასმული არიან.“**

ანზორ მაისურაძე:

# საქართველო სუვერენული ქვეყანაა თუ აშშ-ის «ნახევარშტატი»?

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა არ დაიზარა და თავის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს ტრადიციულად განსაკუთრებული თავი მიუძღვნა. ვერ მოიშალა ამ ყოვლად პატივცემულმა სახელმწიფო სტრუქტურამ სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის, გარჩევა-განხილვისა და შეფასების აკვიატებული ჩვეულება.**
**— რას ფიქრობთ ამ საკითხზე, ბატონო ანზორ?**
**— ამ შეკითხვით მიმართა „საქართველო და მსოფლიომ“ სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძეს.**

— ბოლო 25 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისე ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ფინანსურ-ეკონომიკურ ნიადაგში, რომ პრაქტიკულად (ცხადია, არა ოფიციალურად) თითქოს ნახევარი შტატის სტატუსი გვაქვს მონიჭებული.

ადრე ასეთი სტატუსი აშშ-მა პუერტო-რიკოს მიანიჭა.

**— ასეთი?!**

— ოფიციალურად სხვანაირად ისმის — არაინკორპორაციული ორგანიზებული ტერიტორია, რომელიც იმართება აშშ-ის მიერ და სადაც აშშ-ის კონსტიტუცია შეზღუდულად მოქმედებს. პუერტო-რიკოს უმაღლესი ხელისუფლება შეერთებული შტატების კონგრესის ხელშია, ხოლო ამ ტერიტორიას (და არა ქვეყანას) თვითმმართველობის სისტემა აქვს. შედეგად — თუ მანამდე ეს ქვეყანა პრობლემებს უქმნიდა შტატებს, ამის შემდეგ თავად მათ შეექმნათ პრობლემები იმით, რომ პუერტო-რიკოს სუვერენიტეტის ყველა ნიშანი ფორმალობად იქცა. **ასეთი სტატუსის საქართველოსთვის მინიჭების შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა დაკარგავს სახელმწიფოებრიობას, ხოლო სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელი ცარიელი ატრიბუტიკა რა თავში უნდა ვიხალოთ?! სამაგიეროდ მატერიალურად, ასე თუ ისე, ვიქნებით უზრუნველყოფილი. აშშ კი იმოქმედებს საქართველოში ისე, როგორც მოესურვება.**

**— ახლა რა, სხვანაირად იქცევა?!**

— გასული საუკუნის 90-იან წლებში ყველას გვახსოვს, რა გაჭირვება იყო: არა — პური, არა — წყალი, არა — ელექტროენერგია და გაზი, არაფერი გაგვაჩნდა. და ამ პერიოდში ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტად დაგვეხმარა, უპირველეს ყოვლისა, ხორბლით, ამერიკის შეერთებული შტატები იყო. **უმადურები არ უნდა ვიყოთ, მაგრამ მადლიერებასაც აქვს საზღვარი, მას არ უნდა შევწიროთ სახელმწიფოს სუვერენული უფლებები: სხვას არ უნდა გადავაწყვეტინოთ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებად მხოლოდ იმ პირების დანიშვნა, რომლებიც ამერიკაში სწავლობდნენ, იქ გაიარეს საეჭვო რეპუტაციის მქონე რაღაც კურსები და დილასაღამოს მხოლოდ „ლიბერალურ“ დემოკრატიაზე ლოცულობენ საკუთარი ქვეყნის ეროვნული ტრადიციებისა და ეროვნული იდენტურობის დათმობის ხარჯზე.**

არა მგონია, ასეთი დამოკიდებულება ჩვენს საქმეს წაადგეს.



**«ყველაფრით — პოლიტიკურად, ეკონომიკურად, ფინანსურად დამოკიდებული ვართ შტატებზე. იძულებულნი ვართ, ბევრი რამ გადავყლაპოთ... პირდაპირ ეუბნებიან ჩვენს ხელისუფლებას, არ იქცევით ისე, რომ ყველა პუნქტში აშშ-ის სახდეპის მოწონებას იმსახურებდეთ, შეცდომებს უშვებთო. არ მოსწონთ... ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ დღევანდელი ხელისუფლება უნდა შეიცვალოსო»**

**ის, რასაც ჩვენ მიმართ კადრულობენ, შეურაცხმყოფელია: გვეუბნებიან, ნატოში მიგიღებთო და არ გვიღებენ; გვეუბნებიან, ევროკავშირის კარი თქვენთვის ღიაო და ზღურბლზე გადაბიჯების უფლებას არ გვაძლევენ...**

ხალხს მობეზრდა ასეთი კატათაგვობანას თამაში. მობეზრდა!

სიკეთე თუ გამიკეთე, ბარემ მარილიც მოაყარე, შე მამაცხონებულო! არ გინდა? შენ — შენთვის, მე — ჩემთვის... ინტერესები, აშშ-ის გარდა, სხვა ქვეყნებსაც აქვთ საქართველოში. **განსაკუთრებით იკვეთება ამერიკის, რუსეთის, თურქეთის, გერმანიისა და ირანის ინტერესები, ოპერატიულ ინტერესებს ვგულისხმობ, უწინარეს ყოვლისა. ამ ინტერესებით განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტა კი შეუძლებელია, თუ არ ეყოლებათ თავიანთი აგენტურა. ჰყავთ კიდეც და აკეთებენ თავიანთ საქმეს.**

**შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველაფერი, რაც ამ აგენტურის მიერ ჩვენს ქვეყანაში ხდება, ცნობილია ჩვენი სპეცსამსახურებისთვის**. არადა, ყველაფერი მისხალ-მისხალ უნდა გვქონდეს აწონილი, შეფასებული, გაანალიზებული. წესით, ასე უნდა იყოს...

**— ბატონო ანზორ, ზემოთ ნახსენები ანგარიშიდან ჩანს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი არცთუ დელიკატურად გვეუბნება, დაკავებული ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებში პოლიტიკური საფანელი იკვეთებაო. ამას როგორ აფასებთ?**

— ძალიან ცუდად. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ **„ახალგაზრდა რეფორმატორები“, რომლებიც ე.წ. ვარდების რევოლუციის ტალღაზე მოვიდნენ ხელისუფლებაში, ამერიკის სპეცსამსახურებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ხელდასმული არიან. მათი დახმარებით მოვიდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ამ პროექტის ფიგურანტების როლი ამაღლებულიყო მსოფლიოში.**

მაგრამ ყოფილმა ხელისუფლებამ ისე წაიყვანა ქვეყნის მართვის საქმე, რომ არაადამიანური, არაკაცური მოქმედებით ხალხს შეაძულა რეფორმებიც და მათი ავტორებიც.

**გაკოტრდნენ ყოფილები და მოვიცილეთ კიდეც, მაგრამ დარჩნენ მათი პროტექტორები და, ისინიც რომ არ გაბითურებულიყვნენ მსოფლიოს თვალში, ჯერ კოაბიტაცია შემოგვთავაზეს, ახლა კი სახელმწიფო დამნაშავეების გათეთრებაზე მუშაობენ. გვითხრეს: ხელი არ ახლოთ, ჩვენი გაზრდილები არიან, წარსული დაივიწყეთ, მომავალზე, მათთან თანამშრომლობაზე იფიქრეთო!**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოდან ყველა წამყვანი მინისტრი გაიქცა. ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი რამ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, რა ამბავი ატყდებოდა მსოფლიოში და, უპირველეს ყოვლისა, თვით აშშ-ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში! ახლა — ვითომც არაფერი!

საქართველოშიც რაღაც გაუბედავი ნაბიჯების მოწმენი ვართ. რატომ? იმიტომ, რომ **ყველაფრით — პოლიტიკურად, ეკონომიკურად, ფინანსურად დამოკიდებული ვართ შტატებზე. იძულებულნი ვართ, ბევრი რამ გადავყლაპოთ... ბოდიშს ვუხდი თქვენს მკითხველს ამ გამოთქმისთვის.**

**— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ზოგიერთი შემფასებლური ფორმულირებით, რომლებიც სახდეპის ანგარიშშია, ცდილობენ, შეარყიონ ჩვენი ხელისუფლების ავტორიტეტი?**

— აშკარად ჩანს! **პირდაპირ ეუბნებიან ჩვენს ხელისუფლებას, არ იქცევით ისე, რომ ყველა პუნქტში აშშ-ის სახდეპის მოწონებას იმსახურებდეთ, შეცდომებს უშვებთო.** არ მოსწონთ... ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, დღევანდელი ხელისუფლება უნდა შეიცვალოსო... მაგრამ არ ვიცი, ვის მოიყვანენ სანაცვლოდ.

**— ალასანიას ხომ არა? „კაბელების საქმის“ აქცენტირება სახდეპის ანგარიშში ამაზე ხომ არ მიგვითითებს?**

— ძნელი სათქმელია... მაგრამ ამ საქმის ფიგურანტების ციხიდან გამოშვება აშკარად რაღაცის მიმანიშნებელია. იქნებ, მთავარი პროკურატურის დიდი ლაფსუსია? იქნებ, მართლაც ალასანიას დისკრედიტაციისთვის გაკეთდა? არ ვიცი. თუ საფუძველი არ გაქვს, არავინ უნდა დააპატიმრო. ჩვენ დროს, იცით, როგორ იყო? კაცს რომ დააპატიმრებდნენ, მისი დანაშაული უკვე დამტკიცებული იყო ყველა სამართლებრივი პროცედურის შესრულების საფუძველზე, მაგრამ, ჯერ რომ დააპატიმრებ და შემდეგ შეეცდები დანაშაულის დამტკიცებას, ეს სამართლის ლოგიკაში არ „ჯდება“.

**— გასულ კვირაში ევროპასა და არაბულ სამყაროში ერთდროულად სამი ტერაქტი მოხდა, ათობით ადამიანი დაიღუპა, ჩრდილოეთ კავკასიაში კი დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ თავისი პროვინციის შექმნაზე განაცხადა. რას უნდა ველოდოთ?**

— ლოდინის დრო არ არის, არც აღშფოთებისა და შეშფოთების. ასეთი რეაქცია უკვე სასაცილო ხდება. ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საქართველოსნაირი პატარა ქვეყანა ვერაფერს გახდება. ის კი არა, კოალიციამაც ვერ შეძლო შესამჩნევი შედეგების მიღწევა, არ ეყო ძალისხევა და სურვილი. არც მარტო აშშ-მა და მის ირგვლივ დარაზმულმა ქვეყნებმა, არც მარტო რუსეთმა და მასთან ერთად მოქმედმა კოალიციამ, არამედ ყველამ ერთად, ყველა იმ სახელმწიფომ, რომლებიც კაცობრიობის უპირველეს მტრად ტერორიზმს მიიჩნევს, საერთო ძალით უნდა შეუტიოს მსოფლიოს წინააღმდეგ ამხედრებულ ამ შავბნელ ძალას.

**— ერთ-ერთმა ექსპერტმა ჩრდილოეთ კავკასიის ხალიფატზე საუბრისას თქვა, რომ აქ გადაიკვეთება რუსეთისა და საქართველოს ინტერესები.**

— ჯერ ერთი, კი არ გადაიკვეთება, დაემთხვევა რუსეთ-საქართველოს ინტერესები, მაგრამ სხვა პრობლემები, რომლებიც ჩვენ შორის არსებობს, დარჩება; მეორეც, აღნიშნულ რეგიონში არა მხოლოდ ამ ქვეყნების, არამედ შეერთებული შტატების ინტერესებიც დაემთხ- ▶

## პუერტო-რიკო ვერ იხდის სახელმწიფო ვალს, რომელიც 72 მილიარდს შეადგენს

### აშშ-თან ასოცირებული სახელმწიფო დეფოლტის პირასაა

**„პუერტო-რიკოს არ შეუძლია სრულად დაფაროს სახელმწიფო ვალი, რომელიც ამჟამად 72 მლრდ დოლარს შეადგენს“, — განაცხადა კუნძულის გუბერნატორმა გარსია პადილიამ გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

ამერიკული გამოცემა იუწყება, რომ აშშ-თან ასოცირებული სახელმწიფოს გუბერნატორსა და ადმინისტრაციის წევრებს განზრახული აქვთ, კრედიტორებს სთხოვონ შეღავათები, რომლებიც გულისხმობს ვალების გადახდის ვადების გადაწევას 5 წლით ან ვალების მიმდინარე პროგრამის მნიშვნელოვნად გახანგრძლივებას.

**„ვალების გადახდა შეუძლებელია. სხვა გამოსავალი არ არის. ეს უკვე პოლიტიკა კი არა, მათემატიკაა. თუ კრედიტორები მოლაპარაკების მაგიდას არ მიუსხდებიან, მათთვის იქნება ცუდი, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ვითარება დღითიდღე უარესდება, ჩვენ სულ უფრო ცოტა ფული გვექნება ვალების გასასტუმრებლად. მთავრობა ველარ განაგრძობს სესხის აღებას ბიუჯეტში დეფიციტის აღმოსაფხვრელად, ამიტომ მოქალაქეები უნდა შეეგუონ გადასახადების მომატებას და ხელფასების შემცირებას“,** — განაცხადა პუერტო-რიკოს გუბერნატორმა.

ამერიკული გამოცემა წერს, რომ გარსია პადილიამ კრიზისის შესახებ ტელეეკრანიდან მიმართა ქვეყნის მოსახლეობას, რომელიც 3,6 მლნ კაცს შეადგენს, მანამდე კი არ გამორიცხა პუერტო-რიკოს გაკოტრებულად გამოცხადება.

ამა წლის აპრილში პუერტო-რიკოს სახელმწიფო ბანკმა გამოაცხადა, რომ კუნძულის სახელმწიფო სტრუქტურებს დაუფინანსებლობის გამო უახლოეს სამ თვეში დახურვა ემუქრებათ.

„პუერტო-რიკოს ფინანსური მდგომარეობა გაურკვეველია. მთავრობის მუშაობის შეჩერება, შეიძლება, დამღუპველად აისახოს ეკონომიკაზე, რომლის გამოჯანმრთელებაც ხანგრძლივი პროცესი იქნება“, — ნათქვამია ბანკის განცხადებაში.

ამის შემდეგ ადგილობრივი კანონმდებლები გამოვიდნენ ინიციატივით, შეემცირებინათ 9,8 მილიარდიანი სახელმწიფო ბიუჯეტი 674 მლნ დოლარით, რაც გამოიწვევს ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების მასობრივად შემცირებას, აგრეთვე, გადასახადების მომატებას მოქალაქეებისათვის იმ ქვეყანაში, რომელიც სიღარიბისა და დამნაშავეობის მაღალ დონეს ებრძვის.

„ერთსქესიანთა ქორწინებაზე საუბარი საქართველოშიც დაიწყება, რადგან ჩვენ აშშ-ის ერთ-ერთი სტრატეგიული და მეგობარი ქვეყანა ვართ. ალბათ, საქართველოში გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამ საკითხზე ღიად ისაუბრებენ, პროპაგანდას დაიწყებენ. ყველა მათგანს მინდა, ვუთხრა: ეს არ გააკეთონ, ამით ქართული გენი და მომავალი დაიკარგება, დაიღუპება!“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ვევა ერთმანეთს, თუმცა — დროებით.

მოდით, საკითხის ისტორია გავიხსენოთ.

თქვენს მკითხველს მოეხსენება, რომ „ალ ქაიდა“ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნა, „ისლამური სახელმწიფოც“ იმ არეულობიდან იშვა, რომელიც ამერიკის მიერ განხორციელებულ „არაბულ გაზაფხულს“ მოჰყვა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ყველაფერი ეს კეთდებოდა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში, მივიღეთ არეული მსოფლიო — „ისლამური სახელმწიფო“ და დაუსრულებელი ომები რადიკალური ისლამის დროშის ქვეშ.

**— უმდიდრესი დაჯგუფებაა ტერორისტების ეს „სახელმწიფო“, „ბოევიკები“ უფართოეს ექსპანსიას განახორციელებენ ყველა მიმართულებით...**

— და მაინც, ყველაზე საშიშია არა ფინანსური წყაროების გაფართოება, არამედ ცოცხალი ძალის ის ნაკადი, რომელიც „ისლამური სახელმწიფოსკენ“ მიედინება. დღევანდელი მონაცემებით, **ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან 1500-ზე მეტი ახალგაზრდა იბრძვის ტერორისტების რიგებში, მაგრამ კიდევ უფრო საშიშნი არიან ისინი, ვინც მოხალისედ წავიდა და შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ჩემი აზრით, სწორედ ისინი ჩაუდგებიან სათავეში რეგიონულ ტერორისტულ ორგანიზაციებს, გაააქტიურებენ მუშაობას ახალგაზრდების გადასაბირებლად და ა.შ.** საქართველოს უშიშროების შესაბამისმა სამსახურებმა სწორედ ამ მიმართულებით უნდა გააძლიერონ თავიანთი დანაყოფების საქმიანობა.

დღევანდელი მდგომარეობა უშუალო შედეგია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკისა. უფრო კონკრეტულად — გაზისა და ნავთობსაბადოების დაპატრონებისთვის დაწყებული საომარი მოქმედების.

**— მხოლოდ ეს რომ იყოს, კიდევ ჰო... ორიოდე დღის წინათ თეთრი სახლის ფასადი ვაშინგტონში ლგბტ-თა დროშის ფერებით გაანათეს. ვაშინგტონი მამათმავლობის დედაქალაქად იქცა — თუ აქამდე აშშ-ის 38 შტატში იყო დაშვებული ერთსქესიანთა ქორწინება, ამიერიდან ამ „ბედნიერებასთან“ ზიარება ამერიკის მთელ ტერიტორიაზე გახდა შესაძლებელი... პრეზიდენტმა ობამამ ეს თავისი მოღვაწეობის უთვალსაჩინოეს მიღწევად გამოაცხადა.**

— ძალიან უარყოფითად ვუყურებ ასეთ „ლიბერალიზმს“. სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი და ამ პოზიციაზე ვრჩები. ანტიადამიანური, ანტიქრისტიანული ყოვლად მიუღებელია ჩემთვის. არ ვიცი, რა დაემართა ამ ხალხს, როგორ და რატომ შეერყა ტვინი, ასეთ უბედურებამდე რომ მივიდა.

მე მხარს ვუჭერ იმ პოზიციას, რომელზეც დგას პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი: „მე, როგორც პრემიერმინისტრი და საქართველოს მოქალაქე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ქორწინება და ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა“.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ჯუმბერ პატიაშვილი:

# თუ ერთსქესიანთა ქორწინებას დავაკანონებთ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავკარგავთ!



**აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას „უნიკალურმა“ ფრაზამ — ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ამერიკის ყველაზე დიდი გამარჯვებააო, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია, მათ შორის, ლიბერალური ფრთისაც კი. ამერიკის პოლიტიკით შეშფოთებული ადამიანები თვლიან, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებით ამერიკამ ნიღაბი ჩამოიხსნა და მსოფლიოს საზოგადოებრიობამ მისი ნამდვილი სახე დაინახა. აშშ-ის ხელისუფლების ამ სკანდალურ გადაწყვეტილებაზე „საქართველო და მსოფლიო“ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს — ჯუმბერ პატიაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ჯუმბერ, ამერიკის ყველა შტატში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებამ ქართველი საზოგადოება აღაშფოთა. თქვენ რას ფიქრობთ, ზესახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებაზე?**

— ამერიკის პრეზიდენტის განცხადებამ, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება დიდი გამარჯვებააო, ცუდად გამხადა. ამის შემდეგ კი ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, ერთსქესიანთა ქორწინება ყველა ქვეყანაში უნდა დაკანონდესო. მათი ეს განცხადებები ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ბუნებრივია, **ერთსქესიანთა ქორწინებაზე საუბარი საქართველოშიც დაიწყება, რადგან ჩვენ აშშ-ის ერთ-ერთი სტრატეგიული და მეგობარი ქვეყანა ვართ. ალბათ, საქართველოში გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამ საკითხზე ღიად ისაუბრებენ, პროპაგანდას დაიწყებენ. ყველა მათგანს, მინდა, ვუთხრა: ეს არ გააკეთონ, ამით ქართული გენი და მომავალი დაიკარგება, დაიღუპება!**

პოლიტიკას ჩამოვშორდი, მაგრამ არ შემიძლია, გულგრილად ვუყურო იმ უზნეობას, რომლის დამკვიდრებასაც საქართველოში ცდილობენ. ასეთ მძიმე ვითარებაში მედიასაშუალებების როლი განუზომელია, მათ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა, მაგრამ ჩვენი ტელევიზიებიცა და ჟურნალისტებიც არასწორ პოზიციაზე დგანან. ბევრი ჟურნალისტი ადამიანის შეურაცხყოფას თავისუფლებას უწოდებს. მიმდინარეობს უზნეობის პროპაგანდა, რომელიც ქვეყნისთვის დამღუპველია.

შვილიშვილები მყავს, მომავალი თაობები იზრდებიან. შეშფოთებული ვარ ინფორმაციით, რომელსაც ისინი ისმენენ, უყურებენ. დღეს არაფერს პატივს აღარ სცემენ — არც ასაკს, აღარც პიროვნებას, აღარც დამსახურებას. ჭკუის სწავლებას ცდილობს ადამიანი, რომელსაც ამის მორალური უფლება არ აქვს.

ამ ყველაფრის შემყურე, ვფიქრობ, ტყუილად გვიცხოვრია...

ჩვენი დეგრადაციის მიზეზებს სხვაგან ვეძებთ, არადა, ჩვენ თვალწინ დაიწყო მე-20 საუკუნეში, მერე განვითარდა და აქამდე მოვედით.

**— პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, დავაკანონებთ, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და კაცის ერთობააო. ამის შესახებ მან ადრეც განაცხადა და უცბად „ჩაფარცხეს“ ეს საქმე. როგორ ფიქრობთ, დღეს შეძლებს ამ იდეის განხორციელებას?**

— იმ ძალამ, რომელმაც თავის დროზე წინააღმდეგობა გაუწია პრემიერს, არასწორი გზა აირჩია.

**მიხარია, მთავრობის ხელმძღვანელი რომ ფიქრობს, ოჯახი მხოლოდ კაცისა და ქალის მიერ იქმნებაო და ეს უნდა დაკანონდეს. პარლამენტარი, რომელიც ამას მხარს არ დაუჭერს, უნდა გააგდო. მას არ უნდა ჰქონდეს უფლება, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იჯდეს და მოქალაქეების ბედი გადაწყვიტოს.**

**— თუ ღარიბაშვილის სიტყვები რეალობად იქცა, საეჭვო გახდება ჩვენი მომავალი ნატოსა და ევროკავშირში...**

**— არ მინდა ისეთ კავშირში ყოფნა, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მომთხოვს. ორგანიზაცია, რომელიც ისეთ რამეს მთხოვს, რომელიც ჩემს წარსულს, თვითმყოფადობასა და ეროვნულობას გაანადგურებს, თანაც ახალგაზრდებს შორის დაპირისპირებას გამოიწვევს, ნამდვილად არ მინდა.**

ყველაფერი ეს გასათვალისწინებელია.

სხვა სხვის ომში ბრძენიაო და ახლა მეც ასე გამომდის, თითქოს ჭკუას ვასწავლი პოლიტიკოსებს, რომელთა უმეტესობაც სულაც არ არის პოლიტიკოსი, მაგრამ უნდა ვთქვა: არ შეიძლება კატეგორიულად გამოხატვა და გაკეთება ისეთი რაღაცის, რაც შენს ტრადიციას ეწინააღმდეგება. ეს ნიშნავს, რომ წარსულს არ სცემს პატივს და წინაპარს, რომელმაც აქამდე მოგიყვანა.

**— ჩვენ ნელ-ნელა, ეტაპობრივად ყველა დავალება შევასრულეთ, რომლებიც ევროპიდან და ამერიკიდან მოდიოდა; მათ შორის ის, რომ პასპორტიდან ამოვიღეთ მამის სახელი, ეროვნება და ა.შ. ხომ შეიძლება, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაც დაგვავალონ?**

— სწორედ ეს მაშფოთებს. ასეთ სიბინძურეებს თანდათანობით გვაპარებდნენ და ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით. **ამოიღეს პასპორტიდან ეროვნება და დატოვეს საქართველოს მოქალაქე. იყოს საქართველოს მოქალაქე ყველა, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს, მაგრამ იყოს ეროვნებაც. საზღვარგარეთ არიან ქართველები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა არ აქვთ, მაგრამ მეტად ცდილობენ ქართველობას, ვიდრე აქ მცხოვრებნი...** ამოიღეს მამის სახელი, თქვეს, რომ რუსული გადმონაშთია. მამის სახელის ხსენება ყველას მოსწონს და უხარია, თუ კარგი მამის შვილია, ყველას ახალისებს მამის სახელის ხსენება...

ამოიღეს ეროვნება, მე **მსოფლიოს მოქალაქეობა არ მინდა. მინდა, ვიყო ქართველი და საქართველოს მოქალაქე!**

**— სქესთან დაკავშირებით რას გადაწყვეტენ ამერიკელები?**

— არ ვიცი. ერთსქესიანთა ურთიერთობა ახლა არ დაწყებულა. საუკუნეებია, ეს ხდება, მაგრამ ამაზე არც ერთი ქვეყანა, არც ერთი იმპერია არ აწყობილა... ამას პროპაგანდას არავინ უწევდა. დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი დაიკარგა, რადგან თვითონ ის იმპერიები და სახელმწიფოები განადგურდა, რომლებშიც ეს ხდებოდა.

ადამიანი გაჩენილია იმისთვის, რომ გამრავლდეს და მომავალი თაობა გაზარდოს...

გაოგნებული ვარ იმით, რაც ლუქსემბურგში მოხდა. მამაკაცი პრემიერი გამოვიდა და მეუღლე მამაკაცი გამოიყვანა, ხალხი ამას ჩეულებრივად მიესალმა. ეს რა უბედურებაა?! ნუთუ ყველაფერი დავკარგეთ?! ადამიანები არანორმალურები გახდნენ. დიახ, აბა, ამას რა დავარქვა?!

**— ლუქსემბურგი რა გასაკვირია? ამერიკის პრეზიდენტმა ყველაზე დიდ გამარჯვებად სწორედ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ჩაითვალა.**

**— ობამას ყველაზე დიდი დამარცხება სწორედ ამ გადაწყვეტილების მიღება იყო. ამ განცხადებამ კიდევ უფრო დააკნინა ამერიკა. ნუთუ სხვა ოცნება არ ჰქონდა ამერიკას?**

ადრე ჩვენ ცოტა სხვა წარმოდგენა გვქონდა ამერიკასა და ამერიკელებზე, იზოლირებული ვიყავით, მაგრამ 1960-იან წლებში მქონდა შეხება მათთან. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის იყო დაპირისპირება, იყო თავშეკავება და მოკრძალება. **მოსკოვში რიჩარდ ნიქსონი ჩამოვიდა, დავინახე, რომ შავკანიანები და თეთრკანიანები ცალ-ცალკე იდგნენ, გაოგნებული ვიყავი. ვიცოდით, ეს ასე იყო, მაგრამ მაინც გამიკვირდა. ავტობუსშიც ცალ-ცალკე ჩასხდნენ...** რამდენიმე წელიწადში ეს დამოკიდებულება ისე შეიცვალა, რომ ყველაფერს ხაზი გადაუსვეს.

ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ოჯახს ორი ადამიანი ქმნის და არ აქვს მნიშვნელობა, ეს ორი ადამიანი ვინ იქნება, ეს დამღუპველია, ესენი ქვეყანაში არსებული უბედურების მონაწილენი არიან.

ის, რაც ამერიკაში მოხდა, ძალიან მძიმე შემთხვევაა და არ მინდა, ჩვენთანაც განმეორდეს. ხალხმა პროტესტი უნდა გამოხატოს ამ უზნეობის წინააღმდეგ. ამისთვის უამრავი ფორმა არსებობს, არავის მივცეთ ცოდვის ჩადენის საშუალება. ყველაფერი საჯაროდ უნდა ითქვას, დასამალი რა გვაქვს?!

თუ დავაკანონებთ ერთსქესიანთა ქორწინებას, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავკარგავთ! საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ყველასთვის უმთავრესი პრობლემა უნდა იყოს. ასე ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ.

კიდევ ვიმეორებ: **ის, რაც ამერიკაში მოხდა, ყოველმხრივ მიუღებელია ქართველი კაცის ფსიქიკისთვის.**

ჩემი სათქმელი ვთქვი, ვინც მოისმენს, ძალიან კარგი, დანარჩენს ერი თვითონ იტყვის.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მიხარია, მთავრობის ხელმძღვანელი რომ ფიქრობს, ოჯახი მხოლოდ კაცისა და ქალის მიერ იქმნება და ეს უნდა დაკანონდესო. პარლამენტარი, რომელიც ამას მხარს არ დაუჭერს, უნდა გააგდო. მას არ უნდა ჰქონდეს უფლება, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იჯდეს და მოქალაქეების ბედი გადაწყვიტოს»**

**«ის, რაც ამერიკაში მოხდა, ძალიან მძიმე შემთხვევაა და არ მინდა, ჩვენთანაც განმეორდეს. ხალხმა პროტესტი უნდა გამოხატოს ამ უზნეობის წინააღმდეგ. ამისთვის უამრავი ფორმა არსებობს, არავის მივცეთ ცოდვის ჩადენის საშუალება. ყველაფერი საჯაროდ უნდა ითქვას, დასამალი რაღა გვაქვს»**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როცა პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, ეკლესია ითხოვდა, რომ გარკვეული დრო მოეცათ და გვემსჯელა უფრო საფუძვლიანად, უფრო დეტალურად და ამომწურავად. სამწუხაროდ, პარლამენტმა ეკლესიის თხოვნა ყურად არ იღო, ერის ხმას ყურადღება არ მიაქცია და გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც იყო პირდაპირ ღვთის გმობა და უფლის წინააღმდეგ გალაშქრება. აი, ზუსტად ასეთ ცოდვებს მოსდევს ხოლმე განსაცდელი და უბედურება“**



# მამა ვახტანგი (დავითაშვილი): ქართველ კაცს ვერავინ დაარწმუნებს, რომ სოდომია, გარყვნილება და აღვირახსნილობა მისი ისტორიული არჩევანია

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ჭოპორტის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ვახტანგი (დავითაშვილი).**

**— მამა ვახტანგ, წინა კვირას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ევროკომისიის დახმარებით საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან საგანგებო შეხვედრა გამართა და „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ ეფექტიანი აღსრულების პრობლემებზე იმსჯელა. ამ ღონისძიებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ზემოაღნიშნული კანონი მხოლოდ ქაღალდზე არ უნდა დარჩეს და იგი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე რეალურად უნდა აისახოს. რას მოგვიტანს ამ კანონის „ეფექტიანი აღსრულება“ და რას მივიღებთ შედეგად?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. უწინარესად, მინდა, სრულიად საქართველოს მივუსამძიმრო იმ ტრაგედიის გამო, რომელიც 13 ივნისს მოხდა. ეს დიდი უბედურება იყო და უნდა დავფიქრდეთ ამაზე. უნდა გვახსოვდეს, რა ახლოს არის სიკვდილი და რა მოულოდნელად შეიძლება გვიწიოს.

რაც შეეხება ამ უბედურების გამომწვევ მიზეზებს, **გაკეთდა უამრავი განცხადება და გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ მთავარი, ფაქტობრივად, არავის უთქვამს. ვფიქრობ, ამ ყველაფრის მიზეზთა მიზეზი არის ჩვენი არასწორი ცხოვრების წესი,** ჩემიც, მათ შორის, და სრულიად საზოგადოების. იმიტომ, რომ როგორც მადლი ვრცელდება — ცოდვებიც გროვდება. ერთ მონაკვეთს გავიხსენებ ბიბლიიდან: როდესაც კაენმა მოკლა აბელი, ღმერთი კაენს ეუბნება: შენი ძმის „სისხლი ღაღადებს“. ეს რას ნიშნავს? თითოეული ცოდვა, დიდი თუ მცირე, მძიმე თუ ნაკლებად მძიმე — არც ერთი ღვთის წინაშე არ იფარება და შემდეგ ეს ყველაფერი უბრუნდება ადამიანს განსაცდელის სახით, რათა მან თავისი ცოდვები შეინანოს. ახლა ამ ყველაფერს რატომ ვამბობ: თავის დროზე, **როცა პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, ეკლესია ითხოვდა, რომ გარკვეული დრო მოეცათ და გვემსჯელა უფრო საფუძვლიანად, უფრო დეტალურად და ამომწურავად. სამწუხაროდ, პარლამენტმა ეკლესიის თხოვნა ყურად არ იღო, ერის ხმას ყურადღება არ მიაქცია და გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც იყო პირდაპირ ღვთის გმობა და უფლის წინააღმდეგ გალაშქრება. აი, ზუსტად ასეთ ცოდვებს მოსდევს ხოლმე განსაცდელი და უბედურება...**

ახლა „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ ეფექტიანად აღსასრულებლად გამართულ შეხვედრაზეც მოგახსენებთ: არ ვიცი, სად იყო ან როდის იყო და კონკრეტულად რაზე ისაუბრეს ამ შეხვედრაზე, მაგრამ ის, რომ ღონისძიებას ესწრებოდნენ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უკვე ბევრი რამის მთქმელია. საერთოდ, ეს ორგანიზაციები უკვე უამრავ შეკითხვას აჩენენ — ვინ დგას მათ უკან, რა ძალები, რა ამოცანებს ემსახურებიან... მოკლედ, ეს გასარკვევია; თუმცა ერთი რამ ისედაც ცხადია, — მათ აქვთ უდიდესი გავლენა მმართველ ძალაზე და მეტიც: ისინი, ფაქტობრივად, მართავენ ქვეყანას. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდ საფრთხეებს შეიცავს სახელმწიფოსთვის იმიტომ, რომ **უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციები როდის და ვისი ინტერესების სამსახურში ჩადგებიან, კაცმა არ იცის...**

**— „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ ეფექტიანი ამოქმედება როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ეს კანონი ვერ ამოქმედდება იმიტომ, რომ საქართველოში არ ირღვევა არავის უფლებები. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, — **საქართველოში არავინ არავის დევნის სექსუალური ორიენტაციის ან რელიგიური შეხედულებების გამო. ეს არის თითიდან გამოწოვილი თემა და, როგორც ჩანს, ამ პროვოკაციას გარკვეული მიზანი აქვს...**

**— ისინი თვლიან, რომ უფლებების დარღვევაა, როდესაც, ვთქვათ, 17 მაისს „ჰომოფობიის“ საწინააღმდეგო ღონისძიების გამართვას ვერ ახერხებენ.**

— გასაგებია, მაგრამ ჩვენ, ეკლესია, ვთვლით, რომ ეს არის გაუკუღმართებული ცხოვრების წესი და მომაკვდინებელი ცოდვა. თუკი ისინი გამოვლენ რუსთაველზე ან დედაქალაქის ნებისმიერ სხვა ადგილას და მოაწყობენ მსვლელობას, ვისი უფლებები დაირღვევა?

**— მათი აზრით, ეს დემოკრატიაა.**

— მათი აზრი გასაგებია — რომ შეეძლოთ, ერთსქესიანთა ქორწინებასაც დააკანონებენ და ე.წ. ერთსქესიან ოჯახებს შვილის აყვანის უფლებასაც მისცემენ, მაგრამ მე სხვა რამეს ვგულისხმობ: **ჩვენი საზოგადოების, სულ ცოტა, 80 პროცენტი ხომ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი? იქნება თუ არა იმ, სულ ცოტა, 80 პროცენტის უფლებების დარღვევა, აქ რომ გეიაღლუმი ჩატარდეს და სოდომური ცოდვით შეპყრობილმა ადამიანებმა ორგიები მოაწყონ?!** რა თქმა უნდა, ეს იქნება სრულიად საქართველოსთვის უდიდესი შეურაცხყოფა, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ქართველი საზოგადოება არასოდეს შეეგუება ამ აღვირახსნილობას, საქართველო არასოდეს მიიღებს სოდომიას და გარყვნილებას, რაც უნდა დაგვაძალონ და თავს მოგვახვიონ ეს უბედურება...

## «რასაც ჩვენ გვთავაზობენ და რასაც ლიბერალიზმს ეძახიან, ჩვეულებრივი ფაშიზმია»

**— წინა კვირას ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ქვეყნის ორმოცდაათივე შტატში ერთსქესიანთა ქორწინება ოფიციალურად დაკანონდა. იმავე დღეს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ვაშინგტონი ყველაფერს გააკეთებს, ანალოგიური საკანონმდებლო ცვლილებები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რომ განხორციელდესო. არის კი ასეთი დასავლეთი ჩვენი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი? ხელისუფლება გვეუბნება, რომ ევროინტეგრაცია ჩვენი ისტორიული არჩევანია.**

— დღეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ფიქრობს, რომ **ევროპამაც და დანარჩენმა მსოფლიომაც უნდა მიგვიღოს ისეთი, როგორიც ვართ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ევროპა გვინდა, არც ამერიკა და არც რომელიმე სხვა ქვეყანა ან ქვეყნების გაერთიანება, რომლებიც ჩვენი კულტურის, ტრადიციებისა და ეროვნული ღირებულებების დათმობას მოგვთხოვს.**

რაც შეეხება ისტორიულ არჩევანს, **რა პროპაგანდამაც უნდა იმუშაოს, რა იდეოლოგიის თავს მოხვევაც უნდა სცადოს ვინმემ, ქართველ კაცს ვერავინ დაარწმუნებს, რომ სოდომია, გარყვნილება და აღვირახსნილობა მისი ისტორიული არჩევანია.** ეს ტყუილია და, საბედნიეროდ, საზოგადოება ამას კარგად ხედავს. სხვათა შორის, **ის, რაც დღეს დასავლეთში ხდება, დასავლური საზოგადოების არჩევანიც არ არის.** გაიხსენეთ, რა ხდებოდა საფრანგეთში, როცა ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა. დარწმუნებული ვარ, ამერიკის საზოგადოებაშიც ანალოგიური განწყობებია და შეიძლება, იქ ძალიან მალე სერიოზული წინააღმდეგობები დაიწყოს.

დასავლურ საზოგადოებაში, იქნება ეს ამერიკის თუ ევროპის, კარგიც ბევრია და გადმოსაღებიც, მაგრამ, საუბედუროდ, იმ კარგს არავინ გვთავაზობს. **რასაც ჩვენ გვთავაზობენ და რასაც ლიბერალიზმს ეძახიან, ჩვეულებრივი ფაშიზმია, ეს არის ღვთის უარყოფა და ემსახურება ერთადერთ მიზანს — ადამიანის სულიერად დაცემას და გაღატაკებას.**

ამას ბევრი ვერ ხვდება და ჰგონია, ეს იდეოლოგია არის ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებები. 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ პატრიარქმა ქადაგებაში ბრძანა, ზოოპარკის გალიები გადამდნარი ზარების მასალით არის აწყობილიო და მის ნათქვამს როგორი განრისხება მოჰყვა ზოგიერთი ამ ე.წ. ლიბერალისგან, რომლებიც თითქოს დემოკრატიული ღირებულებებით ცხოვრობენ?! ლიბერალიზმი და დემოკრატია სხვისი აზრის პატივისცემა და მოსმენის კულტურაა, მათ კი პატრიარქის შეურაცხყოფა დაიწყეს. საკვირველია, რომ ეს ადამიანები თავიანთ თავს ლიბერალებს უწოდებენ, არადა, თავიანთი აზრის გასავრცელებლად არ ერიდებიან ლანძღვას, შეურაცხყოფას, დაცინვასა და სხვა საზარელ ქმედებებს. ერთმა სასულიერო პირმა ქადაგებისას აღნიშნა, ასეთ სტიქიებში ღვთის ხელი ურევიაო; ავს და მტერს, რაც მის ქადაგებას მოჰყვა, მისი პირდაპირი შეურაცხყოფა დაიწყეს, არადა, ეს ხალხი თავიანთ თავს ლიბერალებს უწოდებენ. **აზრის გამოხატვის, მით უმეტეს, სიმართლის თქმის გამო შეიძლება, ადამიანი ასე შეურაცხყო?! ამ ყველაფერს ჰქვია დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული დემონოკრატია.** სხვათა შორის, კარგი იქნებოდა, სამართალდამცავებს მოესმინათ ჩვენი გულისტკივილი, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანაში მიღებულია ანტიდისკრიმინაციული კანონი. კიდევ ვიმეორებ: ამას დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან საერთო არაფერი აქვს, **ამ იდეოლოგიის უკან დგას სატანა თავისი მსახურებით, თავისი მსტოვრებითა და მონა-მორჩილებით.**

**— მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში შეაქვთ ახალი საგანი „მე და საზოგადოება“, რომლის მიზანიც მოზარდებში „სამოქალაქო ცნობიერების“ ამაღლება და „განსხვავებულისადმი“ პატივისცემის დამკვიდრებაა, — ასე განმარტავენ განათლების სამინისტროში. მოკლედ, ეს საგანი არის სწორედ მოსამზადებელი ეტაპი იმისთვის, რომ ახლო მომავალში აქაც დააკანონონ ერთსქესიანთა ქორწინება. რის გაკეთება შეუძლია საზოგადოებას ან თუნდაც ეკლესიას, ეს პროცესი რომ შეაჩეროს?**

— უკვე ათეულ წელზე მეტია, სკოლებში მსგავსი საგნების შეტანას ცდილობენ. მას ხან „პირადი ჰიგიენა“ დაარქვეს, ხან — რა და ხან — რა. ის კი არა, წიგნებიც კი დაბეჭდეს, სადაც სიყვარულის აქტზე იყო საუბარი და ამ წიგნით 5-8 წლის ბავშვებისთვის უნდა ესწავლებინათ. ანუ, **ამოცანა იყო, რომ ბავშვი თავიდანვე გაერყვნათ და მათთვის სასურველ იდეოლოგიურ კალაპოტში მოექციათ. მერე, ცხადია, ასეთ იდეოლოგიაზე გაზრდილი ადამიანი იოლი სამართავი იქნება, ის ყველაფერს მიიღებს, ყველაფერზე დათანხმდება, რადგან, ჯერ ერთი, თვითონაც ამ იდეოლოგიის წარმომადგენელია და მეორეც — წინააღმდეგობის თავი აღარ ექნება...** სკოლებში ამ თემებზე დისკუსიების გამართვა და გაკვეთილების ჩატარება ყოვლად დაუშვებელია, ეს იქნება ჩვენი შვილების სასწავლო მერხებიდანვე გარყვნა. ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგება ეკლესია და საზოგადოება.

**— ვთქვათ, ამ პროპაგანდამ და იდეოლოგიამ მაინც მიაღწია მიზანს, რა თაობას მივიღებთ, რა ცვლილებები მოხდება ქართველ საზოგადოებაში?**

— მოხდება ის, რაც დღეს დასავლეთში ხდება, ვგულისხმობ ქართულ ცნობიერებასთან, ღირებულებებთან და ფასეულობებთან შეუსაბამო ცვლილებებს, თორემ იქ კარგიც ბევრი ხდება. მოკლედ, **ყველაფერ იმას, რასაც დღეს ვერ ახერხებენ იმის გამო, რომ საზოგადოების ეშინიათ, პირნათლად შეასრულებენ. დაწყებული ერთსქესიანთა ქორწინებებით, დამთავრებული ე.წ. ერთსქესიანი ოჯახებისთვის შვილის აყვანის უფლების მიცემით — ყველაფერი საკანონმდებლო დონეზე გაფორმდება,** თუმცა დარწმუნებული ვარ, საქართველოში ამას ვერ შეძლებენ იმიტომ, რომ ქართველი საზოგადოება ამას არასოდეს შეეგუება. ეს იცის ყველამ — ხელისუფლებამაც და მისმა დასავლელმა პარტნიორებმაც, ამიტომაც ვერ ბედავენ და ვერც გაბედავენ ამ თემებზე საჯაროდ საუბარს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„შეუძლებელია, არ ვთქვა ის, რაც ლადო პაპავამ — უნივერსიტეტის რექტორმა, ჩემთვის პატივსაცემმა კაცმა, გააკეთა. ალექსანდრე რონდელი უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან გამოასვენა, იმ შენობიდან, რომლიდანაც თავის დროზე უდიდესი კორიფეები გამოვასვენეთ. ვინ იყო ალექსანდრე რონდელი? — „მოსადის“ თუ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი. ახლა დამიწყებენ, მკვდარზე ცუდს არ ამბობენო. ვეკითხები ლადო პაპავას — რა დამსახურებისთვის გამოასვენა ალექსანდრე რონდელი უნივერსიტეტიდან, უნივერსიტეტი მასონურ დაწესებულებად იქცა?“



ელიზბარ ჯაველიძე:

# ნორლანდს აეროპორტში პანღური უნდა მივაყოლო; ვინც ჩამოვა მის შემცვლელად, იმას კვერცხს ვესვრი!

**საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოწვევითა და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის წარდგინებით, საქართველოს მთავრობის სპეციალურ მრჩევლად ადამიანის უფლებებში და კანონის უზენაესობის საკითხებში მაიკლ ო'ბოილი დაინიშნა.**
**მაიკლ ო'ბოილს აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება (1990-2015) და სასამართლოს რეგისტრატორის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. კარგი და კეთილისმყოფელი მრჩეველი ქვეყანას ნამდვილად სჭირდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის ტერიტორიაზე, პროვინციის დაარსების შესახებ განაცხადა.**
**რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო და დაჩქარდება თუ არა ნატოს საწვრთნელი ცენტრების მშენებლობა, თანაც მაშინ, როდესაც კავკასიაში „ისლამურმა სახელმწიფომ“ ვილაიეთი დააარსა; როგორ მოიქცევა რუსეთი და რომელი ქვეყანაა საქართველოსთვის უსაფრთხოების ქოლგა — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ვესაუბრეთ.**



რიჩარდ ნორლანდი



იან კელი

## «ამერიკელებისთვის ქართველები ცხოველებზე დაბლა დგანან»

**— ბატონო ელიზბარ, თითქოს ამერიკის ელჩი არ გვყოფნიდა ჭკუის დამრიგებლად, ახლა პრემიერმა ღარიბაშვილმა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის წარდგინებით, საქართველოს მთავრობის სპეციალურ მრჩევლად ადამიანის უფლებებში და კანონის უზენაესობის საკითხებში მაიკლ ო'ბოილი რომ დანიშნა...**

— თუ ღარიბაშვილი ამ მრჩეველს დაუჯერებს, მისი საქმე დამთავრდება. შესაძლოა, ასეც უნდათ, რადგან პრემიერი კახელი კაცია და კეთილი თვალით არ უყურებენ... **არის პრობლემა, რომელიც ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ხალხმა უნდა გააგდოს ყველა, ვისაც ჩვენი ქვეყნისთვის ცუდი უნდა. ასე აკეთებდნენ სომხები და აზრბაიჯანელებიც.**

საქართველოს ამერიკა განაგებს, პროვინციაზე დაბალ დონეზე ვდგავართ, ამიტომ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი, **ამერიკას მხოლოდ ხალხის ეშინია.** ხალხმა უნდა გააგდოს ყველა, ვისაც ჩვენი ქვეყნისთვის ცუდი უნდა. ასე აკეთებდნენ სომხები და აზრბაიჯანელებიც.

**— ამერიკა საქართველოს სტრატეგიული მეგობარია. ამერიკა, რომელმაც ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა და ამას ქვეყნის ყველაზე დიდ მიღწევად თვლის.**

— ამერიკელების პრინციპია, — მოისპოს წესიერი არჩევნები, ანუ სამართლიანად ჩატარებული არჩევნები, თუ ეს ასე არ მოხდება, გამოჩნდებიან რაღაც ძალები, როგორიც ახლა სომხეთში გამოჩნდნენ, და დაიწყება არეულობა.

2003 წლის მარტში სენატორებმა — **ჯონ მაკკეინმა** და **ჯოზეფ ლიბერმანმა** შეიმუშავეს კანონი დემოკრატიის ფასეულობების შესახებ, რომელიც ამერიკელებმა დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს. ეს არის კანონი, რომელიც სამყაროს ანგრევს. ამ ნგრევაში მონაწილეობს პრესა, არასამთავრობოები, პოლიტიკოსები, რომლებიც ეროვნულ ძალებს მარგინალებად აქცევენ. სხვადასხვა ქვეყანაში ამერიკის საელჩოები პატარა კუნძულებია, რომლებიც ბინძურ პოლიტიკას ატარებენ.

მსოფლიოში ანტიამერიკული განწყობაა, მაგრამ ყველგან, ყველა ქვეყანაში არის ხელისუფლება, რომელიც ამერიკის პოლიტიკას დიდი სიამოვნებით ატარებს.

**არ მინდა, საქართველოში მრჩევლები ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოვიდნენ, რადგან ისინი ამ ქვეყნის დაღუპვაზე ფიქრობენ.**

**არ გაბედონ დეპუტატებმა აქაც შემოიღონ ის კანონი, რომელიც ამერიკაში მიიღეს, თორემ მათ ხალხი ცოცხებით გამოყრის პარლამენტიდან. იმ ამერიკას როგორ უნდა მიბაძო, რომლის პრეზიდენტი იმაზე ლაპარაკობს, რომ კაცებთან ჰქონდა ურთიერთობა და ყველაზე დიდ გამარჯვებად ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას თვლის?! ზესახელმწიფოს მთავარი სასახლე ლგბტ-ს ფერებში გაანათეს. მე იმ მსოფლიოს რა ვუთხრა, ამას რომ უწონებს ამერიკას.**

**— ჩვენც მოგვიწევს ამ კანონის დამტკიცება...**

— მოგვიწევს და ეს ქვეყანაც დამთავრდება.

— საქართველო საფრთხის წინაშეა. კავკასიაში „ისალამური სახელმწიფო“ პროვინციას — ვილაიეთს ქმნის. სასწრაფოდ უნდა მოვძებნოთ თავშესაფარი... ბევრი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი თვლის, რომ თავშესაფარი რუსეთია, ბევრი კი ამბობს, რომ რუსეთი თვითონ არის საფრთხე. ეს ყოფილმა კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ თქვა.

— **ქვეყნის ყველაზე დიდი საფრთხე თვითონ რურუაა. მხედრიონელი რურუა** პატრიოტი ნამდვილად არ არის. რურუები და რატიანები ქვეყნის ყველაზე დიდ საფრთხედ მიმაჩნია. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც განათლების სისტემის დანგრევას შეუწყვეს ხელი; ცდილობენ, მეცნიერებათა აკადემია დაამცირონ და შეურაცხყონ. თავის დროზე „ზავხოზად“ ნამუშევრები ახლა **როინ მეტრეველს** დაეტაკნენ.

დღეს ჟურნალისტები ყველაზე დიდი დაპირისპირების წყაროები არიან. გადავირიე კაცი, რას ვუყურებ, რა მესმის?! სტუდიაში ვინ მიჰყავთ სტუმრად, **ვინ არის ირაკლი მანაგაძე?** — ლევან ღვინჯილიას კომენტარზე განაცხადა, — ფაშიზმს ტაშს არ ვუკრავო.

**შეუძლებელია, არ ვთქვა ის, რაც ლადო პაპავამ — უნივერსიტეტის რექტორმა, ჩემთვის პატივსაცემმა კაცმა, გააკეთა. ალექსანდრე რონდელი უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან გამოასვენა, იმ შენობიდან, რომლიდანაც თავის დროზე, უდიდესი კორიფეები გამოვასვენეთ. ვინ იყო ალექსანდრე რონდელი? „მოსადის“ თუ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი. ახლა დამიწყებენ, მკვდარზე ცუდს არ ამბობენო. ვეკითხები ლადო პაპავას — რა დამსახურებისთვის გამოასვენა ალექსანდრე რონდელი უნივერსიტეტიდან, უნივერსიტეტი მასონურ დაწესებულებად იქცა?**

აი, ასეთი რაღაცებია საშიში, თორემ გარეშე მტერი ძლიერ ქვეყანასა და ხალხს ვერაფერს დააკლებს. ეს აუცილებლად უნდა მეთქვა.

ახლა „ისლამურ სახელმწიფოზეც“ ვისაუბროთ. ეს „სახელმწიფო“ ამერიკელების შექმნილია, იმისთვის, რომ ვითომ ტერორიზმს ებრძოლონ.

„ისლამურ სახელმწიფოს“ დიდი რეკლამა უკეთდება, აქვს ფული. ძალიან, ძალიან საშიშია. საქართველოდანაც ბევრი ადამიანი წავიდა მათ მხარდამხარ საბრძოლველად, საზღვრები დაცული არ არის, თურქეთში ისე გადადიხარ, პასპორტიც არ გჭირდება.

კავკასიის ვილაიეთის შექმნა რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. ყველაზე მეტი ტერაქტიც რუსეთში მოხდა, ტერაქტები არ ხდება ამერიკაში, რუსეთს ებრძვიან, რადგან იქ ჯერ ეროვნული თვითმყოფადობა ვერ გაანადგურეს.

**ამერიკასთან ერთად ვერ გადავრჩებით, ამერიკის შექმნილ არც ერთ ორგანიზაციაში არ უნდა გავერთიანდეთ, რადგან ის ჩვენი კეთილისმსურველი არ არის.**

გაიხსენეთ, რას ამბობდნენ, თბილისში წყალდიდობა რომ მოხდა — 20 ადამიანი დაიღუპა და ამერიკელები ცხოველებს მისტიროდნენ. **ამერიკელებისთვის ქართველები ცხოველებზე დაბლა დგანან.**

**— საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრების განთავსების პროცესი დაჩქარდა, „ისლამური სახელმწიფო“ კავკასიაში პროვინციას ქმნის. შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთი აგრესიული გახდეს და დაგვარტყას?**

— რა თქმა უნდა, აგრესიული გახდება. რუსეთმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა იმიტომ გამოაცხადა, რომ იქ ჯარის დაყენების უფლება ჰქონოდა და იქ ნატოს თავისი ბაზები არ განეთავსებინა.

**რუსეთი დაგვარტყამს, შესაძლოა, ეს უკეთესიც იყოს. ნელა, წამებით სიკვდილს უცბად სიკვდილი სჯობია. ჩვენ განადგურებას ყველა ხელს უწყობს, არადა, სულ სამი ტანკია საჭირო რომ აღარ ვიარსებოთ. ხალხი მეცოდება, თორემ ყველა პოლიტიკოსს აქვს გასაქცევი.**

ხმა უნდა ავიმაღლოთ, ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში. აუცილებლად უნდა გავაგებინოთ მთავრობას, რა გვსურს. თუ არ მოგვისმენენ, ძალით მოვასმენინოთ.

არავინ მითხრას, რომ **თინა ხიდაშელი** მამულზე შეყვარებული სარდალია და გიორგი სააკაძესავით გაუძღვება ჯარს. თინა ხიდაშელში არის განფენილი ეშმაკისეული პატივმოყვარეობა, ის ქალი არ არის.

**— ბატონო ელიზბარ, ასე საუბარი არ შეიძლება. ჟურნალისტური ეთიკის კომისია ენას გიწუნებთ. ამას წინათ თქვენი ყველა ფრაზა გააკრიტიკეს.**

— **ჩემი ნათქვამი გააკრიტიკეს? ვინ — ტუღუშმა? მისი გაზეთი ერთხელაც არ წამიკითხავს, რადგან ყოველთვის მთავრობის საჯდომზე იყო მორგებული. სადმე არ შემხვდნენ ეგ და ის, პედარასტების დამცველი ზვიად ქორიძე, თორემ თავ-პზას დავამტვრევ.**

მინდა, ჩვენი საუბარი გურამიშვილის ერთი, ნაკლებად ცნობილი ლექსით დავასრულო: „სარკით მზის შუქით ციალსა, უწოდენ ქართველ ერია, ვერას ხორციელ სულდგმულსა ჭაში ვერ დაუჭერია“.

ეს არის საქართველო, შეუძლებელია ჩვენი მოხელთება ასე ადვილად. მათი ბრჭყალები სულიერი არ არის. ვიდრე სული გვაქვს, ვერავინ მოგვერევა.

**ნორლანდს აეროპორტში პანღური უნდა მივაყოლო; ვინც ჩამოვა მის შეცვლელად, იმას კვერცხს ვესვრი.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

«არ გაბედონ დეპუტატებმა აქაც შემოიღონ ის კანონი, რომელიც ამერიკაში მიიღეს, თორემ მათ ხალხი ცოცხებით გამოყრის პარლამენტიდან. იმ ამერიკას როგორ უნდა მიბაძო, რომლის პრეზიდენტი იმაზე ლაპარაკობს, რომ კაცებთან ჰქონდა ურთიერთობა და ყველაზე დიდ გამარჯვებად ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მიიჩნევს?! ზესახელმწიფოს მთავარი სასახლე ლგბტ-ს ფერებში გაანათეს. მე იმ მსოფლიოს რა ვუთხრა, ამას რომ უწონებს ამერიკას»

«უფროსი ძმა»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის დაზვერვა უსმენს არა მხოლოდ სატელეფონო საუბრებს, არამედ აკვირდება თავისი მოქალაქეების ფულის მოძრაობასაც. არსებული მონაცემებით, ჯერ კიდევ 2013 წელს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო იმ გეგმის შემუშავება, რომლის განხორციელების შემთხვევაში აშშ-ის სპეცსამსახურებს საშუალება მიეცემათ, გააკონტროლონ ქვეყნის ყველა მოქალაქის ფინანსები, აგრეთვე, სხვა ქვეყნების მოქალაქეებისაც, რომლებიც ამერიკული ბანკების მომსახურებით სარგებლობენ.**

# «ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოოს...» ანუ გლობალური მიყურადების პრაქტიკა

**ახლახან უცხოეთის მედია ააფეთქა ბი-ბი-სის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ: პოლონელი მაღალჩინოსნები ფარულად ჩაწერეს მაშინ, როცა ეს პატივცემული ადამიანები ადგილობრივი პოლიტიკოსებისა და სხვა ქვეყნების ლიდერების მისამართით „მოურიდებელ კომენტარებს“ აკეთებდნენ.**



**კიდევ ერთხელ გაიშიფრა აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ამერიკის მოკავშირე ქვეყნების ლიდერების მოსმენა-მიყურადღების სკანდალური ფაქტი. „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებული მასალებიდან ირკვევა, რომ 2006-2012 წლებში აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტო რეგულარულად და გამიზნულად უთვალთვალებდა საფრანგეთის პრეზიდენტებს — ჟაკ შირაკს, ნიკოლა სარკოზისა და ფრანსუა ოლანდს**



ფარული გასაიდუმლოებულს არ ნიშნავს და გასაჯაროვდა კიდეც ეს ჩანაწერი.

გაირკვა, რომ **რადოსლავ სიკორსკი**, რომელიც იმხანად საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ბრიტანეთის პრემიერ **დევიდ ქემერონს** ევროკავშირის საქმეების მოგვარებაში „არაკომპეტენტურს“ უწოდებდა; რომ ვარშავის აშშ-თან კავშირი „არაფრის მომტანია“. სიკორსკი ჩანაწერებში ვულგარულ გამონათქვამებს არ ერიდება და ამბობს, რომ აშშ-სა და პოლონეთის ურთიერთობა ორალურ სექსს ჰგავს.

სიკორსკიმ, რომელიც ბოლო პერიოდში პოლონეთის პარლამენტს თავმჯდომარეობდა, უარყო ბილწსიტყვაობის ფაქტი, მაგრამ იძულებული შეიქნა, თანამდებობა დაეტოვებინა.

ეს სკანდალი მხოლოდ პოლონეთს არ ეხება, არც მხოლოდ ამ ქვეყნის სამთავრობო კრიზისით იფარგლება. პრობლემა, რომელიც დემოკრატიულ და დამოუკიდებელ პოლონეთში ჩირქოვანი მუწუკივით გასკდა, გლობალურია და საყოველთაო მიყურადების, თვალთვალის, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლების მოსმენისა და გაკონტროლების მტკივნეულ თემას შეეხება.

უფრო ზოგადად, — ადამიანის თავისუფლებათა ხელყოფის საკითხს, რომელიც ეპიდემიასავით მოედო დასავლეთის სახელმწიფოებს.

გასულ კვირაში კიდევ ერთხელ გაიშიფრა აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ამერიკის მოკავშირე ქვეყნების ლიდერების მოსმენა-მიყურადღების სკანდალური ფაქტი. „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებული მასალებიდან ირკვევა, რომ **2006-2012 წლებში აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტო რეგულარულად და გამიზნულად უთვალთვალებდა საფრანგეთის პრეზიდენტებს — ჟაკ შირაკს, ნიკოლა სარკოზისა** და **ფრანსუა ოლანდს.**

ამ ინფორმაციით, რომელიც გასული კვირას გასაჯაროვდა, დადასტურებულია მიყურადების რამდენიმე კონკრეტული მაგალითი. მათგან ერთ-ერთი ეხება ევროზონიდან საბერძნეთის შესაძლო გასვლას, რაზეც ფრანსუა ოლანდი 2012 წელს კონფიდენციურად საუბრობდა. მეორე დოკუმენტი კი 2011 წელს ნიკოლა სარკოზის საუბრის გაშიფრული ჩანაწერია ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკების გამართვის თაობაზე ამერიკის ზურგს უკან.

ამგვარ ფაქტებზეა ლაპარაკი აშშ-ის სპეცსამსახურის ხუთ გასაიდუმლოებულ მოხსენებაში. ეს დოკუმენტები „ვიკილიკსმა“ ხელთ იგდო საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული შეტყობინებების მეშვეობით, — განმარტავს ფრანგული გაზეთი **„ლიბერასიონი“.**

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ნედ პრაისმა** განაცხადა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები სატელეფონო საუბრების ფარული ჩაწერით დაკავებულები არ არიან(!). სხვანაირ რეაქციას ამ სტრუქტურისგან არც არავინ ელოდა.

ასეთმა თავხედურმა უარყოფამ ფრანგულ მედიაში ცეცხლზე ნავთის გადასხმის ეფექტი იქონია. **„უკვე ათი წელიწადია, პარიზის თანხმობის მოედანზე განლაგებულ ამერიკის საელჩოში მოქმედებს მიყურადღების სპეციალური ჯგუფი“,** — წერს „ლიბერასიონი“ და დასძენს, რომ ეს ჯგუფი მიყურადღებისთვის იდეალურ ადგილზეა მოთავსებული — ელისეს სასახლის, საფრანგეთის შსს-ს, იუსტიციისა და თავდაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროების, ეროვნული კრების, აგრეთვე, უცხოეთის ქვეყნების საელჩოების მახლობლად“.

საინტერესოა, რომ **„აშშ-ს მსოფლიოში ელექტრონული მიყურადღების 80 ასეთი ცენტრი აქვს, მათგან 19 ევროპაშია (Der Spiegel).**

„ეს ყოვლად დაუშვებელი და არანორმალური პრაქტიკაა, — განაცხადა **საფრანგეთის პრემიერმინისტრმა მანუელ ვალსმა** საფრანგეთის ეროვნულ საკრებულოში გამოსვლისას, — საფრანგეთი არასოდეს განახორციელებს დაზვერვით მოქმედებას პარტნიორი ქვეყნების მიმართ“.

ყოფილმა პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმაც** საჯაროდ გამოხატა უკმაყოფილება პარტნიორი სახელმწიფოების მიმართ ფარული თვალთვალის არსებული პრაქტიკის გამო. ასეთი მეთოდები „პრინციპულად მიუღებელია, განსაკუთრებით კი, მოკავშირეთა ურთიერთობაში“, — განუცხადა სარკოზიმ ჟურნალისტებს, რომლებმაც მას ამ სკანდალის თაობაზე ჰკითხეს.

საფრანგეთის უდიდეს ოპოზიციურ პარტიაში აღშფოთებას არ მალავენ ამერიკელი მოკავშირეების ასეთი უცერემონიო დამოკიდებულების გამო: **ევროპარლამენტში რესპუბლიკელების წარმომადგენელმა რენე მიუზელემ** პროტესტის ნიშნად საფრანგეთიდან აშშ-ის ელჩის „განდევნის“ წინადადებაც კი წამოაყენა.

გერმანიის მთავრობა ოფიციალური კომენტარისგან თავს იკავებს.

დუმს ევროკავშირიც. არადა, **რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის თავმჯდომარის — ირინა იაროვაიას** განცხადებით, „მთავარი არის ის, როგორი რეაგირება ექნება ევროკავშირს აშშ-ის „ჯაშუშურ თავხედობაზე“, რომელიც, ფაქტობრივად, ფარდას ხდის ამერიკელების მისწრაფებას, გადააქციოს ევროპა თოჯინების საკუთარ თეატრად“.

აპრილში ევროპაში აგორდა მორიგი სკანდალი, როცა რიგმა გერმანულმა გამოცემებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტო საფრანგეთისა და ავსტრიის პოლიტიკოსების, ასევე, მსხვილი ევროპული კორპორაციების სათვალთვალოდ იყენებდა დაზვერვის ფედერალური სამსახურის ტექნიკურ საშუალებებს.

ტელეარხ RTBF-ის ცნობით, **გერმანიის სპეცსამსახური აკონტროლებს ევროპის 30 ქვეყნის 134 ინტერნეტხაზს, მათგან 15 ბელგიურია. ისინი თავმოყრილია ფრანკფურტში, საიდანაც გერმანიის სპეცსამსახურებს დაწესებული აქვთ თვალთვალი აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს სასარგებლოდ.**

ბელგიის პროკურატურამ დაადასტურა, რომ დაიწყო გამოძიება აღნიშნულზე.

ამასობაში **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა შინდლერმა აღიარა, რომ მისმა უწყებამ შეცდომები დაუშვა ამერიკის დაზვერვასთან თანამშრომლობისას.** როგორც **Die Zeit**-ი წერს, საკმარისად არ ამოწმებდნენ სათვალთვალო ობიექტების სიებს, რომლებსაც ამერიკელი კოლეგებისგან იღებდნენ.

**შინდლერმა აღნიშნა, რომ გერმანული სპეცსამსახურების ზოგიერთი თანამშრომელი აშშ-ის დაზვერვის საეჭვო მიზნების შესახებ საქმის კურსში იყო ჯერ კიდევ 2005 წლიდან, მაგრამ პირადად მან ეს მხოლოდ მიმდინარე წლის მარტში შეიტყო. ამგვარი უყურადღებობა კი იმით ახსნა, რომ მისი სამსახური ძლიერაა დამოკიდებული აშშ-ის შესაბამის სტრუქტურაზე, რაც გერმანიის დაზვერვის თანამშრომლებს აიძულებს, ხმა არ ამოიღონ.**

ამ ყველაფრის მიუხედავად, შინდლერმა გამორიცხა ამერიკელებთან თანამშრომლობის გაწყვეტის შესაძლებლობა, რადგან აშშ-დან მისი უწყება იღებს მნიშვნე- ▶

# გერმანიის სპეცსამსახური აკონტროლებს ევროპის 30 ქვეყნის 134 ინტერნეტხაზს, მათგან 15 ბელგიურია. ისინი თავმოყრილია ფრანკფურტში, საიდანაც გერმანიის სპეცსამსახურებს დაწესებული აქვთ თვალთვალი აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს სასარგებლოდ.

«ქართული აზრი»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლოვან ინფორმაციას ტერორისტული ჯგუფების გააქტიურებისა და ექსტრემისტების მოქმედების მეთოდების შესახებ.

ამასთანავე, არსებობს უტყუარი მონაცემები, რომელთა მიხედვითაც **გერმანიის დაზვერვის სამსახური, მოპოვებული ცნობების ამერიკელებისთვის მიწოდების პარალელურად, აღნიშნულ მასალებს თავადაც იყენებდა. იგულისხმება როგორც მოპოვებული მეტამონაცემები (ვინ ვის და როდის დაელაპარაკა ტელეფონით ან ელექტროფოსტით ჰქონდა მიმოწერა), ასევე, წერილებისა და ხმოვანი ფაილების სრულად გაშიფრული ტექსტები).**

**ასეთია ევროპაში მიყურადების თავისუფლება.**

რა ხდება ამერიკაში?

**მიუხედავად იმისა, რომ 1 ივნისს ვადა გაუვიდა „პატრიოტული აქტის“ იმ მუხლს, რომელიც აშშ-ის სპეცსამსახურებს მოქალაქეების საყოველთაო თვალთვალის უფლებას აძლევდა, ეროვნული უშიშროების სააგენტოს კვლავაც ეძლევა უფლება, შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც მიმდინარე გამოძიებებისთვის იქნება საჭირო. განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ აშშ-ის მოქალაქეთა სატელეფონო საუბრებს სახელმწიფო სტრუქტურა კი არ ჩაიწერს, არამედ ტელესაკომუნიკაციო კომპანიები. ექსპერტების აზრით, ეს არის ტოტალური თვალთვალის მხოლოდ ახალი, შეფარული საშუალება.** ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა.

ექსპერტები ამ „ახალი“ ვითარების გაანალიზებისას ყურადღებას მიაქცევენ ასეთ გარემოებას: პრეზიდენტ ობამას მიერ 3 ივნისს ხელმოწერილი „თავისუფლების აქტის“ მიხედვით, ეროვნული უშიშროების სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ამერიკელების პერსონალურ მონაცემებზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ კავშირგაბმულობის ოპერატორების მეშვეობით სასამართლოს ორდერის საფუძველზე. ფორმალურად ასეა, მაგრამ **„ასოშიაიტედ პრესის“ გამოძიებით დადასტურდა, რომ გამოძიების ფედერალურ ბიუროს აქვს თვითმფრინავების პარკი, რომელიც აღჭურვილია ვიდეოკამერებითა და მობილური ტელეფონების თვალთვალის სპეციალური საშუალებით და ამ ტექნიკის ასამოქმედებლად სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებას ჩვეულებრივ არც საჭიროებს და არც მოითხოვს. დადგინდა, რომ ეს თვითმფრინავები რეგისტრირებულია, სულ ცოტა, 13 ყალბი კომპანიის სახელზე.**

ამერიკის ეროვნული უშიშროების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი **კირკ უები** აღნიშნავს, რომ „თავისუფლების აქტი“, „პატრიოტული აქტი“, „უცხოეთის დაზვერვაზე დაკვირვების აქტის შესწორებები“ „ეგრეთ წოდებული კანონებია“, ხელისუფლების ხრიკი, რომლის მეშვეობით ცდილობს, დამალოს, რომ მის განკარგულებაშია მთელი რიგი ორგანოებისა, აგრეთვე, თვალთვალის მეთოდები, რომლებსაც ამერიკელების წინააღმდეგ ისეთი ინტენსივობით იყენებს, თითქოს ჩვენ, ყველანი, პოტენციური ტერორისტები და დამნაშავეები ვიყოთ“.

**აშშ-ის დაზვერვა უსმენს არა მხოლოდ სატელეფონო საუბრებს, არამედ აკვირდება თავისი მოქალაქეების ფულის მოძრაობასაც. არსებული მონაცემებით, ჯერ კიდევ 2013 წელს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო იმ გეგმის შემუშავება, რომლის განხორციელების შემთხვევაში აშშ-ის სპეცსამსახურებს საშუალება მიეცემათ, გააკონტროლონ ქვეყნის ყველა მოქალაქის ფინანსები, აგრეთვე, სხვა ქვეყნების მოქალაქეებისაც, რომლებიც ამერიკული ბანკების მომსახურებით სარგებლობენ. მიუხედავად იმისა, რომ „პატრიოტული აქტი“ „თავისუფლების აქტით“ შეცვალეს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მოქალაქეებს შეშფოთების ყველა საფუძველი აქვთ — მათი პირადი ცხოვრება დაცული არ არის.**

როცა ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეებზე საყოველთაო თვალთვალი აქვს დაწესებული, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი საცეცები, ევროპის გარდა, ლათინური ამერიკის ქვეყნებსაც სწვდება.

მაგალითები? ინებეთ:

*2013 წლის 7 ივლისს გავლენიანმა ბრაზილიურმა გაზეთმა **O Globo**-მ გაასაჯაროვა მონაცემები იმის თაობაზე, რომ ამერიკის სპეცსამსახურებს ამ ქვეყანაში მოწყობილი ჰქონდათ საყრდენი პუნქტი, რომლის მეშვეობით უსმენდნენ სატელეფონო საუბრებს და იწერდნენ ელექტრონულ წერილებს. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ **იმ პირთა შორის, რომლებსაც აშშ უთვალთვალებდა, იყო ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი. ამ სკანდალური ფაქტის გამო დილმა რუსეფმა გადადო სახელმწიფო ვიზიტი აშშ-ში, რომელიც 2013 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი.**

*** იმავე წლის ივლისში ამერიკულმა ესპანურენოვანმა ტელეარხმა Univison გამოაქვეყნა აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ეკვადორის პრეზიდენტის — რაფაელ კორეას, ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრისა და სხვათა ფარულად მოპოვებული მიმოწერა.**

ამ გადასახედიდან აბსოლუტურად ხელოვნური ჩანს ცოტა ხნის წინათ საქართველოში ე.წ. გასაღების (ფარული მიყურადების) პრობლემის გარშემო ატეხილი დავა და კამათი, რომლის კოორდინაციას, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, იმ სახელმწიფოს წარმომადგენლები ახდენდნენ, რომელზეც ამ წერილში ვილაპარაკეთ.




**დადასტურდა, რომ გამოძიების ფედერალურ ბიუროს აქვს თვითმფრინავების პარკი, რომელიც აღჭურვილია ვიდეოკამერებითა და მობილური ტელეფონების თვალთვალის სპეციალური საშუალებით და ამ ტექნიკის ასამოქმედებლად სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებას ჩვეულებრივ არც საჭიროებს და არც მოითხოვს. დადგინდა, რომ ეს თვითმფრინავები რეგისტრირებულია, სულ ცოტა, 13 ყალბი კომპანიის სახელზე**




## გინების დიპლომატია

პოლონელი მაღალჩინოსნების ბილწსიტყვაობა, როგორც ირკვევა, არც პირველია და არც ორიგინალური.

ჩაკირკიტებულმა ჟურნალისტებმა მოიძიეს „დიპლომატიური გინების“ თავდაპირველი ფაქტი, რომელსაც „ადგილი ჰქონდა“ კარგა ხნის წინათ და რომლის ფიგურანტები იყვნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი** და გორდონ ბრაუნის მთავრობაში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **მილიბენდი.**

დაპირისპირებულმა მხარეებმა ამ ფაქტის (თუ „ფეიკის“) ინტერპრეტირების თავიანთი ვარიანტები გაავრცელეს. დღეს დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ძნელია — მტყუანმართალს ვერ გაარკვევ. მართალია, თავის დროზე ამ ფაქტის გამო დიდი ხმაური არ ამტყდარა, შეიძლება ითქვას, არც დიდი ინტერესი გამოუჩენიათ მიმომხილველებს, მაგრამ, ეგებ, გამოდგეს, როგორც მაგალითი, რომელზეც შეიძლება ისწავლო, გაითვალისწინო იმ შემთხვევაში, როცა დაგაბრალებენ იმას, რაც არ გითქვამს.

**The Dauly Telegraph**-მა თავის დროზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვით (თუ მის უტყუარობას ვირწმუნებთ), თითქოს ლავროვმა თავის ინგლისელ კოლეგას — მილიბენდს (რომელიც ინგლისში მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ), რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მიზეზებზე საუბრისას ლამის შეაგინა.

მილიბენდი მოხალისე ადვოკატად დაუდგა მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში კატასტროფისკენ უბიძგა საქართველოს, თავს მოახვია ომის საშინელება და, შედეგად, ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა. ახალგაზრდა კოლეგამ ლავროვს ჭკუის დარიგება დაუწყო, თითი დაუქნია, რის გამოც მიიღო არცთუ დიპლომატიური პასუხი.

**ინგლისურიდან რუსულად (შესატყვის ვარიანტში) ეს „უხამსობა“ ასე ითარგმნა: „WHO ARE YOU TO FOUKNG LECTYRE ME?!“ — „КТО ТЫ ТАКОЙ, ЧТОБЫ ЧИТАТЬ МНЕ, БЛЯДЬ, НОТАЦИИ?!“ ქართულად, ალბათ, ასე უნდა იყოს: „ვინა ხარ, შე ნაბოზარო, მე ნოტაციები რომ მიკითხო?“**

ამ სატელეფონო საუბრის შესახებ ბრიტანული **„დეილი ტელეგრაფის“** მკითხველებს აცნობა გაზეთის პოლიტიკურმა რედაქტორმა **ენდრიუ პორტერმა**, რომელიც „ტელეგრაფში“ სამუშაოდ 2007 წელს გადავიდა სკანდალურ ტაბლოიდ **The Sun**-იდან. ლავროვმა მილიბენდს შეუტია და თავისი პოზიცია თითქოს ასე განავრცო: იცის კი რამე მილიბენდმა რუსეთის ისტორიის შესახებ? და ახსოვს თუ არა, რომ დიდი ბრიტანეთი აშშ-თან ერთად შეიჭრა ერაყში 2003 წელს? ახლა კი ბედავს ილაპარაკოს საერთაშორისო სამართლის შესახებ?

ენდრიუ პორტერი განმარტავდა: „ბატონი ლავროვი საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ვლადიმერ პუტინის მმართველობის პერიოდში და იქცა რუსეთის ახალი აგრესიული საგარეო პოლიტიკის საფრთხობელად“.

„დეილი ტელეგრაფი“ არა მხოლოდ უაღრესად პატივდებული გაზეთია ინგლისში, საუკუნე-ნახევრიანი ისტორიით, არამედ ყველაზე უფრო კონსერვატული გამოცემა. **კონსერვატორები მოუწოდებენ ხელისუფლებას, შეწყვიტოს მსოფლიოს ყველა კრიზისში ჩარევის პრაქტიკა და ყურადღება საშინაო საქმეებზე გაამახვილოს, საერთაშორისო ასპარეზზე დიდი ბრიტანეთის მიდებ-მოდების პოლიტიკა, რომელიც ბრაუნის მთავრობას ტონი ბლერისგან შთამომავლობით ერგო, კონსერვატორებს გულზე არ ეხატებათ. აქედან გამომდინარე, ლავროვის მიერ მილიბენდის „შემოლაწუნება“ კონსერვატორებს შეიძლება ესიამოვნათ კიდეც.**

საინტერესოა, რომ ვიდრე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი განმარტავდა ფაქტს, არავინ გამოსულა ენერგიული პროტესტით და არც არავინ დაეჭვებულა „დეილი ტელეგრაფის“ მიერ გადმოცემული ამბის სიზუსტეში. მიმომხილველების აზრით, ეს ნიშნავდა, რომ საზოგადოებრიობა (როგორც დასავლეთში, ასევე, რუსეთში) მზად იყო, მიეღო, როგორც უტყუარი მოცემულობა, ის, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეაგინა თავის დიდბრიტანელ კოლეგას: „ზოგისთვის ეს აღმოჩნდა მხიარული განწყობილების საბაბი, ზოგისთვის — „რუსეთის ბარბაროსობის“ მორიგი გამოვლენა, მაგრამ არავისთვის ყოფილა რაღაც წარმოუდგენელი რამ“.

რატომ? ამაზე ოდნავ ქვემოთ.

ახლა — ლავროვის განმარტების შესახებ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მილიბენდს კატეგორიულად არ სურდა, ეღიარებინა, რომ რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში საქართველომ აგრესორის როლი შეასრულა. მაშინ ლავროვმა მოიშველია დაუსახელებელი, დასავლეთევროპელი ლიდერის აღიარება, რომ ომი წამოიწყო საქართველომ, ხოლო სააკაშვილს უწოდა **Fucking iunatic** (რუსულად დაახლოებით — **гребанный псих**, ქართულად — გიჟი, გადარეული, თანაც— „ნახმარი“), ანუ, გაიმეორა სხვისი ნათქვამი, ხოლო „დეილი ტელეგრაფის“ ანონიმური წყაროების მტკიცება, რომ მან მილიბენდს თითქოს აგინა, ამ წყაროების ავტორთა სინდისზე შეაგდო.

რატომ არ გაუკვირდა საზოგადოებრიობას ლავროვის ბილწსიტყვაობა, ამაზე მიმომხილველებს ასეთი აზრი ჩამოუყალიბდათ:

**ლავროვი პუტინის კაცია. პუტინი კი თავის გამონათქვამებში ყოველთვის კორექტული არ არის. მაგალითად ასახელებენ პუტინის შარშანდელ (11 სექტემბერს) გამონათქვამს, როცა მან „ვალდაის“ კლუბის სხდომაზე დამსწრე დასავლელი ჟურნალისტის შეკითხვას — რამდენად პროპორციული იყო საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გამოყენებული სამხედრო ძალა, ასე უპასუხა: „ჩვენ იძულებული ვიყავით, გვეპასუხა. ან, იქნებ, უნდა მოგვეხოცა სისხლიანი ჟღვინტი და, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ქედი მოგვეხარა? თქვენ რა, გინდოდათ, რომ ჯაყვა გვექნია? რას ნიშნავს „ადეკვატური ძალის გამოყენება“, როცა გვიტევენ ტანკებით, მძიმე არტილერიით, საზალპო ცეცხლის სისტემებით? ჩვენ რა, „რაგატკა“ უნდა გვესროლა?.. მათ სიფათში მოხვდათ, როგორც საჭირო იყო, ისე“.**

**ის, რაც პუტინმა თქვა და, თითქოს უბრძანესო, შემდეგ ყველამ გაიმეორა, — წერენ ექსპერტები, დასავლელ პოლიტიკოსებს არ მოეწონათ, მაგრამ მოეწონა დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრიობას, რადგან რუსი პოლიტიკოსები დასავლელებს ეუბნებიან იმას, რისი გაგონებაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს სურთ.**

თუ მკითხველები სააკაშვილის არადიპლომატიურ და უხამს გამონაქვამებს გაიხსენებენ იმავე რუსეთისა და, კერძოდ, პუტინის წინააღმდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ პარიტეტი დაცულია.

მიმოხილვა მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**პოლონეთის საელჩო მოსკოვიდან იტყობინებოდა, რომ ჩვენთან აღსაზრდელად მყოფი ბავშვი – გიორგი ნიკოლოზის ძე ონიანი, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებულია დედას — პოლონეთის მოქალაქე ელენე მაკოვსკაიას, ამიტომ ბავშვის ექსტრადირება უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდესო, — იუწყებოდა პოლონეთის ელჩი.**

## ნაწილი II

# სტალინი და ბავშვები

**ბავშვებისადმი სტალინური ეპოქის დამოკიდებულების ნათელი მაგალითია ჩვენი ოჯახი, რაზეც არაერთხელ გამიმახვილებია ყურადღება როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდვით მედიაში. ამჟამად, როდესაც ვაქვეყნებთ წერილების ციკლს „სტალინი და ბავშვები“, აუცილებლობად ჩავთვალე, უფრო ვრცლად გამეცნო მკითხველისთვის ამბავი, რომელიც ჩვენს ოჯახში 1940-1950-იან წლებში მოხდა.**



დომენტი ონიანი (ცენტრში) და მისი შვილები: კარლო (მარცხნიდან პირველი), გრიშა, კუჩიკო და კოლია

1939 წელს ჩემი უფროსი ძმა **კოლია (ნიკოლოზი) ონიანი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. იმავე წელს ხარკოვის სპეცსკოლაში ჩარიცხეს. ომის დაწყების დღიდან გერმანიის ტერიტორიაზე სხვადასხვა დავალებას ასრულებდა მთავრობის დავალებით. 1941 წლის ბოლოს კოლიას ჯგუფი ჩავარდა და ჩემი ძმაც გერმანელთა ტყვეობაში აღმოჩნდა.

1939 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ჩემი ძმის, კოლია ონიანის, სტუდენტობის მეგობარი, ახალბედა ექიმი **გივი გაბლიანი**, რომელიც მამის — **ეგნატე გაბლიანის** მიმართ რეპრესიების გამო საბჭოთა ხელისუფლებაზე განაწყენებული იყო და ომის დაწყებისთანავე გერმანელების მხარეს გადავიდა და ვერმახტის სამსახურში ჩადგა. გერმანელთა სხვადასხვა სამსახურის მიერ ტყვედჩავარდნილი ქართველების შემოწმებისას ორი მეგობარი და თანაც ორი სვანი გერმანიის მიწაზე სრულიად შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. **გივი გაბლიანს — ულამაზესსა და უჭკვიანეს პიროვნებას, შესანიშნავ ექიმს, სწრაფად დაუმკვიდრებია თავისი ადგილი უცხო მიწაზე და ნდობაც დაუმსახურებია. სწორედ გივი გაბლიანის ხელშეწყობით გადაურჩა ჩემი ძმა ტყვეობას და ის კონტრდაზვერვის მიმართულების სასწავლებელში ჩარიცხეს.**

**გივი გაბლიანს — ულამაზესსა და უჭკვიანეს პიროვნებას, შესანიშნავ ექიმს, სწრაფად დაუმკვიდრებია თავისი ადგილი უცხო მიწაზე და ნდობაც დაუმსახურებია. სწორედ გივი გაბლიანის ხელშეწყობით გადაურჩა ჩემი ძმა ტყვეობას და ის კონტრდაზვერვის მიმართულების სასწავლებელში ჩარიცხეს**

კოლია ონიანი ორ მეტრამდე სიმაღლის, ხმელ-ხმელი და ძალიან ეშხიანი კაცი გახლდათ, ფენომენური ნიჭითა და მეხსიერებით დაჯილდოებული. ორ ქვეყანაში მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული ერთ-ერთი კომპეტენტური „თანამშრომელი“ იყო. მან შესანიშნავად იცოდა როგორც თავდაცვის, ასევე, თავდასხმის ხერხები და საშუალებები.

ერთ-ერთი ოპერაციისას, რომელსაც გერმანული დაზვერვა რუსეთის ტერიტორიაზე ატარებდა, ჯგუფის ერთმა წევრმა — საბჭოთა დაზვერვის აგენტმა — გასცა ოპერაციის დეტალები და ჯგუფის ყველა წევრი ადგილზე დააპატიმრეს.

სამშობლოს ღალატისთვის ჩემს ძმას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეუფარდეს. 6 თვის განმავლობაში ელოდებოდა სიკვდილს, მაგრამ დახვრეტის განაჩენი 10-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს.

1943 წელს კოლია ონიანი რუსთავში მეტალურგიული კომბინატის ახალდაწყებულ მშენებლობაზე ჩამოიყვანეს სამუშაოდ. სოფელში პირველი წერილი მოვიდა. კოლია მამას წერდა: „ვარ თბილისთან ახლოს ყარაიაზის ველზე, რუსთავში, ჩამოდი, მნახე“. მახსოვს, როგორ ზეიმობდა სოფელი კოლიას გადარჩენას. დაიწყო მზადება რუსთავში წასასვლელად. „კარზინკებსა“ და ხურჯინებში იწყობოდა შაშხის ნაჭრები, მოხარშული დედლები, ჩურჩხელები, დაჭრილი თუთუნი და ისეთი ხორაგი, რომელიც მგზავრობას გაუძლებდა. შვილის ნახვით გახარებული დედა და მამა რუსთავიდან რამდენიმე დღეში დაბრუნდნენ.

ვიდრე ჩემი მშობლები შვილის სანახავად მეორედ გაემგზავრებოდნენ, ოჯახში წერილი მოვიდა: „მე კიროვის ოლქში ვარ, უკიდურეს ჩრდილოეთში. რუსთავში არ ჩახვიდეთ“. ტირილი და ვიში ატყდა სახლში, მაგრამ ვინ გაგვარკვევდა, რატომ გადაკარგეს დასალიერში სახლამდე მოსული კაცი.

როგორც შემდეგ გაირკვა, პატიმრების პატარა ჯგუფს გადაუწყვეტია რუსთავის კოლონიის ბარაკებიდან გაქცევა (მოხერხებულობითა და ცოდნით ჩემს ძმას წინ ხომ ვერაფერი დაუდგებოდა) და მტკვრის გადაცურვით სამშვიდობოზე გასვლა. ამ ჯგუფმა მსხვერპლის ფასად მოახერხა გაქცევა. მაგრამ საპატრულო სამსახურის ოპერატიული მოქმედების შედეგად, გაქცეულები შეიპყრეს და გაუსამართლებლად შორეულ ჩრდილოეთში გაამწესეს. იქ ჩასულებს უკვე მართლმსაჯულებაც გამკაცრებული დახვდათ და სასამართლომ 10-წლიანი პატიმრობა 25-წლიანით შეუცვალათ.

სიცოცხლეზე ხელჩაქნეულმა კოლია ონიანმა თავზეხელაღებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი და იმ ადგილსაც მოაშორეს. მომდევნო წერილი ირკუტსკიდან მივიღეთ. ერთი წლის შემდეგ კი სამ „სროკაკიდებულმა“, 75 წლით პატიმრობამისჯილმა კოლიამ წერილი გამოგვიგზავნა კოლიმიდან, სადაც თითქმის 10 წელს იხდიდა სასჯელს. გვქონდა აქტიური მიმოწერა.



ჟორა ონიანი

იდგა 1951 წელი, ზამთარი. ჩვენს სახლს ცხენით მოადგა „ფოშტის“ გამგე **სამსონ გაბიანი.** მხარზე შავი ტყავის ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული, წელზე — ნაგანი ჩამოკიდებული. მახსოვს, ზღურბლზე ფეხების ბაკუნით თოვლი ჩამოიბერტყა და ტყავის შავი ჩანთა ნელ-ნელა გახსნა. ჩანთიდან დალუქული დიდი კონვერტი ამოიღო და მამაჩემს გაუწოდა, შემდეგ რაღაც ქაღალდზე, ეტყობა, წერილის ჩაბარებაზე ხელი მოაწერინა და დაგვემშვიდობა. მივხვდით, რომ წერილი განსაკუთრებული იყო (როგორც შემდეგ გავარკვიე, ეს ე.წ. სპეცფოსტა იყო). გაფაციცებით ვეცით კონვერტს, შიშით, მაგრამ მაინც სასწრაფოდ გავხსენით და ამოვიღეთ თეთრი ქაღალდი, რომელზეც რუსულად ეწერა:

**„საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**საქართველოს სსრ, ქვემო სვანეთის რაიონი, სოფელი სასაში, დომენტი შავხანის ძე ონიანს.**

**თქვენმა შვილმა ნიკოლოზ დომენტის ძე ონიანმა, რომელიც სასჯელს იხდის ხაბაროვსკის მხარის კოლიმის ოლქში, თხოვნით მიმართა ამხ. ი. სტალინს, რათა დაეხმაროს და ქორწინებაში არმყოფ პატიმარ ქალთან გაჩენილი შვილი აღსაზრდელად გაუგზავნონ მის მშობლებს — დომენტი შავხანის ძე ონიანსა და იადონ ზურაბის ასულ ონიანს.**

**ი.სტალინის რეზოლუციის თანახმად, თუ თქვენ, მშობლები, თანხმობას განაცხადებთ შვილიშვილის მეურვეობაზე და ამის დამადასტურებელ ცნობებს გამოგვიგზავნით, დამოწმებულს რაიონული ხელმძღვანელობის მიერ, ბავშვს, გიორგი ნიკოლოზის ძე ონიანს მიიღებთ ადგილზე.**

**კლიმენტი ვოროშილოვი**
**მოსკოვი. კრემლი“.**

იმ ღამეს არავის გვიძინია, არა მხოლოდ ჩვენს ოჯახს, არამედ სოფელს, — ყველას უხაროდა, რომ კოლიას შვილი სვანეთს მოევლინებოდა. კოლიას დაბრუნებაზე კი ოცნებაც შეუძლებელი იყო. საღამოს ხარი დაიკლა და ყველა ოჯახიდან მოგვდიოდა მოსაკითხი — არაყი და ხორაგი. სოფელი ნადიმობდა, სასაშის მკვიდრნი ერთმანეთს ულოცავდნენ ამ სასიხარულო ამბავს.

რაიკომის იმჟამინდელი პირველი მდივანი **ვანო ხაბულიანი** და აღმასკომის თავმჯდომარე **კორნელი გაზდელიანი** მეორე დღესვე დაუკავშირდნენ თბილისს და მიიღეს რეკომენდაციები კრემლში გასაგზავნი დოკუმენტების შექმნის თაობაზე.

ყველა საჭირო საბუთი დიდი რუდუნებით ჩავდეთ განსაკუთრებულ კონვერტში, რომელიც რაიონულმა კომიტეტმა გადმოგვცა. კონვერტზე გაჩნდა რუსული წარწერა:

**„მოსკოვი. კრემლი. ი. სტალინს**

**გამგზავნი: ონიანი დომენტი შავხანის ძე**

**საქართველოს სსრ. ქვემო სვანეთი, სოფელი სასაში“.**

ლენტეხის რაიონულმა ფოსტამ სპეციალურ ჟურნალში გაატარა წერილი...

ხანგრძლივი თოვლიანი ზამთარი მოსაწყენი და მოსაბეზრებელი შეიქნა. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვამდე დიდი გზა იყო, წერილის გაგზავნის მეორე დღიდანვე ველოდით პასუხს, რადგან ჩვენ სტალინის დავალებით ვმოქმედებდით და კონვერტზეც სტალინის სახელი ეწერა. დრო ვერაფერმა შეამოკლა. გათავდა დიდი მარხვაDდა დაიწყო გაზაფხული. გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა, მაგრამ სიახლე არა.

1952 წლის 5 ოქტომბერს სვანეთში დიდი თოვლი მოვიდა. ჩვენი სახლის კვამლისგან გაშავებულ კედელზე ცარცით დავწერე: „5 ოქტომბერი. Dდიდი თოვლი მოვიდა. 1952 წელი“. ეს წარწერა დიდხანს იყო კედელზე, ვიდრე მამაჩემმა სახლი არ გადააკეთა. ყველას ეგონა, თოვლი დადნებოდა და ზამთარი ასე ნაადრევად არ ჩამოდგებოდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, თოვლის საფარი კი არ იკლებდა, პირიქით — იმატებდა. ყოველ საღამოს, როდესაც ოჯახის წევრები ღუმელთან მოვიყრიდით ხოლმე თავს, იმაზე ვლაპარაკობდით, როგორ ამოვიდოდა გიორგი ამ ავდარში ზვავებით გავსებული გზებით სვანეთში.

**ოჯახის ყველა წევრი თავისებურად ემზადებოდა გიორგისთან შესახვედრად. ას წელს გადაცილებული ბაბუა** ▶

მოკლედ



## «ისლამურმა სახელმწიფომ» კავკასიის ტერიტორიაზე თავისი პროვინციის დაარსების შესახებ განაცხადა

**სააგენტო „ფრანს-პრესმა“ გაავრცელა დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ პრესსამსახურის ხელმძღვანელის — აბუ-მუჰამად ალ-ადნანის განცხადება, რომლის მიხედვითაც დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ თავისი პროვინცია კავკასიის ტერიტორიაზე დააარსა.** „ვულოცავთ „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარისკაცებს კავკასიაში ხალიფისადმი ერთგულების ფიცის დადებას. ის იღებს თქვენ ფიცს და აბუ მუჰამად ალ-ქადარს ნიშნავს კავკასიის მმართველად“, — ამბობს ალ-ადნანი ინტერნეტში გავრცელებულ განცხადებაში. „ისლამურმა სახელმწიფომ“ ახალი ვილაიეთი ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის ტერიტორიაზე, დააარსა.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოჯახის ყველა წევრი თავისებურად ემზადებოდა გიორგისთან შესახვედრად. ას წელს გადაცილებული ბაბუა ზურაბი ციგას, ციგურებს, თხილამურებსა და ბზუალას (ჯირინჯიკა) უმზადებდა უცნობ პატარა შვილიშვილს, დედაჩემი კი წინდებს, ხელთათმანებს, ჯემპრებს უქსოვდა. კოშო — ბაბუას ობოლი ძმისშვილი, რომელიც ჩვენთან გაიზარდა და ჩვენ თითქმის სანახევროდ მისი გაზრდილები ვართ, გიორგისთვის ფეხების დასაბანად სპილენძის პატარა ტაშტს ამზადებდა, რომელშიც დედა მოცვის მურაბას ხარშავდა ხოლმე.**



**პოლონეთის საელჩოს რამდენიმე მცდელობა, ბავშვი გაეყვანათ სვანეთიდან, უშედეგოდ დასრულდა — წინასწარი საიდუმლო შეტყობინების შემდეგ ბავშვი 3-4 დღით საიდუმლო სამალავში მიჰყავდათ. ასე გაგრძელდა, ვიდრე ჟორა სრულწლოვანი (18 წლის) არ გახდა. სრულწლოვანმა ჟორამ კი სასტიკი უარი განაცხადა პოლონეთის მოქალაქეობაზე და მას სახელდახელოდ საბჭოთა პასპორტი ჩაუდეს ჯიბეში**

◀ **ზურაბი ციგას, ციგურებს, თხილამურებსა და ბზუალას (ჯირინჯიკა) უმზადებდა უცნობ პატარა შვილიშვილს, დედაჩემი კი წინდებს, ხელთათმანებს, ჯემპრებს უქსოვდა. კოშო — ბაბუას ობოლი ძმისშვილი, რომელიც ჩვენთან გაიზარდა და ჩვენ თითქმის სანახევროდ მისი გაზრდილები ვართ, გიორგისთვის ფეხების დასაბანად სპილენძის პატარა ტაშტს ამზადებდა, რომელშიც დედა მოცვის მურაბას ხარშავდა ხოლმე.** მამაჩემმა საახალწლოდ დასაკლავ ტახებთან ერთად სამი „საბატკე“ ბურვაკიც შეუშვა გასასუქებლად და შამფურზე შესაწვავად. ცხენის ბაგაზე გადმოაბეს კოლიას სახელზე შეწირული უზარმაზი შავი ხარი ფუსნა (რომელსაც შუბლიდან დრუნჩამდე თეთრი ზოლი დაჰყვებოდა) და გაძლიერებულ კვებაზე გადაიყვანეს, რათა გიორგის „ლიხიადალზე“ (სიხარულზე, როცა ჩამოვა) კოლიას სახელზე დაეკლათ (ამით ფათერაკი ასცდება მას, ვის სახელზეც არის შეწირული ხარი თუ სხვა რამ). კოლიას მომდევნო — ნინა სხვადასხვა ფორმის თეთრეულს უმზადებდა თავის ძმისშვილს და სტუმრისთვის გამოყოფილ ბუხრიან ოთახს სწორედ გიორგისთვის ალაგებდა. **ჩემი ძმები თოფითა და მახეებით ჭყანტობ ადგილებში იყვნენ გასული მახეების დასაგებად და გუნდ-გუნდად გადამფრენ ფრინველებს საფანტიანი თოფიდან გასროლით უმასპინძლდებოდნენ. სახლში მოტანილ ნანადირევს ვპუტავდით, ნაღვერდალზე ვტრუსავდით, ვამარილებდით და მოხრილ რკალზე გამობმულ დაგრეხილ თოკზე კისრებით ვამგრებდით, გიორგის ნანადირევი ფრინველის ხორცით რომ ესიამოვნა.**

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ყველა წევრი ჩაბმული ვიყავით გიორგის მიღება-დაბინავების საქმეში, არავის გვქონდა წარმოდგენა მის წლოვანებაზე, თუ არ გავითვალისწინებთ დედაჩემის სიზმარს, რომლის მიხედვითაც გიორგი სამი წლის იყო.

იდგა შობა. **იშვიათია სვანური ოჯახი, სადაც „ქრისდეეშ“ (შობას) ტახი არ დაიკვლება და სანთელი არ დაინთება. ასე იყო ჩვენს ტრადიციულ ოჯახშიც. მაჩუბში (სვანური სახლის პირველი სართული) შუაცეცხლი დაინთო და უზარმაზარი თუჯის ქვაბი ნააჭაზე (სპეციალურ ჯაჭვზე) ჩამოეკიდა.** ქვაბში ჩასხმულმა წყალმა დუღილი რომ დაიწყო, ოჯახის ყველა მამაკაცი ტახების გომურში შევედით საკლავის გამოსაყვანად. ის იყო ერთი ტახი უკვე წამოქცეული გვყავდა და ბაბუაჩემი დანას ფხას უსინჯავდა, რომ მაჩუბში მეზობელი ვენერა შემოვიდა, დეპეშა აგვიფრიალა და მოგვახარა, გიორგი ქუთაისშია და ბიძია დომენტის ელოდებაო. მიუხედავად იმისა, რომ გიორგის თითქმის ერთ წლის განმავლობაში ველოდებოდით, ცნობა მაინც შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. ოჯახის ყველა წევრი ერთმანეთს ვკოცნიდით და ვეხვეოდით, ჩვენს სიხარულს მეზობლებიც შემოუერთდნენ, ყველა აღტაცებული იყო. ცოტა რომ დავწყნარდით, ტახი მოვიკითხეთ, მაგრამ სადღა იყო. ბაბუამ დაგვამშვიდა, — ისეთი მსუქანია, შორს ვერ გაიქცეოდა, აქვე იქნებაო. მალევე მეზობელმა შეგვატყობინა, თქვენი ტახი თოვლშია ჩაფლული და ვერ მოძრაობსო. დედაჩემმა ცომი მოზილა და, ვიდრე ცომი აფუვდებოდა, ტახი უკვე გამოშიგნული გვყავდა, სახელდახელოდ ამოჭრილი სუკებისგან დედაჩემი კუბდარის კვერებს აცხობდა და ცვილის სანთლებს გრეხდა ლოცვის აღსავლენად.

ორშაბათს, დილით, მამაჩემი პაჭიჭებით, ხარის ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმლით (გაბუნდულებით), რომელშიც „წერექვი“ იყო ჩატანებული, ზურგზე საგზალგადაკიდებული ფეხით დაადგა არცთუ მოკლე თოვლიან გზას ჩემი სოფლიდან (სასაშიდან) ქუთაისისკენ.

ჩოლურის, ლენტეხის, ცაგერის, ორბელის, ალპანის გავლით მესამე დღეს, ოთხშაბათს მამა რკინიგზის სადგურთან არსებულ ბავშვთა ოთახს მიადგა (მითითებული იყო დეპეშაში). რომელსაც მილიციის თანამშრომელი იცავდა. მას მამაჩემმა ვერაფერი გააგებინა, რადგან რუსი აღმოჩნდა. თუმცა მეორე მილიციელი, რომელიც მოსაცდელ ოთახში მორიგეობდა, მალე გაერკვია საქმის ვითარებაში და მამაჩემიც, თუმცა აღელვებული, დაელოდა ბავშვთა ოთახში შესვლას, რადგან პატარა გიორგის ეძინა.

**მამაჩემი, როგორც იქნა, ბავშვთა ოთახში შეუშვეს და შვილიშვილთან მიიყვანეს. პატარა საწოლზე დათვის ბელივით წამომჯდარი პატარა გიორგი ბაბუას პირდაღებული შეჰყურებდა. მამა დინჯი და აუღელვებელი კაცი იყო. მან ბავშვი დიდი გულმოდგინებითა და ინტერესით დაათვალიერა. შვილის რაიმე ნიშანს, თვისებას თუ ღიმილს ეძებდა ბავშვში, თვალების ფერსა და ფრჩხილების მოყვანილობას აკვირდებოდა. ბოლოს კი, როცა ნადირივით დაყნოსა, ვეღარ მოითმინა და მხეცივით აღრიალდა, — ეს მისი სისხლი და ხორცია, მისი ჯიში.** ემოციური ხვევნა-კოცნის შემდეგ საქმეზე გადავიდნენ. ბავშვთა ოთახში სასწრაფოდ მოვიდა ქუთაისის მილიციის სამართველოს უფროსი, ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქის მთავარი პედიატრი და სხვა ოფიციალური პირები. დაიწყო გიორგი ნიკოლოზის ძე ონიანის მიღებ-ჩაბარების პროცედურა.

მეურვეს (ბაბუას) გადაეცა წლისა და შვიდი თვის სრულიად ჯანმრთელი გიორგი ნიკოლოზის ძე ონიანი. ასევე ჩაბარდა:

* საზაფხულო ტანსაცმელი და ფეხსაცმელები ხუთ წლამდე;
*საზამთრო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ხუთ წლამდე;
* ლოგინის სრული კომპლექტი ხუთ წლამდე;
*ბავშვის დასაკეცი საწოლი;
*ქუდები საზამთრო და საზაფხულო;

მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მოაწერეს: ჩამბარებელ-გამცილებლებმა — მილიციის სერჟანტმა **პოპოვამ** და ექთანმა **ორლოვამ**, მიმღებმა ბაბუამ — **დომენტი შავხანის ძე ონიანმა.**

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაოცებას ვერ მალავდნენ იმ ყურადღების გამო, რომელსაც შორეულ ციმბირიდან (მაგადანიდან) ჩამოსული მილიციელი და ექთანი იჩენდნენ ბავშვის მიმართ. დამშვიდობებისას, როცა ბავშვი თავისი ავლა-დიდებით ოთახიდან გამოჰყავდათ, მილიციის თანამშრომელი და ექთანი გულამოსკვნით ქვითინებდნენ.

ავდრისა და ცუდი გზის გამო, ბავშვის „მზითევი“ მამაჩემმა ქუთაისში თავის ბიძაშვილ გუცას მიაბარა, თვითონ კი ბეჭებზე შესმული შვილიშვილით ქუთაისიდან ქვემო სვანეთისკენ მიმავალ გზას დაადგა.

1954 წლის 1 იანვარი კარზე იყო მომდგარი, დომენტიმ დაკარგული ვაჟის ნანატრი შვილით სახლის კარი რომ შეაღო.

დედამ, რომელიც იმხანად 54 წლის იყო (1900 წელს დაბადებული), შვილიშვილს თავის გულსა და ლოგინში მიუჩინა ადგილი. მთის კერძებს შეუჩვეველი პატარა ჭირვეულობდა, რის გამოც დედაჩემი იძულებული შეიქნა, თავისი გამშრალი ძუძუთი „გამასპინძლებოდა“.

ბავშვისთვის სახლში გიორგი არავის დაუძახია, რატომღაც ყველამ ჟორად აღიარა. ჟორა იყო მთელი ოჯახის საზრუნავი და საფიცარი.

ყველა ცდილობდა, რაღაცით ესიამოვნებინა მისთვის. **დედაჩემის ძუძუს რეგულარული წოვის შედეგად მოხდა სასწაული და 54 წლის ქალს მკერდში რძე ჩაუდგა. ბავშვისა და ბებიის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.**

ჟორამ მხოლოდ რუსული სიტყვები იცოდა, მაგრამ ეს სიტყვები არ იცოდა ოჯახის არც ერთმა წევრმა, ამიტომ ბავშვის მოთხოვნების დაკმაყოფილება ადვილი საქმე არ იყო. ბავშვი დაჟინებით გაიძახოდა, — „პიტ დაი!“, ბაბუაჩემის ძმისშვილი კოშო, რომელიც ჩვენთან ცხოვრობდა, დედას ეუბნებოდა, სასწრაფოდ საღვთო კვერები უნდა დავაცხოთ ჟორა პიტს ითხოვსო (პიტ — სვანურად საღვთო კვერს ნიშნავს). ასე ჯახირ-ჯახირით ისწავლა კოშომ რუსული, ხოლო ჟორამ — სვანური.

1957 წელს საბჭოთა კავშირში გამოცხადებულმა საყოველთაო ამინისტიამ ყველა დამნაშავისა თუ უდანაშაულოსთვის გააღო საპატიმროს კარი და ჩემი ძმა კოლია ონიანიც მშობლიურ კერას დაუბრუნდა, ხოლო ჟორას დედა, ყოფილი პატიმარი **ელენა მაკოვსკაია,** პოლონეთს გაემგზავრა.

სამშობლოში ჩასულმა ელენა მაკოვსკაიამ მიმოწერა დაიწყო დედაჩემთან — კითხულობდა ბავშვის მდგომარეობას. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ერთხელ ოჯახში ისევ სპეცფოსტას რომ არ მოეტანა წერილი. **პოლონეთის საელჩო მოსკოვიდან იტყობინებოდა, რომ ჩვენთან აღსაზრდელად მყოფი ბავშვი — გიორგი ნიკოლოზის ძე ონიანი, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიკუთვნებულია დედას — პოლონეთის მოქალაქე ელენე მაკოვსკაიას, ამიტომ ბავშვის ექსტრადირება უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდესო, — იუწყებოდა პოლონეთის ელჩი.**

ოჯახში გლოვის ზარმა ჩამოჰკრა. ვერავის წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა ოჯახს ჟორას გარეშე. ოჯახი და ლანხუბი (ბიძაშვილობა) გეგმავდა, სად უნდა გახიზნულიყო, რომელ ტყესა და კლდის რომელ ჭიუხებში ჟორასთან ერთად რამდენიმე კაცი, რომ ბავშვი სვანეთიდან არ წაეყვანათ. ოჯახს ღამეები არ ეძინა, მაგრამ არ ეძინა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსაც. მოსკოვიდან ჩამოსულმა კგბ-ს მაღალჩინოსანმა, რომელსაც ახლდნენ საქართველოს უშიშროების თანამშრომლები, დაწვრილებით შეისწავლეს ბავშვის აღზრდისა და სწავლა-განათლების მდგომარეობა და საიდუმლო ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს მამაჩემს, იმ შემთხვევისთვის, თუ ბავშვის წასაყვანად უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც იქნებოდნენ.

პოლონეთის საელჩოს რამდენიმე მცდელობა, ბავშვი გაეყვანათ სვანეთიდან, უშედეგოდ დასრულდა — წინასწარი საიდუმლო შეტყობინების შემდეგ, ბავშვი 3-4 დღით საიდუმლო სამალავში მიჰყავდათ. ასე გაგრძელდა, ვიდრე ჟორა სრულწლოვანი (18 წლის) არ გახდა. სრულწლოვანმა ჟორამ კი სასტიკი უარი განაცხადა პოლონეთის მოქალაქეობაზე და მას სახელდახელოდ საბჭოთა პასპორტი ჩაუდეს ჯიბეში.

## კოლეგის გახსენება



**ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულ მიწას მიაბარეს აზერბაიჯანელი კაცი, პროფესიონალი ქართველ ჟურნალისტთა ამქრის გამორჩეული წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი სულეიმან სულეიმანოვი.**

წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა „გიურჯუსტან“ — საქართველოში აზერბაიჯანულ ენაზე გამომავალ გაზეთს, რომელიც ნიმუში იყო ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმობისა და მეგობრობის. ეს გამოცემა ყოველთვის ოპერატიულად ეხმაურებოდა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების საჭირბოროტო საკითხებს, წარმოაჩენდა მათ ერთგულებასა და თავდადებულ შრომას იმ ქვეყნის საკეთილდღეოდ, რომელიც შეითვისა, როგორც საკუთარი შვილები.

სულეიმან სულეიმანოვი ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებს. არ გაგიკვირდეთ, აზერბაიჯანული ენა რომ ვახსენე, რადგან იყო ერთი პერიოდი, როცა ამ გაზეთს სათავეში ედგა არცთუ ურიგო მეცნიერ-სოციოლოგი, რომელმაც აზერბაიჯანული სიტყვა არ იცოდა.

სულეიმანი სისხლითა და ხორცით ჟურნალისტი იყო, ავისა და კარგის გამრჩევი, ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი, რომელიც პატიოსნად ემსახურებოდა თვისტომელებს. გასულ კვირადღეს მისმა კოლეგებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს პატიოსნებისა და თავმდაბლობის, კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობის განსახიერება, ჩვენი მეგობარი და კოლეგა სულეიმან სულეიმანოვი.

**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირიდან საბერძნეთის გასვლა დაკავშირებული იქნება ბრიტანეთის გასვლასთან და ეს ყველაფერი ფატალურ გავლენას მოახდენს არა მხოლოდ ევროჯგუფის სტაბილურობაზე, არამედ ევროკავშირის კონსტრუქციაზე. და ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე ყველა იმ საფრთხეს შორის, რომლებიც ევროპას დღეს ემუქრება.**

# საბერძნეთს სხვებიც გაჰყვებიან

**უკვე რამდენიმე წელია, უფრო ზუსტად კი 2009 წლის ფინანსური კრიზისის დაწყებიდან ევროკავშირი ახალ-ახალ წინააღმდეგობებს ეჯახება. ეს კრიზისები აშკარად აღემატება ევროკავშირის შესაძლებლობებს და მის წინაშე დაუძლეველ მოთხოვნებს აყენებს.**

ევროკავშირი უძლურია წარმოქმნილ კრიზისულ სიტუაციებზე სათანადო რეაგირებისთვის. ამას ადასტურებს ყველა კონფლიქტი: საბერძნეთს კრიზისის მკვეთრი გამწვავება; უკრაინაში მიმდინარე ომი და რუსეთთან კონფრონტაცია; ხმელთაშუა ზღვის რაიონში დევნილებთან დაკავშირებული კრიზისი, რომელიც ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული აფრიკაში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებთან და სამოქალაქო ომთან; ძალზე რთული და თითქმის გამოუვალი რეგიონული კრიზისი ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომლის ცენტრშიც სირია და ერაყია...

ყოველივე ეს აღრმავებს ევროპული კავშირის ლეგიტიმურობის შიგა კრიზისს. მისი მოქალაქეები ხომ ისეთი გადაწყვეტილებებს ითხოვენ, რომელთა მიღებაც ევროკავშირს, უბრალოდ, არ ძალუძს ან არ სურს. შედეგად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის იზრდება ევროპის დემოკრატიული მხარდაჭერის ეროზია.

**უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში ევროკავშირი, შესაძლოა, კიდევ უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. სავარაუდოდ, უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში სიტუაცია კიდევ ორჯერ გამწვავდება: საუბარია ბრიტანულ რეფერენდუმზე ევროკავშირში ბრიტანეთის სამომავლო წევრობაზე, ასევე, ესპანეთში ამ შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე, რომელსაც თავისუფლად შეუძლია „ბერძნული შედეგის“ მოტანა.**

შესაძლოა, მოვლენები საწინააღმდეგო მიმართულებითაც განვითარდეს — დიდი ბრიტანეთი დარჩეს ევროკავშირში, ესპანეთმა კი ან სტატუს-კვო დაამტკიცოს, ან საბერძნეთთან შედარებით ზომიერ ცვლილებებს დაუჭიროს მხარი.

მაგრამ უარესი სცენარის ალბათობა ამ ეტაპზე სავსებით რეალურია. ევროკავშირის მომავლისათვის დიდად სავარაუდოა შემდეგი საგანგაშო ვარიანტი: **თავდაპირველად მოხდება ევროკავშირიდან საბერძნეთის გასვლა (ანუ მისი გარიცხვა), შემდეგ ესპანეთის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც გამოიწვევს ამ ქვეყნის სვლას საბერძნეთის მიმართულებით, და ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა. ამ შემთხვევაში ევროკავშირის არსებობას სერიოზული საფრთხე დაემუქრება.** და თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდება, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გარდაუვალი იქნება კრახი, — ევროკავშირიდან სხვა ქვეყნებიც გავლენ.

ამით ეჭვქვეშ დადგება ევროპული ინტეგრაციის 60-წლიანი წარმატებული ისტორია და ევროპული პროექტი შეიძლება საერთოდ ჩაიშალოს. ამგვარ სიტუაციაში ევროკავშირი წევრი ქვეყნების ყველა ევროსკეპტიკოსი ნაციონალური არჩევნების ცენტრში დააყენებს საკითხს მათი ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლის ან ევროკავშირის დაშლის თაობაზე. ამგვარ პოზიციას წარმატების სულ უფრო მეტი შანსი ექნება.

როგორც უკვე ითქვა, აუცილებელი არაა, რომ მოვლენები სწორედ ამ ვარიანტის შესაბამისად განვითარდეს, მაგრამ დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სავსებით რეალური იქნებოდა, გვევარაუდა, რომ ეს ადვილად შესაძლებელია. უდავოა, რომ **ევროკავშირიდან საბერძნეთის გასვლა დაკავშირებული იქნება ბრიტანეთის გასვლასთან და ეს ყველაფერი ფატალურ გავლენას მოახდენს არა მხოლოდ ევროჯგუფის სტაბილურობაზე, არამედ ევროკავშირის კონსტრუქციაზე. და ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე ყველა იმ საფრთხეს შორის, რომლებიც ევროპას დღეს ემუქრება.**



**თავდაპირველად მოხდება ევროკავშირიდან საბერძნეთის გასვლა (ანუ მისი გარიცხვა), შემდეგ ესპანეთის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც გამოიწვევს ამ ქვეყნის სვლას საბერძნეთის მიმართულებით, და ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა. ამ შემთხვევაში ევროკავშირის არსებობას სერიოზული საფრთხე დაემუქრება**

ევროპის შიგა კრიზისი ვითარდება სახიფათო და არასტაბილურ გეოპოლიტიკურ კონტექსტში. გამორიცხული არ არის, რომ ამან ხელი შეუწყოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთიანობის გამყარებას, მაგრამ ამგვარი სიკეთე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს გარანტირებულად.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ევროკავშირის არსებობისათვის ესოდენ სახიფათო სცენარის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, საბერძნეთის კრიზისიდან გამოსვლის სტრატეგიული გადაწყვეტილებაა მისაღები. საბერძნეთისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ფული და რეფორმები და ეს ყველაფერი სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს, როგორც ევროზონის, ასევე ევროკავშირის ფარგლებში.

საბერძნეთს, როგორც არშემდგარ სახელმწიფოს, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში განაგრძობს ევროკავშირის წევრობას, ვერც ათენი, ვერც ბრიუსელი და ვერც ბერლინი ვერ შეინარჩუნებს. ათენსა და მის კრედიტორებს შორის მიმდინარე პოკერი ზიანს აყენებს მის ყველა მონაწილეს და, უპირველეს ყოვლისა, ვროპას. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ bail-out-ის ახალი ვარიანტით, ანუ საბერძნეთის გადარჩენით ევროზონის ხარჯზე, თუკი ევროპას არ სურს, რომ თავით გადაეშვას კატასტროფაში.

ევროპული თვალსაზრისით, ევროკავშირიდან საბერძნეთის გასვლა ერთმნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა იყოს. თუ მისი გასვლა მართლაც თავიდან იქნება აცილებული, ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლასთან დაკავშირებული გამოწვევა გაცილებით ნაკლებ სერიოზული გახდება. ბრიუსელსა და ლონდონს შორის რისკები გადანაწილებულია უფრო თანაბრად; უფრო მეტიც, ისინი გაცილებით მნიშვნელოვანია ბრიტანეთის პრემიერმინისტრის — დევიდ კემერონისთვის. სინამდვილეში ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლას, დიდი ალბათობით, მხარს არ დაუჭერს შოტლანდია. ეს კი, შესაძლოა, გაერთიანებული სამეფოს დაშლას ნიშნავდეს. ამგვარი ვარიანტი, რაც უკიდურესად არასასურველია, შარშან უკვე უარყო შოტლანდიელების უმეტესობამ.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირი ლონდონთან მოლაპარაკებებში, რომლებიც რეფერენდუმის წინ გაიმართება, მოქნილობის დემონსტრირებას უნდა ცდილობდეს. შესაძლოა, ჯერჯერობით ხელშეუხებელია ევოკავშირის ფუძემდებლური პრინციპები, მაგრამ საუბარია, უპირველეს ყოვლისა, გამონაკლისზე დიდი ბრიტანეთისთვის, ასევე, იმ მომავალი ურთიერთობების ხასიათზე, რომლებიც კიდევ უფრო მეტად შეაკავშირებს ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს.

**Sueddeutsche Zeitung**

# გადარჩება თუ ვერა ელადა

**11-გვერდიანი გეგმა, რომელიც ბოლო წუთს წარმოადგინა გაკოტრების პირას მდგარმა საბერძნეთმა, ოდნავ ანეიტრალებს პესიმისტურ განწყობას. როგორც ჩანს, რეფორმების ახალი პროგრამა, რომელიც პრემიერმინისტრმა ალექსის ციპრასმა კრედიტორებს, კერძოდ კი, ევროკავშირსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს გაუგზავნა, ქვეყანას ეკონომიკური კრახისგან იხსნის.**



ახლა ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები და მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობა ამუშავებენ იმ შეთანხმების ტექნიკურ დეტალებს, რომლებიც, შესაძლოა, მიღწეულ იქნეს ამ გეგმის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელს მოაწერენ ამგვარ შეთანხმებას, საბერძნეთი შეძლებს, შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები მსოფლიო სავალუტო ფონდის მიმართ, ეს ვალდებულებები კი გულისხმობს, რომ 1,6 მილიარდი ევრო ამ თვის უკანასკნელ დღეს უნდა იქნეს გადახდილი.

სინამდვილეში საბერძნეთს არ შეუძლია დათქმულ ვადებში დავალიანების გადახდა. საბერძნეთის ხაზინა ცარიელია, ხალხი — გაღატაკებული. ციპრასის ხელისუფლებას ვალების გადახდა მხოლოდ ახალი ვალების საშუალებით შეუძლია.

**კრედიტორებისგან საბერძნეთს 7,2 მილიარდი ევრო უნდა მიელო, მაგრამ, ვინაიდან მისი ეკონომიკა განუხრელად მიექანება უფსკრულისაკენ, კრედიტორებმა გადაწყვიტეს, ციპრასის ხელისუფლებისგან უფრო მკაცრ ეკონომიას დალოდებოდნენ.**

ამასობაში დადგა დრო, მსოფლიო სავალუტო ფონდისთვის 1,6 მილიარდი ევროს გადახდისა. ქამრების შემოჭერის ახალი პროგრამა მხარდაჭერით სარგებლობს, ციპრასმაც ამ დრომდე არ დაკარგა პოპულარობა. ათენში ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში ევროკავშირიდან გასვლის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უხეშობისა, განსაკუთრებით გერმანიის მხრიდან, „სირიზას“ ხელისუფლება ანტიევროპულ პოზიციაზე არ დადგა და შეეცადა, ევროკავშირის პარტნიორებთან კონსენსუსის მიღწევას.

**Milliyet**

**კრედიტორებისგან საბერძნეთს 7,2 მილიარდი ევრო უნდა მიელო, მაგრამ, ვინაიდან მისი ეკონომიკა განუხრელად მიექანება უფსკრულისაკენ, კრედიტორებმა გადაწყვიტეს, ციპრასის ხელისუფლებისგან უფრო მკაცრ ეკონომიას დალოდებოდნენ**

**ამერიკელ საზოგადოებას კატეგორიულად არ მოსწონს ის დიდი ხარჯები, რომლებსაც მათი ქვეყანა ნატოს თავდაცვისთვის იღებს. ეს თანხა ალიანსის საერთო ბიუჯეტის 73 პროცენტს უტოლდება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინის კონფლიქტი რომ არა, ნატო დაშლის პირას იყო

**„ოქროს მილიარდს“ უკრაინისთვის კი არა, საკუთარი მოკავშირეებისთვისაც არ სურს ბრძოლა. ამერიკულმა კვლევითმა ორგანიზაციამ — Pew Research Center-მა ნატოს რვა ქვეყანაში ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიმართ დამოკიდებულების გასაგებად. პარალელურად იმავე ადამიანებს ჰკითხეს ნატოს შესახებაც. იტალიასა და პოლონეთში კითხვებს რესპონდენტებს პირისპირ უსვამდნენ, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიასა და ესპანეთში გამოკითხვა ტელეფონით ჩატარდა.**



ამრიგად, საუბარია ქვეყნებზე, რომლებშიც ალიანსის მთელი მოსახლეობის 78% ცხოვრობს და რომლებიც ფლობენ ჩრდილოატლანტიკური კავშირის საერთო შიგა პროდუქტის 88%-ს, ასევე, 94%-ით ანაზღაურებენ მისი თავდაცვის ხარჯებს.

აქციაში მონაწილეობდა დაახლოებით 8 ათასი ადამიანი — დაახლოებით ათასი მოქალაქე თითეული სახელმწიფოდან. ამასთან, როგორც კვლევითი ორგანიზაცია ირწმუნება, ცდომილების ზღვარი 3,1-დან 4,1 პუნქტამდე მერყეობს. ეს კი მიანიშნებს ხარისხიანად ჩატარებულ სამუშაოზე, რადგან ამგვარი შედეგები მიიღწევა მხოლოდ სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევისას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტერვიუერები ცდილობდნენ, კითხვები დაესვათ სწორედ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ნამდვილად აინტერესებთ აღნიშნული თემები.

**შედეგებმა გამოავლინა ევროპელებისა და ამერიკელების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება უკრაინული კრიზისისა და ნატოს, როგორც დასავლური თავდაცვითი ინსტიტუტის, მიმართ.**

თუ იტალიელები უკრაინისთვის ყველანაირი ფინანსური დახმარების წინააღმდეგნი არიან, ამერიკელთა 66% მიიჩნევს, რომ „დაჩაგრულ უკრაინას“ უნდა დაეხმარონ. ყველაზე მეტი ჰიპოთეზური ფილანტროპი პოლონეთსა და ესპანეთში ცხოვრობს — 77%.

მაგრამ, როდესაც იმავე რესპონდენტებს ჰკითხეს, საჭიროა თუ არა ნატოს იარაღის გაგზავნა უკრაინისთვის, შედეგებმა, მსუბუქად რომ ვთქვათ, საგონებელში ჩააგდო ექსპერტები. ისინი წინასწარ ჭვრეტდნენ, რომ ანტირუსული პოლონეთი და აშშ შედარებით მაღალ მაჩვენებლებს გამოავლენდნენ. მიუხედავად ამისა, იარაღის მიწოდების შესახებ კითხვას დადებითად პოლონელთა შორის მხოლოდ 50%-მა, ამერიკელთა შორის კი — 46%-მა უპასუხა. ამასთანავე, აშშ-ში ეს მოკრძალებული მაჩვენებელი ხანში შესულმა ადამიანებმა უზრუნველყვეს (56%), ადამიანებმა, რომლებიც ცივი ომის სულისკვეთებით აღიზარდნენ. ახალგაზრდა ამერიკელები კი (54%) კიევის სამხედრო-ტექნიკური მხარდაჭერის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. და ეს მაჩვენებლები დაიდო ქვეყანაში მასმედიის მხრიდან მიმდინარე უმძლავრესი ანტირუსული კამპანიის ფონზე.

დანარჩენ ქვეყნებში ჩრდილოატლანტიკურ „იარაღის მხარდაჭერაზე“ კიდევ უფრო სკეპტიკური თვალსაზრისი აქვთ. მაგალითად, გერმანელების 81%-მა განაცხადა, რომ ისინი არ აღმოუჩენდნენ უკრაინას სამხედრო-ტექნიკურ მხარდაჭერას.

რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს: თვლიან თუ არა, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს თავისი გეოგრაფიული მეზობლებისთვის?

ყოველი ათი პოლონელიდან მხოლოდ შვიდმა განაცხადა, რომ მოსკოვი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს; ასევე თვლიან ამერიკელებიც (გამოკითხულთა 59%).

ამ შედეგების განხილვისას აუცილებელია ასაკობრივი დისბალანსის გათვალისწინებაც. ხანდაზმული მოსახლეობის 64%-ს კვლავინდებურად სჯერა რუსეთის აგრესიულობის, ამერიკის შეერთებული შტატებში კი ამგვარად ახალგაზრდობის მხოლოდ 51% ფიქრობს.

ანალოგიურ თვალსაზრისს იზიარებს ბრიტანელებისა (53%) და ფრანგების (51%) დაახლოებით ნახევარი; იტალიელების 44% და გერმანელების 38% თვლის, რომ თავისუფლად შესაძლებელია, მოსკოვმა ძალა გამოიყენოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. ამ ქვეყნებშიც მნიშვნელოვანი სხვაობა აღინიშნება ხანდაზმული და ახალგაზრდა თაობის შეხედულებებს შორის.

რაც შეეხება გერმანიას, **რუსეთის მიმართ გაცილებით უფრო ლოიალური აღმოსავლეთ გერმანიის მკვიდრნი არიან. მათგან 36% რუსეთში სულაც მეგობარ ქვეყანას ხედავს, მაგრამ გერმანიის დასავლეთ ნახევარში ასე მოსახლეობის მხოლოდ 19% ფიქრობს.** ამასთანავე, აღმოსავლეთით მოსახლეობის 28%, დასავლეთით კი 40% თვლის, რომ მოსკოვი საფრთხეს წარმოადგენს თავისი მეზობლებისთვის. საერთო ჯამში, გერმანელებს სურთ, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები შესუსტდეს.

## უკრაინის კონფლიქტი რომ არა, ალიანსის სოციალური ბაზა უარეს მდგომარეობაში იქნებოდა. პარტიულ ამერიკელებს შორის დემოკრატების 56% და რესპუბლიკელების მხოლოდ 43%-ია ნატოს მიმართ კეთილგანწყობილი

ამერიკელებსა და გერმანელებს შორის კიდევ უფრო მეტი უთანხმოებაა ნატოსეული სოლიდარობის შეფასებისას. მართალია, თავდაცვითი კავშირის თემა სცდება უკრაინული კრიზისის ჩარჩოებს.

კითხვაზე, მიიღებდნენ თუ არა ისინი მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ ომში, თუ ნატოს რომელიმე წევრს პუტინის არმია დაესხმება თავს, გერმანელთა მხოლოდ 38%-მა გამოხატა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მზადყოფნა; აშშ-ში — 56%-ზე მეტმა.

საინტერესოა, რომ ჰიპოთეზურად რუსეთის აგრესიის მსხვერპლი, ნატოს სხვა ქვეყნის დაცვისთვის მზად მყოფი პოლონელების რაოდენობა მოსახლეობის 48% აღმოჩნდა; ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდების მე-5 მუხლის გამო თავგანწირვისთვის მზადაა ბრიტანელების 49%.

**სხვათა შორის, ამ ყველაფრის პარალელურად, პოლონელების 31% დარწმუნებულია, რომ აშშ არ შეასრულებს თავის მოკავშირულ მოვალეობებს; ხოლო 20% დარწმუნებული არაა ნატოს მხრიდან დახმარების მიღების გარდაუვალობაში, თუ მათ ქვეყანას რუსეთი დაესხმება თავს.**

Pew Research Center-ის გამოკითხვის ორგანიზატორები — კეტი სიმონსი და ბორის სტოუკსი ამ ყველაფერში ალიანსის მომავლისთვის სერიოზულ საფრთხეს ხედავენ. ისინი შეგვახსენებენ, რომ **ამერიკელ საზოგადოებას კატეგორიულად არ მოსწონს ის დიდი ხარჯები, რომლებსაც მათი ქვეყანა ნატოს თავდაცვისთვის იღებს. ეს თანხა ალიანსის საერთო ბიუჯეტის 73 პროცენტს უტოლდება.** ამის გამო მუდმივად და მწარედ აკრიტიკებენ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, რადგან იგი „არასაკმარისად“ ზემოქმედებს მოკავშირეებზე სამხედრო ხარჯების გაზრდისთვის. ანალოგიური სიტუაცია მხოლოდ ერთხელ იყო — 1950-იან წლებში, როდესაც ის-ის იყო იქმნებოდა ალიანსი.

საბოლოო ჯამში, ამერიკელთა მხოლოდ 49% გამოხატავს ერთმნიშვნელოვნად დადებით თვალსაზრისს კოლექტიური უსაფრთხოების ამ ორგანიზაციის მიმართ. ციფრები უცვლელი რჩება 2013 წლიდან, მაგრამ ისინი მკვეთრად დაეცა 2010 და 2011 წლის მონაცემებთან შედარებით. მაშინ ამერიკის მოსახლეობის 54% ალიანსის თავდაჯერებული მხარდამჭერი იყო.

**უკრაინის კონფლიქტი რომ არა, ალიანსის სოციალური ბაზა უარეს მდგომარეობაში იქნებოდა. პარტიულ ამერიკელებს შორის დემოკრატების 56% და რესპუბლიკელების მხოლოდ 43%-ია ნატოს მიმართ კეთილგანწყობილი.**

ანგარიშში საუბარია რუსეთის მოსახლეობაზეც. კვლევის მონაცემებით, რუსეთის ათი მოქალაქიდან რვა აშშ-ზე უკიდურესად არასასიკეთო თვალსაზრისისაა და ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ნატოს მიმართაც.

რუსეთში აშშ-ის მიმართ მხოლოდ მოსახლეობის 15%-ს აქვს დადებითი განწყობა, ნატოს მიმართ კი — მხოლოდ 12%-ს. რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის 31% ნატოში რეალურ საფრთხეს ხედავს, მიუხედავად ამისა, ყოველი მეათე მიიჩნევს, რომ ალიანსი რუსეთისთვის სერიოზულ მოწინააღმდეგეს არ წარმოადგენს.

svpressa.ru



## ლე პენს მერკელი აღიზიანებს

**საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა, მარინ ლე პენმა, ინტერვიუში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებაზე ისაუბრა.** ლე პენმა აღნიშნა, რომ მერკელი ყოველთვის გერმანიის ინტერესებს იცავს. მან მერკელს „რკინის ლედი“ უწოდა და არა „სარკოზი ქვედა ბოლოთი“. „მერკელის პოლიტიკა საერთო პირნციპებთან წინააღმდეგობაშია, რადგან მხოლოდ გერმანიაზე ფიქრობს“, — განაცხადა ლე პენმა. „მაღიზიანებს, რომ ვერავინ ეუბნება მერკელს, ყველაფერი გერმანიისთვის რომ კეთდება, ხოლო ჩვენთვის საჭირო არ არის, რადგანაც კატასტროფას წარმოადგენს“, — განმარტა ლე პენმა. „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა საფრანგეთის ექსპრეზიდენტი სარკოზიც გააკრიტიკა და მას „არასასურველი და სასტიკი“ უწოდა.



## ქალაქ კობანში ტერორისტებმა 120 ადამიანი მოკლეს

**დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებმა ჩრდილოეთ სირიის ქალაქ კობანში შეტევის შედეგად 120 ადამიანი მოკლეს.** ამის შესახებ ინფორმაციას მედია ადამიანის უფლებათა დაცვის სირიის ცენტრზე დაყრდნობით ავრცელებს. ქალაქში მომხდარი მკვლელობის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ ვრცელდება. ქალაქის ზოგიერთ კვარტალში ბოევიკების ბლოკირება ხდება. საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ მათ მძევლები ჰყავთ. ქურთების მიერ კონტროლირებად ქალაქ კობანზე შეტევა 25 ივნისს დაიწყო.

მოკლედ

## იუშჩენკო: გვიღალატეს და იმედგაცრუებული ვარ!

**უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო თვლის, რომ დასავლეთმა უკრაინას უღალატა და პირისპირ შეატოვა პრობლემებს.**

„დარწმუნებული ვარ, გვიღალატეს. იმედგაცრუებული ვარ... უკრაინას ეს პერიოდი ძალიან ძვირი დაუჯდა. 10 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 50 000 დაიჭრა, 1,2 მილიონი შიგა ლტოლვილი გვყავს, ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელია. მახსოვს, 1994 წელს აშშ, ბირთვულ პოტენციალზე უარის სანაცვლოდ, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გარანტად დადგა. 1994 წლის 5 დეკემბერს უკრაინამ უარი თქვა ბირთვულ პოტენციალზე, ამის სანაცვლოდ რუსეთმა, აშშ-მა, საფრანგეთმა, ჩინეთმა და დიდმა ბრიტანეთმა მკაფიო გარანტიები მისცეს ქვეყანას. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საფრანგეთი, ჩინეთი, აშშ და დიდი ბრიტანეთი კრიზისის დროს უნდა დაგვხმარებოდნენ? პოლიტიკოსებისთვის მემორანდუმი და ხელშეკრულება ბიბლიასავითაა, ამიტომაც ვარ იმედგაცრუებული, რომ მსოფლიოს ასეთი მოკლე მეხსიერება აქვს“, — განუცხადა იუშჩენკომ EL MUNDO-ს კორესპონდენტს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ახლა პოლონეთში ყველაფერი ცუდადაა: საშინელი, ენით აუწერელი უმუშევრობა; ქარხნები, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობენ; სამაგიეროდ ყველგან იხსნება ახალ-ახალი დასავლური სუპერმარკეტები, რომლებიც ადგილობრივ კომერსანტებს აკოტრებენ.“**

# აღმოსავლეთი ევროპა მაკიაჟის გარეშე

**აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეგრეთ წოდებული რეფორმების დაწყების დროიდან საუკუნის მეოთხედი გავიდა და დადგა დრო, ზოგიერთი მიმართულება შეჯამდეს. ეს დრო დაუდგა უკრაინელს, რომელიც საბჭოთა პერიოდში ბევრ ქვეყანას სტუმრობდა, ამჯერად კი იქ სამუშაოს დაეძებს.**

1989 წლამდე აღმოსავლეთევროპული ქვეყნები წარმოადგენდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, რომლებიც, ძირითადად, სოციალიზმის საბჭოთა მოდელით ვითარდებოდა, მაგრამ ეს სისტემები სულაც არ ქცეულა იმ საბჭოთა წესრიგის პატარა ანარეკლად, რომლის მრავალი ნაკლოვანებაც მხოლოდ მოგვიანებით გავაცნობიერეთ. საბჭოთა კავშირის ზოგიერთი შეცდომა მოსკოვის ზოგიერთმა მოკავშირემ თავიდანვე გაითვალისწინა.

პარადოქსია, მაგრამ საბჭოთა კავშირში რიგითი ობივატელი გაცილებით უკეთ იყო ინფორმირებული აშშ-ისა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში ცხოვრების წესის შესახებ, ვიდრე ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირში თავიანთი ყოფილი მეგობრების ცხოვრებაზე. მაგალითად, გასული საუკუნის 70-იანი წლებისთვის აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების აგროსამრეწველო კომპლექსმა ეფექტურობით გაუსწრო ზოგიერთი დასავლეთევროპული სახელმწიფოს ანალოგიური წარმოებების დიდ ნაწილს. ამ მხრივ მოწინავე ქვეყნებში საშუალო მოსავლიანობა სოციალისტურ ბანაკში ჯერ კიდევ მაშინ აღწევდა ჰექტარზე 50 ცენტნერს. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირისთვის ეს ზღაპარს ჰგავდა, ყვაოდა წვრილი კორპორაციების, საოჯახო და კერძო მაღაზიებისა და კაფეების უმეტესობა.

თუმცა 80-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპაშიც მაღაზიების დახლები სავსე იყო მრავალფეროვანი ასორტიმენტით, მაგრამ კრიზისულ პერიოდებში რუმინეთსა და პოლონეთში გამონაკლისებიც იყო. ამასთანავე, ფორმალურად მათი მაშინდელი ფულიც არ იყო კონვერტირებული, მაგრამ უცხოურ ვალუტაზე ისეთი მკაცრი კონტროლი, როგორიც საბჭოთა კავშირში იყო, მათთან არ ყოფილა. ნებისმიერს შეეძლო, ხელზე ეყიდა ვალუტა და შეეძინა, რაც სურდა. უცხოური ვალუტის „ნაცრისფერი“ ბაზრის კურსი ხელოვნურად იყო დაწეული, ეს კი აღიზიანებდა მოსახლეობას.

და აი, აღმოსავლეთ ევროპაში ავბედითი რეფორმების დაწყებიდან მეოთხედი საუკუნე გავიდა. იმისათვის, რომ სწორად იქნეს გაგებული ამ რეფორმების შედეგები, გავიხსენოთ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის — **პოლ კრუგმანის** ციტატა „ნიუ იორკ თაიმსიდან“: „თუ დაგჭირდებათ არჩევა, რას დაუჯეროთ — ოფიციალურ ეკონომიკურ სტატისტიკას თუ საკუთარ თვალებს, მუდამ დაუჯერეთ საკუთარ თვალებს“.

**დღეს საშუალო ხელფასი პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში დაახლოებით თანაბარია და თვეში საშუალოდ 800 ევროს შეადგენს. მინიმალური ხელფასი იმავე ქვეყნებში დაახლოებით 350-400 ევროა. უმუშევრობა თითქოს ოდნავ აჭარბებს 10%-ს, თითქოს ყველგან ასე თუ ისე იზრდება საერთო შიგა პროდუქტის მოცულობა.**

## პოლონეთი

ქაღალდზე ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასია აღმოსავლეთ ევროპაში და 900 ევროს ეკვივალენტს შეადგენს. ამასთანავე, პოლონეთში არის ყველაზე მეტი უმუშევრობა რეგიონის ყველა ქვეყანას შორის.

დავიწყოთ ხელფასით: საუბარია იმ მცირერიცხოვან იღბლიანებზე, რომლებსაც აქვთ სამსახური, მათ შორის, დროებითი და სეზონური სამსახურიც. ასევე, საუბარია კანონიერ, ოფიციალურ სამსახურზე. ამგვარი სამსახური, უპირველეს ყოვლისა, აქვთ ვარშავის მკვიდრთ. ცოტა რამ სხვა მსხვილ ქალაქებსაც ერგოთ, მაგრამ პროვინცია ლამის შუასაუკუნოვან დონეს დაუბრუნდა.

არ გაგიკვირდეთ, თუ იმ პოლონელებზე შეიტყობთ, რომლებიც კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასის ნახევარზეც თანხმდებიან. ისინი თვეში 150-200 ევროდ მუშაობენ და უხარიათ, თუნდაც ეს შემოსავალი მაინც რომ აქვთ. მაგრამ ამგვარი ხელფასები, რასაკვირველია, სტატისტიკაში არ ხვდება, რათა საერთო სურათი არ გაფუჭდეს.

თავის დროზე პროფკავშირ „სოლიდარობის“ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ — პან ფრედერიკ რაძიუშმა ინტერვიუში განაცხადა:

— **ჩვენი გემთსაშენის, ასევე, მისი შემსყიდველი ფირმა Synergia-99-ის და გდინიის სინდიკატის ყოფილი ხელმძღვანელები ნამდვილი ქურდები არიან. იღებდნენ კრედიტებს და არ აბრუნებდნენ ფულს. სამაგიეროდ ყიდულობდნენ მილიონ დოლარად ღირებულ სახლებსა და სხვა რაღაცებს.** ისინი მოხსნეს თანამდებობებიდან. აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. აფერებთან კავშირი აქვთ, ასევე, მათ ნათესავებსაც. ამ ყიდვა-გაყიდვის ქაოსში გარკვევა შეუძლებელია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მაქინაციებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

ჩვენი გემთსაშენი 70 მილიონ ზლოტად გაყიდეს. იმ პერიოდში მხოლოდ საბანკო ანგარიშზე 40 მილიონი გვედო. გარდა ამისა, იყო უკვე დაკომპლექტებული, თითქმის აშენებული გემები — ცოცხალი ფული.

გაყიდვის შემდეგ განხორციელდა მომცრო გემების სამშენებლო დოკები. მართალია, იმ მომენტისთვის ამგვარი გემების შეკვეთა არ იყო, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, მოგვიანებით გაჩენილიყო.

არავინ იცის, რა ფულით ყიდულობენ ჩვენს საწარმოებს — ფინანსური აფერების მთელი ჯაჭვია.

ხელისუფლება დუმს თანამშრომლების ოფიციალურად დადგენილ მაჩვენებლებზე დაბალი არალეგალური ხელფასების თაობაზეც. ეს მას არ აინტერესებს. მას სხვა საზრუნავი აქვს — ევროპარლამენტში გაიყვანოს თავისი მომხრეები.

ცნობისათვის: ეს უზარმაზარი გემთსაშენი გერმანიის მიერ იქნა აგებული ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე. სწორედ იქ აშენდა მისი სამხედრო ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილი. გდინსკში სამხედრო გემებს აშენებდნენ რუსეთისთვისაც. დღეს ეს სახელგანთქმული გემსაშენი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

**პოლონეთში განადგურდა სოფლის მეურნეობაც. თუკი ქვეყანაში მოხვდებით, აუცილებლად შენიშნავთ მიტოვებულ მინდვრებს.**

აი, კიდევ ერთი პოლონელის აზრი:

— **ახლა პოლონეთში ყველაფერი ცუდადაა: საშინელი, ენით აუწერელი უმუშევრობა; ქარხნები, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობენ; სამაგიეროდ ყველგან იხსნება ახალ-ახალი დასავლური სუპერმარკეტები, რომლებიც ადგილობრივ კომერსანტებს აკოტრებენ.**

საინტერესოა, რომ ამ სუპერმარკეტებისთვის მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირებს იყვანენ სამუშაოდ. შემდეგ კი ადამიანებს ძაღლებივით ექცევიან. ასეთი მდგომარეობაა ვარშავაში, პროვინციებში კი ყველაფერი უარესადაა...

## ჩეხეთი

ნომინალური ხელფასები ოდნავ დაბალია, ვიდრე პოლონეთში, მაგრამ რამხელა სხვაობაა ამ ორ ქვეყანას შორის?! პოლონეთისგან განსხვავებით, ჩეხეთმა ამ დრომდე შეინარჩუნა ცივილიზებული ქვეყნის იერი თვით პროვინციაშიც კი. უმუშევრობა ძალზე მაღალია, მაგრამ არა იმდენად, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა დასავლეთ ევროპაში იწანწალონ.

აქ მინდვრებსაც ამუშავებენ.

ქალაქი ტეშინი ორა- ▶



**ჩვენი გემთსაშენის, ასევე, მისი შემსყიდველი ფირმა Synergia-99-ის და გდინიის სინდიკატის ყოფილი ხელმძღვანელები ნამდვილი ქურდები არიან. იღებდნენ კრედიტებს და არ აბრუნებდნენ ფულს. სამაგიეროდ ყიდულობდნენ მილიონ დოლარად ღირებულ სახლებსა და სხვა რაღაცებს**




**დღეს საშუალო ხელფასი პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში დაახლოებით თანაბარია და თვეში საშუალოდ 800 ევროს შეადგენს. მინიმალური ხელფასი იმავე ქვეყნებში დაახლოებით 350-400 ევროა. უმუშევრობა თითქოს ოდნავ აჭარბებს 10%-ს, თითქოს ყველგან ასე თუ ისე იზრდება საერთო შიგა პროდუქტის მოცულობა**



## ქუვეითის დედაქალაქში შიიტურ მეჩეთს დაესხნენ თავს

ქუვეითის დედაქალაქში ერთ-ერთ შიიტურ მეჩეთზე თავდასხმა განხორციელდა, დაიღუპა **25 ადამიანი.** მომხდარზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო; არიან დაშავებულებიც. მათი რაოდენობა 200-ს აჭარბებს. აფეთქება ლოცვის დროს იმამ სადიქის მეჩეთში მოხდა, რომელიც ერთ-ერთ ხალხმრავალ სალოცავს წარმოადგენს. „ისლამურმა სახელმწიფომ“ მსგავსი თავდასხმები საუდის არაბეთსა და იემენშიც არაერთხელ განახორციელა. აფეთქება შენობის შიგნით მოხდა. აფეთქების ტალღამ ყველა ფანჯარა ჩაამსხვრია. თვითმხილველების განცხადებით, ეს იყო ტერაქტი, რომელიც თვითმკვლელმა განახორციელა. მომხდართან დაკავშირებით, ქვეყნის მთავრობამ გამართა საგანგებო სხდომა, რომლის დეტალები არ კონკრეტდება.



**უნგრეთში ვალუტის შესვლის მთავარი წყარო ავსტრიელი ტურისტები არიან. ზაფხულის სეზონზე ისინი ოჯახთან ერთად მანქანებით ჩადიან იქ დასვენების დღეების ბალატონის ტბაზე გასატარებლად. ადგილობრივი მოსახლეობა მათზე აქირავებს სახლებს, აჭმევს და ართობს მათ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დღეს ბულგარეთში ყველგან თვალში მოგხვდებათ კოოპერატიული ფერმების ნაკვალევი, ნახევრად დანგრეული სადგურები და სარეველამოდებული ქარხნები. თუ ვიზუალურად შევადარებთ იუგოსლავიასა და ბულგარეთს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნატოს რაღაც შეეშალა და პირველის ნაცვლად მეორე დაბომბა

◀ დაა გაყოფილი პოლონეთსა და ჩეხეთს შორის. ამ საზღვარზე არაერთ ევროპელს გაუვლია ფეხით. ჩეხეთის მხარეს ფუნქციონირებს ვაგზალი, უამრავი მატარებლით. პოლონეთის მხრიდან ვაგზალი კი, უკვე რამდენიმე წელია, დაკეტილია.

სავარაუდოდ, ასეთი სხვაობა დიდწილად იმის დამსახურებაა, რომ ჩეხეთის ირგვლივ ევროპის ყველაზე წარმატებული რეგიონებია, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეეხო უკანასკნელი წლების კრიზისული მოვლენები — დასავლეთით ბავარიაა, სამხრეთით — ავსტრია. საზღვრისპირა მოსახლეობა ცდილობს, ნებისმიერ ფასად იშოვოს იქ სამსახური. დილით იქით მიდიან, საღამოს უკან ბრუნდებიან. გერმანელები კი გადადიან ჩეხეთში იაფფასიანი სუპერმარკეტების, იაფფასიანი პორნოსა და აზარტული თამაშების სექს-სალონების გამო.

პრივატიზებული ჩეხური ქარხნების უდიდესი ნაწილსაც სერიოზული პრობლემები აქვს, მაგრამ ბავარიისა და ავსტრიის იმ სამრეწველო ცენტრებთან სიახლოვით, რომლებმაც ასე თუ ისე დაალაგეს კოოპერაცია, ეს პრობლემები ისეთი კოშმარული არ არის, როგორც პოლონეთში.

### უნგრეთი

ერთ დროს აქ „საბაზრო სოციალიზმს“ აშენებდნენ. განსაკუთრებით ყვაოდა კერძო სექტორი. მის ქმედებებზე შეზღუდვები ვრცელდებოდა დაქირავებული მუშების რაოდენობის მხრივ. კერძო მეპატრონეს უფლება ჰქონდა, დაექირავებინა ყველა თავისი ნათესავი და მათთან ერთად ხუთამდე უცხო ადამიანი.

შეიქმნა ერთ-ერთი უდიდესი აგროსამრეწველო კომპლექსი მსოფლიოში, რომლის საფუძველსაც კოოპერატივები წარმოადგენდნენ. ისინი მნიშვნელოვანწილად შენარჩუნდა ამ დრომდე. ავად თუ კარგად სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ფეხზე დგას, მაგრამ გადამამუშავებელი მრეწველობა მიყიდულია მიზერულ ფასად უცხოური კორპორაციებისთვის და თითქმის გაჩერებულია.

ატილა, რუმინელი ეთნიკური უნგრელი, კორსილაზე ვენახებში მუშაობისას ყვებოდა: „პირველი ქვეყანა, რომელშიც მუშაობა დავიწყე საზღვარგარეთ, უნგრეთი აღმოჩნდა. 90-იან წლებში რამდენიმე წელი იქ ვმუშაობდი. შემდეგ ამ ქვეყანაშიც ყველაფერი გაჩერდა. გადავბარგდი ესპანეთში, მაგრამ მალე იქაც ყველაფერი დაინგრა. ახლა საფრანგეთში გამოვიმუშავებ ფულს“.

ფაქტობრივად, **უნგრეთში ვალუტის შესვლის მთავარი წყარო ავსტრიელი ტურისტები არიან. ზაფხულის სეზონზე ისინი ოჯახთან ერთად მანქანებით ჩადიან იქ დასვენების დღეების ბალატონის ტბაზე გასატარებლად. ადგილობრივი მოსახლეობა მათზე აქირავებს სახლებს, აჭმევს და ართობს მათ.**

სოციალიზმის გარდასულ დროსთან ყველაზე თვალნათელი სხვაობა ისაა, რომ კერძო მაღაზიებისა და კაფეების რაოდენობა უნგრეთში მნიშვნელოვნად შემცირდა. გაქრა ადგილობრივი წარმოების სამრეწველო საქონელი. სამაგიეროდ ბუდაპეშტი იქცა პორნოგრაფიული ფილმების სამრეწველო ცენტრად.

### სლოვაკეთი

მეორე მსოფლიო ომამდე ეს ქვეყანა ძალზე ჩამორჩენილი იყო, მრეწველობის მხრივ განვითარებულ ჩეხეთთან შედარებით. 1945 წლის შემდეგ ჩეხოსლოვაკია სწრაფად იქცა იარაღის მსხვილ მსოფლიო მწარმოებლად და ექსპორტიორად, თანაც ყველაზე თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური იარაღის. ამასთანავე, ახალი სამხედრო ქარხნები სწორედ სლოვაკეთში ააშენეს.

„რეფორმების“ დაწყების შემდეგ პრეზიდენტმა ჰაველმა გამოაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკია მშვიდობიანი ქვეყანაა და ამიტომ ყველა სამხედრო ქარხანას დახურა. ამრიგად, ერთი ხელის მოსმით შეწყვიტა მუშაობა სლოვაკეთის ყველა ქარხანამ. როგორც ამბობენ, სწორედ ამის გამო შეიძულეს სლოვაკებმა ჰაველი.

რესპუბლიკაში განხორციელებულ პრივატიზაციაზე ერთ-ერთი რიგითი სლოვაკი ყვება: „მცირე პრივატიზაცია“ შედარებით მშვიდობიანად წარიმართა. როდესაც „დიდი“ პრივატიზაცია დაიწყო, წარმოუდგენელი ქაოსი და ძარცვა ატყდა.

სლოვაკეთის რესპუბლიკის დედაქალაქი ბრატისლავაა — ქალაქი, რომლიდანაც ყოველ საათში გადიან ავტობუსები ვენის მიმართულებით. ავსტრიის დედაქალაქამდე ერთ საათზე ოდნავ მეტი სავალია. კიდევ უფრო სწრაფად შეიძლება ჩასვლა საკუთარი მანქანით. სწორედ იქ ცხოვრობს დღეს სლოვაკეთი.

### ბულგარეთი და რუმინეთი

არ ღირს საუბარი არც „საშუალო“ და არც „მინიმალურ“ ხელფასზე. ამ ქვეყნებში მრეწველობა განადგურდა. მიწის უზარმაზარი მასივები, დიდი ხანია, აღარ მუშავდება.

რუმინეთი პოლიციური ტერორის ქვეყანაა. ყოველ კუთხეში შეხვდებით კალაშნიკოვის ავტომატებით შეიარაღებულ პოლიციელებს. მათი სისასტიკის შესახებ მეზობელ ქვეყნებშიც კი იციან. მეზობელ ოდესის ოლქში გამუდმებით ჩააქვთ უკრაინის იმ მოქალაქეთა კუბოები, რომლებიც რუმინელმა პოლიციელებმა რაღაცისთვის დახოცეს.

**დღეს ბულგარეთში ყველგან თვალში მოგხვდებათ კოოპერატიული ფერმების ნაკვალევი, ნახევრად დანგრეული სადგურები და სარეველამოდებული ქარხნები. თუ ვიზუალურად შევადარებთ იუგოსლავიასა და ბულგარეთს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნატოს რაღაც შეეშალა და პირველის ნაცვლად მეორე დაბომბა.**

### სოცბანაკის ყოფილი საზღვრები

საინტერესო იქნებოდა ყოფილი სოცქვეყნების საზღვრების ფეხით შემოვლა, ქვეყნებისა, რომლებიც ახლა ევროკავშირში შედიან, და იქაური სურათის ხილვა. მაგალითად, **უნგრული საზღვრისპირა სოფელი ადრე, როგორც ჩანს, მდიდარი იყო. იქ კარგი სახლები დგას, მაგრამ ადამიანები თითქმის არ არიან. ფანჯრები დაკეტილი და დაგმანულია. ყველა სადღაც წასულა, სადღაც, სადაც რაიმე სამუშაო მაინც არსებობს.**

მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ყოფილი საბაჟოებისა და სასაზღვრო კონტროლის ზონები, მათი ყველა შენობით, საგულდაგულოდაა შემორაგვული და დაცული, ერთი ფანჯარაც არაა ჩატეხილი. სხვა ყველაფერი გარშემო გაძარცვულ-გავერანებულია.

**იგივე სიტუაციაა ბულგარულ-ბერძნულ საზღვარზე. ბულგარეთის მხარეს ყველა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა განადგურებულია, მაგრამ დაუზიანებელი და ხელშეუხებელია ყოფილი სასაზღვრო სამსახურის ყველა დაკეტილი შენობა. საბერძნეთის მხარეს კი სოფლები დაცარიელებულია.**

ისეთი განცდაა, რომ ევროკავშირი დიდხანს ველარ გასტანს და მრავალი ქვეყნის ხელისუფლებას ეს ესმის...

svpressa.ru



## აშშ-ის პრეზიდენტი, რომანების გამო კი არა, ბირთვული იარაღის გამო ჯაშუშობს

**მას შემდეგ, რაც პორტალმა WikiLeaks-მა და ფრანგულმა მედიამ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ აშშ საფრანგეთის წინააღმდეგ კიბერთვალთვალს ახორციელებდა, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მინისტრები, გენერლები და ადმირალები საგანგებო კრებაზე დაიბარა.**

პარიზში ამერიკის ელჩი სასწრაფოდ დაიბარეს საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელმაც პროტესტი გამოხატა და ახსნა-განმარტებები მოითხოვა. ეს ნაბიჯი ნიშნავს, რომ თვალთვალმა ფრანგებისთვის მნიშვნელოვანი სფეროებიც მოიცვა.

მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო იმან, რომ პრეზიდენტების, პრემიერებისა და კანცლერების ტელეფონები ისმინებოდა. ახლა ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობა ფრანსუა ოლანდის მობილური ტელეფონის მოსმენებს. სხვა ყველაფერი, მათ შორის სამხედრო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური საიდუმლო ინფორმაციების მოსმენები, იგნორირდება სოუსით „ყველა ჯაშუშობს“, მაგრამ ამერიკელების პრიორიტეტები სულაც არ ყოფილა ბერლინური ფუნთუშების ახალი რეცეპტის ან საფრანგეთის პრეზიდენტის რომანების გამომჟღავნება.

კომენტატორებს ეცინებათ, მაგრამ საფრანგეთის წინაშე სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანა დგას, რომელიც მის საერთაშორისო პოზიციას უკავშირდება. პარიზში ნახევრადოფიციალურ დონეზე განაცხადეს, რომ ამერიკულმა დაზვერვამ, შესაძლოა, მოიპოვა წვდომა ამერიკის პრეზიდენტის, როგორც მთავარსარდლისა, და შეიარაღებული ძალების სამხედრო არხებზე. შესაძლოა, მიაღწიეს იმ ყველაზე საიდუმლო არხებამდეც, რომლებითაც პრეზიდენტი ბირთვული იარაღის გამოყენების ბრძანებებს იძლევა.

**საფრანგეთისთვის ბირთვული არსენალი გადარჩენისა და დამოუკიდებლობის გარანტიაა, აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრობისა და ვეტოს უფლების საფუძველიც, ანუ საფრანგეთის ადგილის გარანტია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სიაში.**

ყველაზე გასაიდუმლოებულ სფეროში ვილაცის, თუნდაც მოკავშირის შეჭრა საფრანგეთის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის სერიოზული პრობლემაა. მაგრამ ეს რაღაც უფრო მეტია, ვიდრე დაზვერვათა ომი: გაჩაღებული მსოფლიო კიბერომი, რომელშიც აშშ ზოგჯერ იმარჯვებს და ზოგჯერ მარცხდება.

wPolityce



მსოფლიო





## ერთსქესიანთა ქორწინება აშშ-ის ყველა შტატში დააკანონეს

**აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ქვეყნის ტერიტორიაზე ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზების გადაწყვეტილება მიიღო.** მოსამართლეთა უმეტესობა მივიდა დასკვნამდე, რომ ამერიკის კონსტიტუცია ყველა მოქალაქეს აძლევს დაქორწინების უფლებას. ამასთან დაკავშირებით, ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვა დაარღვევდა ჰომოსექსუალთა კონსტიტუციურ უფლებას. დადგენილების გამოცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე სასამართლოს შენობასთან ერთსქესიანი ქორწინების ასობით მომხრე შეიკრიბა, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებას უდიდესი სიხარულით შეხვდნენ. ჯერჯერობით უცნობია, როდის მოხდება ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება იმ შტატებში, რომლებშიც ასეთი სახის ქორწინება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არ არის ლეგალიზებული. დღემდე ასეთი ქორწინება დაშვებული იყო მხოლოდ 38 შტატში.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შამპინიონს დღეს რომ დაეწყო საქართველოს კონსტიტუციის შესწავლა, ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა, ზუსტად დაედგინა, მმართველობის რა ფორმა ჰქონდა ქვეყანას ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებში, ვინ იყო ქვეყნის პირველი პირი, იყო თუ არა დაცული გარე საფრთხეებისგან და აისახებოდა თუ არა დემოკრატიის პრინციპები ამ დოკუმენტში.**



ალექსანდრე ტოლსტოი

# ევროპული «დემოკრატია» საქართველოს კონსტიტუციაში

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძეს გენერალ-ლეიტენანტ გურამ ნიკოლაიშვილს

**მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა სავსეა პოლიტიკური პარტიებით, პოლიტოლოგებით, ექსპერტებით, კონსტიტუციონალისტებით, ჟურნალისტებით, არასამთავრობოებითა და დასავლეთიდან მოვლენილი სხვადასხვა ჯურის ანალიტიკოსებითა თუ მრჩეველებით, მათ მაინც უჭირთ ხუთი წლის წინათ შემუშავებული და დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის წაკითხვაც კი. არადა, ფრანგმა მკვლევარმა ფრანსუა შამპინიონმა გაშიფრა და წაიკითხა რამდენიმე ათეული საუკუნის წინათ დაწერილი თუ გამოკვეთილი და შემდგომში ყველასგან მივიწყებული ეგვიპტური იეროგლიფები, რითაც მსოფლიოს გააცნო უძველესი ქვეყნის ისტორია.**

**ფრანსუა შამპინიონს დღეს რომ დაეწყო საქართველოს კონსტიტუციის შესწავლა, ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა, ზუსტად დაედგინა, მმართველობის რა ფორმა ჰქონდა ქვეყანას ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებში, ვინ იყო ქვეყნის პირველი პირი, იყო თუ არა დაცული ის გარე საფრთხეებისაგან და აისახებოდა თუ არა დემოკრატიის პრინციპები ამ დოკუმენტში.**

ყოფილი პრეზიდენტი ისე იყო დარწმუნებული, პრემიერმინისტრობაში ვერავინ შეეცილებოდა, რომ საკუთარ თავს წინასწარ გადაულოცა სახელმწიფოს მეთაურის ყველა რეალური უფლებამოსილება, ხოლო პრეზიდენტს უმნიშვნელო ვალდებულებები დაუტოვა, რომლებითაც პრეზიდენტის ინსტიტუტი, ფაქტობრივად, ფორმალურ ორგანოდ აქცია.

**ცხრა წლის განმავლობაში ისე დაჩაგრა და დააშინა პარლამენტარები და მთავრობა (და არა მხოლოდ ისინი), რომ ხმის ამოღებასაც ვერ უბედავდნენ, როდესაც მათ დაათრევდა ხან მღვიმეში, ხან ვენახში, ხან ზღვის სანაპიროზე და ხანაც საკლასო ოთახში. სწორედ მათი ხელშეწყობით შეისრულა აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა თითქმის ყველა ახირება (ერთის გარდა) და კონსტიტუციაც სამუდამო დიქტატორობისთვის მოირგო.**

მან ისე დაუპირისპირა კონსტიტუციის მუხლები ერთმანეთს, რომ ხშირად გაუგებარია, რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელო. მაგალითად:

81-ე მუხლის მიხედვით, მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არა ნაკლებ 2/5-ს (ადრე იყო 1/3). „უნდობლობის გამოცხადების საკითხი აღძრულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი“, მაგრამ ადრე, 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა უფლებამოსილი იყო, პრემიერმინისტრის წინაშე დაესვა მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო, თუ პრემიერი არ გაათავისუფლებდა მთავრობის წევრს, ვალდებული იყო, ორი კვირის ვადაში წარედგინა პარლამენტისთვის მოტივირებული გადაწყვეტილება.

ამ მუხლის ახალი რედაქციით კი, აღარ არის გათვალისწინებული არც მთავრობის წევრის გათავისუფლება და არც მოტივირებული გადაწყვეტილების წარდგენა. ესეც არ იკმარა იმჟამინდელმა პრეზიდენტმა და უნდობლობის გამომცხადებელ პარლამენტარებს წაართვა უფლება, ექვსი თვის განმავლობაში მიიღონ მონაწილეობა მსგავს პროცედურაში (მ.81 ა.1).

ძირითადი კანონის ახალმა რედაქციამ მთავრობას ჯერ მოუხსნა პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე (მ.78 პ.1) და იგი ანგარიშვალდებულებით შეცვალა (მ.78 პ.1), ხოლო შემდგომში ის „სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშით“ შეცვალა (მ.79 პ.3).

**კონსტიტუციაში აღარ არის ისიც, რა პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების უკანონოდ ხარჯვისა და ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევებში.**

იმისათვის, რომ პარლამენტარებს ხშირად არ შეეწუხებინათ მთავრობა ანგარიშის ჩაბარებით, მან საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში გადაიტანა, რითაც დაასუსტა ომიანობის დროს კავშირები მთავრობასა და პარლამენტს შორის გადაწყვეტილებების მიღება-დამტკიცებაში.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ძალ-ღონეს არ იშურებენ და სახსრებს არ ზოგავენ იმისათვის, რომ შეცვალონ მთავრობა და ხელისუფლებაში დაბრუნებაზე პრეტენზიებს უკვე საჯაროდ აცხადებენ, მაგრამ იმის გამო, რომ კარგად იციან ხალხის განწყობა მათ მიმართ, მკვეთრ მოქმედებებს ვერ ბედავენ. ამასთანავე, მათ ვერაფერი გაუგეს კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-6 პუნქტს, რომლის მიხედვითაც შეეძლოთ, დამოუკიდებლად წარედგინათ და პრეზიდენტისთვის შეეთავაზებინათ პრემიერმინისტრობის კანდიდატი.

და როგორ გაუხარდათ „ნაციონალებს“, პრეზიდენტსა და სხვებს, როდესაც ძირითად კანონში დაკარგული **81'**-ე მუხლი აღმოაჩინეს?! ეგონათ, ამ მუხლის მეშვეობით შეძლებდნენ დამოუკიდებლად, პარლამენტთან კონსულტაციების გარეშე, წარედგინათ საკანონმდებლო ორგანოში ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობა.



## როდესაც პრეზიდენტი არღვევს კონსტიტუციის მოთხოვნებს, სხვას რაღა მოეთხოვება?

და პრეზიდენტიც ადვილად წამოეგო ამ სატყუარას.

**2015 წლის 8 მაისს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა კანონმდებლებს წარუდგინა განახლებული მთავრობის შემადგენლობა, რომლითაც დაარღვია კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი: 79-ე (პ.5,7); მე-80 (პ.2,6,8);) და 81-ე (პ.2,3).**

***79**-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების თანახმად, მინისტრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერმინისტრი და არა სხვა ვინმე (თუნდაც პარლამენტი).

***მე-80** მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტმა კი არ უნდა შეარჩიოს პრემიერობის კანდიდატი, არამედ ვალდებულია, პარლამენტს წარუდგინოს არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი პრემიერმინისტრობის კანდიდატი. მე-80 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი — იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/5 მიერ წარდგენილი იქნება ორი კანდიდატი, პრეზიდენტი პრემიერმინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს იმ კანდიდატურას, რომელიც უფრო მეტმა პარლამენტარმა წარადგინა, ხოლო წარმდგენთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში — ერთ-ერთ წარდგენილ კანდიდატურას.

ზუსტად ეს პუნქტი ვერ გამოიყენეს „ნაციონალებმა“ და სხვებმა.

ასეთივე მოთხოვნები აქვს მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით **81-ე მუხლსაც.** ამ მუხლების მიხედვით მთავრობის ფორმირებაში და მინისტრების დანიშვნა-განთავისუფლებაში პრეზიდენტსა და პარლამენტს უფლებები საერთოდ ჩამოერთვათ და ეს პროცესი მხოლოდ პრემიერმინისტრის ნებაზეა დამოკიდებული.

პრეზიდენტმა ისიც კი ვერ შეამჩნია, რომ მისმა საპარლამენტო მდივანმა განახლებული მთავრობის წარდგენისას პრემიერმინისტრის შემდეგ დაასახელა არა ვიცეპრემიერები, არამედ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რითაც დაარღვია მთავრობის წევრების სუბორდინაცია და პროტოკოლის წესები.

**ნუთუ ასეთ არალოგიკურად შედგენილ დოკუმენტს შემოწმების გარეშე მოაწერა ხელი პრეზიდენტმა?! მან ხომ კარგად იცის, რომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი ისტორიის კუთვნილებაა?!**

და **თუ ქაღალდზე დაწერილ ტექსტს ერთი შეხედვით ვერ აფასებს, მაშინ ის, უკვე როგორც სამხედრო ძალების უმაღლე-**

## ობამა: ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ამერიკის გამარჯვებაა!

**ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მიესალმა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ქვეყნის ტერიტორიაზე ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ და ეს გადაწყვეტილება ამერიკის გამარჯვებად შეაფასა. ობამას განცხადებით, ამერიკის საზოგადოება „უფრო სრულყოფილი გახდა“.** „ეს გამარჯვებაა ამერიკისთვის. ეს გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ მილიონობით ამერიკელი თანასწორია და ჩვენ უფრო თავისუფალი გავხდით!“ — განაცხადა ობამამ. Twitter-სა და Facebook-ზე თეთრი სახლის ოფიციალურმა გვერდებმა პროფილის სურათები ლგბტ-ს დროშის ფერებში შეღებეს. ადრე ერთსქესიანთა ქორწინება ოფიციალურად აშშ-ის ორმოცამდე შტატში იყო დაშვებული.





**ცხრა წლის განმავლობაში ისე დაჩაგრა და დააშინა პარლამენტარები და მთავრობა (და არა მხოლოდ ისინი), ხმის ამოღებასაც ვერ უბედავდნენ, როდესაც მათ დაათრევდა ხან მღვიმეში, ხან ვენახში, ხან ზღვის სანაპიროზე და ხანაც საკლასო ოთახში. სწორედ მათი ხელშეწყობით შეისრულა აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა თითქმის ყველა ახირება (ერთის გარდა) და კონსტიტუციაც სამუდამო დიქტატორობისთვის მოირგო.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პარლამენტის უმცირესობამ მთლიანად და უმრავლესობის ნაწილმა არ იცოდნენ, რომ უკვე მეხუთე წელია, რაც მთავრობას აღარ აქვს უფლება, გადადგეს საკუთარი გადაწყვეტილებით (მ.79, პ.6) და იმისათვის, რომ პრემიერის პოსტზე ყოფნისას თბილისში არ მოესმინა შეძახილები «წადი, წადი!» ან «გადადექი, გადადექი!», სააკაშვილმა ამ მუხლიდან ამოაღებინა მე-6 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მთავრობის გადადგომას საკუთარი გადაწყვეტილებით, და იმისათვის, რომ პარლამენტს ხშირად არ მოეთხოვა პრემიერისათვის სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში (მ.79, პ.6), საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში გადაიტანა

**სი მთავარსარდალი, შეძლებს კი სწორად შეაფასოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ბრძოლის ველზე განლაგებული ჯარების შესახებ?**

ასეთი შეცდომები, ერთი შეხედვით, წვრილმანებია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც უმაღლესი ორგანოები ასეთ შეცდომებს უშვებენ. **ასეთივე შეცდომებითაა შემუშავებული ორგანული კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ და მთავრობის №38 დადგენილება კრიზისების მართვის საბჭოს შესახებ.**

კანონი ცდილობს, დაუბრუნოს პრეზიდენტს ძალაუფლება და წარმოაჩინოს ის ქვეყნის პირველ პირად, დადგენილება კი ზღუდავს პრეზიდენტის უფლებებს და კრიზისების მართვის საბჭოს მეშვეობით ცდილობს, შეითავსოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციები.

**კანონისა და დადგენილების ავტორებს დაავიწყდათ, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოც და კრიზისების მართვის საბჭოც წარმოადგენს სათათბირო ორგანოებს და, რომ მათ არ აქვთ გადაწყვეტილებების მიღების უფლება.**

არც პარლამენტში ჩანს დოკუმენტების კრიტიკულად შემფასებელი ადამიანები, მათ მიერ შემუშავებულ საბუთებს ხშირად კონკრეტულობა და აზრი აკლია.

პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და პარლამენტშიც კი არ იცოდნენ, რომ, ძირითადი კანონის თანახმად, პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება, თავისი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში მოეწვია რიგგარეშე სესია ან რიგგარეშე სხდომა (მ.61, პ.2).

**პარლამენტის უმცირესობამ მთლიანად და უმრავლესობის ნაწილმა არ იცოდნენ, რომ უკვე მეხუთე წელია, რაც მთავრობას აღარ აქვს უფლება, გადადგეს საკუთარი გადაწყვეტილებით (მ.79, პ.6) და იმისათვის, რომ პრემიერის პოსტზე ყოფნისას თბილისში არ მოესმინა შეძახილები „წადი, წადი!“ ან „გადადექი, გადადექი!“, სააკაშვილმა ამ მუხლიდან ამოაღებინა მე-6 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მთავრობის გადადგომას საკუთარი გადაწყვეტილებით და იმისათვის, რომ პარლამენტს ხშირად არ მოეთხოვა პრემიერისთვის სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში (მ.79, პ.6), საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში გადაიტანა.**

2012 წლის 21 ოქტომბერს ახალარჩეული პარლამენტის უხუცესმა წევრმა, სხდომის წამყვანმა, ბატონმა ივანე კილურაძემ კანონმდებლებს შეახსენა და სთხოვა: „ტექსტი დარიგებული გაქვთ, ცესკოს თავმჯდომარე წაგიკითხავთ ფიცის ტექსტს და მისი დამთავრების შემდეგ თქვენ უნდა წარმოთქვათ სიტყვა „ვფიცავ“.

და აი ეს „ფიცის ტექსტი“:

„მე, სრულიად საქართველოს წარმომადგენელი და მისდამი ანგარიშვალდებული, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ კეთილსინდისიერად აღვასრულებ პარლამენტის წევრის უფლებამოსილებებს, ვიქნები კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და მთლიანობის, ხალხის ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საქართველოს ძლევამოსილების დაცვის სამსახურში“.

პარლამენტარებმა კი შეასრულეს ბატონი ივანე კილურიძის თხოვნა და წარმოთქვეს სიტყვა „ვფიცავ“, მაგრამ დაარღვიეს ე.წ. ფიცის მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს სიტყვა „ვაცხადებ“-ის წარმოთქმას“. პარლამენტარებს, ალბათ, არ ჰქონდათ ე.წ. ფიცის ტექსტი წაკითხული და ამიტომაც წარმოთქვეს სიტყვა „ვფიცავ“.

ან რა საჭირო იყო ამ რიტუალის ჩატარება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამას კონსტიტუცია არ ითვალისწინებს და ამიტომ ტექსტიც დამტკიცებული არ იყო.

პრეზიდენტის ფიცთან შედარებით პარლამენტარების ეს ქმედება უკვე წინსვლაა, რადგან ნამდვილად იფიცებენ, პრეზიდენტისგან განსხვავებით, რომელიც, 71-ე მუხლის მოთხოვნის მიუხედავად, წარმოთქვამს სიტყვას „ვაცხადებ“.

და **როდესაც პრეზიდენტი არღვევს კონსტიტუციის მოთხოვნებს, სხვას რაღა მოეთხოვება?**

**ცნობისათვის:** ლიტვის კონსტიტუციის 53-ე მუხლი მოითხოვს, რომ „სეიმის წევრი, რომელიც არ დადებს ფიცს კანონის შესაბამისად ან ფიცს პირობითად დადებს, კარგავს სეიმის წევრის მანდატს“.

ჩვენთანაც რომ მოქმედებდეს ასეთი კანონი, ახლა, ალბათ, პრეზიდენტი არ გვეყოლებოდა.

უკვე მთავრობა რომ არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას (მ.79, პ.1) და რომ პრეზიდენტი აღარ არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, და საქართველოს წარმოადგენს მხოლოდ საგარეო ურთიერთობებში (მ.69, პ.3) ისევე, როგორც მთავრობის წევრები (მ.78, პ.3) და რომ პრეზიდენტს უფლება არ აქვს, მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას (მ.78, პ.4), მეტყველებს იმაზე, რომ პრეზიდენტი უკვე აღარ არის ქვეყნის პირველი პირი, მის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, ბრძანებები და განკარგულებები კი მხოლოდ მისი ადმინისტრაციისათვის იქნება სავალდებულოდ შესასრულებელი (მ.77), დანარჩენი მოსახლეობისა და დიპლომატებისათვის ერთ ყურში შესაშვები, მეორედან კი — გამოსაშვები.

აქედან გამომდინარე, ფრანსუა შამპინიონს ნამდვილად გაუჩნდებოდა კითხვა — **ძირითადი კანონის რომელი მუხლების საფუძველზე მიაწებეს პრეზიდენტს „სახელმწიფოს მეთაურისა“ და „ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტის“ ტიტულები?**

სახელმწიფო საკანონმდებლო კომისიისა და პარლამენტის წევრებს რომ შეესწავლათ კონსტიტუციები იმ ქვეყნებისა, რომლებშიც პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ, ადვილად მიხვდებოდნენ, თუ როგორ დაჩაგრეს მათ საყოველთაო კენჭისყრით არჩეული საქართველოს პრეზიდენტი და რა არაადეკვატურია მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა და ვალდებულებები რეალურად დარჩენილ უფლებამოსილებებთან შედარებით.

ფრანსუა შამპინიონი კი, ბოლოს და ბოლოს, დაადგენდა, რომ ეს დოკუმენტი არა ქვეყანაზე, არამედ კონკრეტულ პიროვნებაზე იყო მორგებული და მიზნად ისახავდა უვადო ერთპიროვნულ მმართველობის შემოღებას და თუ ის გაითვალისწინებდა მოსახლეობის განწყობას ამ პიროვნებისადმი, მიხვდებოდა რომ ეს კონსტიტუცია „ერთჯერადი მოხმარების დოკუმენტად“ იქცეოდა.

და ასეთი დაუბალანსებელი კონსტიტუციის შემუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვით ვენეციის კომისიის წევრებს და გერმანელ ექსპერტებს, რომლებსაც კითხვაც კი არ გასჩენიათ, რატომ არ დებენ ფიცს ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი, მაშინ როდესაც მათი პრეზიდენტები, მთავრობის ხელმძღვანელები და მინისტრებიც კი წარმოთქვამენ სიტყვას „ვფიცავ!“

**აშშ-ში, ალბათ კარგად შეისწავლეს ჩვენი ქვეყნის კანონები, 2004 წლიდან ქვეყანაში განვითარებული მოვლენები და დაადგინეს, რომ 2012 წლისათვის „დემოკრატიის შუქურა“ უკვე კარგა ხნის ჩამქრალი იყო, და იმისათვის, რომ მოვლენები არ განვითარებულიყო „მოდელირებული ქრონიკის“ სცენარის მიხედვით, ხელისუფლებას ურჩიეს, „ძალაუფლება გადაებარებინათ მშვიდობიანი გზით“, რასაც ვერ იტყვი ევროპის სახალხო პარტიის მიმართ.**

ვინაიდან კანონმდებლებს, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტებს დაავიწყდათ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ არსებობა, მინდა, მათ შევახსენო ზოგიერთი ქართული სიტყვის მნიშვნელობა:

* **უმაღლესი** — ყველაზე მაღალი, უფრო მაღალი, ყველაზე უფროსი, ყველაზე დიდი, უდიდესი;
* **პირველი** — რიგითი რიცხვითი სახელი ერთისა, ყველაზე წინ მყოფი, არსებული, ყველაზე კარგი, საუკეთესო;
* **პასუხისმგებლობა** — მოვალეობა იმისა, რომ პასუხს აგებდეს თავის მოქმედებაზე, საქციელზე;
* **ანგარიშვალდებული** — ვინც ვალდებულია, წარადგინოს მისთვის მიცემული დანახარჯების ანგარიში;
* **ანგარიში** — მოხსენება, ცნობა თავისი მუშაობის საქმიანობის შესახებ;
* **სახელმწიფო** — პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ხელისუფლებას;
* **გარანტია** — საწინდარი, თავდებობა, პასუხისმგებლობა, უზრუნველყოფა, გარანტიას აძლევს — პასუხისმგებლობას იღებს;
* **ფიცი** — მტკიცე პირობა, ერთგულების აღთქმა, ფიცს მისცემს — ფიცით შეჰპირდება;
* **პირობა** — შეთანხმება, დაპირება, მოთხოვნა;
* **ვფიცავ** — ფიცს ამბობს, ფიცით ირწმუნება რასმე;
* **განცხადება** — წერილობითი ან ზეპირი უწყება; ცნობები რისამე, ვისამე შესახებ; რაიმე წინადადების ან თხოვნის შემცველი ოფიციალური ქაღალდი;
* **აღმასრულებელი** — ვინც ასრულებს; პრაქტიკულად განახორციელებს მართვა-გამგეობას;
* **მეთაური** — ხელმძღვანელი, წინამძღოლი, უფროსი;
* **სათათბირო** — რასაც აქვს რაიმე საკითხების, საქმის განხილვის უფლება და არა აქვს მათი გადაწყვეტის უფლება.
* **მეთაური** — სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით — თანამდებობის პირი შეიარაღებულ ძალებში, რომელზეც დაკისრებულია ერთპიროვნული ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე, ჯარების სრულ საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნაზე და დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულებაზე.

სტატიის მომზადებაში დახმარებისათვის მადლობას ვუხდი **ნავთლის ქოჩულიას** და **არჩილ ნაცარიშვილს!**

**პატივისცემით,**
**ალექსანდრე ტოლსტოი**

## ასეთ არალოგიკურად შედგენილ დოკუმენტს პრეზიდენტმა ნუთუ შემოწმების გარეშე მოაწერა ხელი? მან ხომ კარგად იცის, რომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი ისტორიის კუთვნილებაა?! და თუ ქაღალდზე დაწერილ ტექსტს ერთი შეხედვით ვერ აფასებს, მაშინ ის, უკვე როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, შეძლებს კი სწორად შეაფასოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ბრძოლის ველზე განლაგებული ჯარების შესახებ?

## დაკავებულის სახლის ჩხრეკისას 32 კილოგრამი ტროტილი იპოვეს

**შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს მუხაესტატეს განყოფილების თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული თამაზ ჯ. საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. მას 32 კგ ტროტილი უპოვეს.** სამართალდამცველებმა ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის სათავსოს ჩხრეკისას, 32 კგ ტროტილი, 18 დეტონატორი და 30 მეტრის სიგრძის ბიკფორდის ზონარი იპოვეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ამბობენ, ნაყინი ჩინელებმა დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ გამოიგონეს, როდესაც თოვლში ბრინჯისა და რძის ნაზავის დამატება დაიწყეს.**



# ზოგი რამ ნაყინის შესახებ

**ეს ის ტკბილი საკვები პროდუქტია, რომელსაც სიამოვნებით მიირთმევს ყველა, განსაკუთრებით — პატარები. ნაყინს თურმე ყველაზე დიდი რაოდენობით 2-12 წლის ბავშვები და 45 წელს გადაცილებული უფროსები ეტანებიან. 1850 წელს ამერიკის მე-12 პრეზიდენტი იმის გამო გარდაიცვალა, რომ ძალიან ბევრი ნაყინი ჭამა. ამის შემდეგ პირველად ალაპარაკდნენ ნაყინის მავნებლობაზე.**



ნაყინი არის გამაგრილებელი სადესერტო საკვები პროდუქტი, რომელსაც აქვს სასიამოვნო გემო, შეიცავს ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებსა და ვიტამინებს. ნაყინის დასამზადებელი ძირითადი ნედლეულია რძის პროდუქტები (რძე, ნაღები, კარაქი), მურაბა, შოკოლადი, ნიგოზი, ნუში, კვერცხი, სტაბილიზატორები (აგარი, ჟელატინი), შაქარი, ხილი (ან კენკრა), არომატული ნივთიერებები და სხვ. განსაზღვრული რეცეპტით დამზადებულ ნარევს პასტერიზაციისა და ჰომოგენიზაციის შემდეგ ყინავენ და თქვეფენ. ნაყინის ტემპერატურაა მინუს 4-5 °C-ია. „რბილ“ ნაყინს დაფასოებისა და ფორმირების შემდეგ კვლავ ყინავენ მინუს 10-20 °C-მდე.

ნაყინზე ბევრი ლეგენდა არსებობს. არავინ იცის, ვინ მოიგონა, თუმცა ცნობილია, რომ ეს მრავალი საუკუნის წინათ მოხდა.

ისტორიკოსები თვლიან, რომ ნაყინი 5000 წელზე მეტია, არსებობს. იგი გამოიგონეს იქ, სადაც განსაკუთრებულად მაღალი ტემპერატურის რაიონებს ესაზღვრება დაბალი ტემპერატურის რაიონები.

**როგორც ამბობენ, ნაყინი ჩინელებმა დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ გამოიგონეს, როდესაც თოვლში ბრინჯისა და რძის ნაზავის დამატება დაიწყეს.**

3000 წლის წინათ ჩინეთში სუფრას ამშვენებდა დესერტები, რომლებიც დღევანდელ ნაყინს მოგვაგონებენ. ყინულსა და თოვლს ურევდნენ, შემდეგ კი ბროწეულის, ფორთოხლისა და ლიმნის ნაჭრებს ამატებდნენ.

ნაყინის რეცეპტები და შენახვის პირობები პირველად XVI საუკუნეში „ში-კინგის“ წიგნში გაამხილეს. ისრაელის მეფის — სოლომონის წერილებში აღწერილია გაციებული წვენების შენახვა მოსავლის აღებისას. გაციებულ ღვინოს, წვენებსა და რძის პროდუქტებს იყენებდნენ ძველი ბერძნებიც. ჰიპოკრატე ხალხს ურჩევდა, მიეღოთ ნაყინი ავადობისას. ალექსანდრე მაკედონელს ნაყინით გაუმასპინძლდნენ ინდოეთსა და სპარსეთში ლაშქრობისას. მაშინ გამოიგონეს კენკრის გაყინვა თოვლში. მონებს მთებში აგზავნიდნენ, რათა თოვლი მოეძებნათ. მაშინვე დაიწყეს წყალში ხილის, ღვინის, თაფლის და რძის დამატება.

**მეორე ვერსიის მიხედვით, პირველი ნაყინი რომის იმპერატორ ნერონის პერიოდში დამზადდა. იმ დროს ნაყინი ხილისა და ყინულისგან კეთდებოდა. იმპერატორმა უბრძანა თავის მსახურებს, მთიდან ყინული ჩამოეტანათ და მისთვის ხილი დაემატებინათ.**

ამის შემდეგ შარბათი და რძე ნამდვილად იყო არისტოკრატების მენიუში. სწორედ აქედან გახდა ნაყინი ინტრიგების წყარო. მზარეულები საიდუმლოდ ინახავდნენ ნაყინის მომზადების რეცეპტს.



**პირველი ნაყინი რომის იმპერატორ ნერონის პერიოდში დამზადდა. იმ დროს ნაყინი ხილისა და ყინულისგან კეთდებოდა. იმპერატორმა უბრძანა თავის მსახურებს, მთიდან ყინული ჩამოეტანათ და მისთვის ხილი დაემატებინათ**

ანტიკურ რომში თოვლს იყენებდნენ გამაგრილებელი სასმელების დასამზადებლად. აპიციმ, ცნობილმა რომაელმა გურმანმა, თავის წიგნში აღწერა გამაგრილებელი სასმელების დამზადება. ნერონი ჭამის შემდეგ ყოველთვის ცივ დესერტს მირთმევდა, მთის ყინულს უმატებდნენ ხილს. მის დასამზადებლად იყენებდნენ ალპებიდან ჩამოტანილ ყინულს. სპეციალურად შენდებოდა ყინულის სარდაფები.

სპარსი მოგზაური ნასრიხოზრაუმი 1040 წელს წერდა, რომ XVIII საუკუნის დასასრულს კაიროს სულთნის სუფრაზე სირიის მთიანი რეგიონებიდან მოჰქონდათ თოვლი ცივი სასმელებისა და ნაყინის დასამზადებლად.

კიდევ ერთი ვერსიის მიხედვით, ნაყინი XVII საუკუნეში ფრანგებმა შექმნეს.

ამის შემდეგ ნაყინის რეცეპტი განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა. რუსეთში უძველესი დროიდან მიირთმევდნენ გაყინული რძის „ბურბუშელას“. ციმბირის საფლებში დღესაც ყინავენ რძეს. დროთა განმავლობაში იტალიასა და საფრანგეთშიც მოდაში შემოვიდა ყინულისა და რძის შარბათის დამზადება. თვით ცნობილი გურმანი ლუდოვიკო XIV-ც კი არ ამბობდა უარს ამ ნუგბარზე.

არსებობს ვერსია, რომ სამხრეთ ევროპაში ნაყინი პირველად მარკო პოლომ შეიტანა XIV საუკუნეში. ოდესღაც მოგზაურობის დროს ჩინეთში მარკო პოლომ ნაყინი გასინჯა, მისი დამზადების ხელოვნებასაც დაეუფლა და თავის სამოგზაურო ჩანაწერებში აღწერა.

იტალიაში დაბრუნებულმა მოგზაურმა რამდენიმე ახალი რეცეპტი ჩაიტანა. ამის შემდეგ იტალიელმა მზარეულებმა ორგვარი შაქარყინულის მომზადება დაიწყეს — რძითა და წყლით.

ის მაშინვე პოპულარული გახდა და არისტოკრატები ხშირად მიირთმევდნენ.

პირველად ნაყინის დამზადება ევროპაში იტალიელმა მზარეულებმა დაიწყეს. მათ ნაყინს გაყინული რგოლების ფორმა ჰქონდა და რეცეპტი კი — თანამედროვე რეცეპტთან მიახლოებული.

ეკატერინე მედიჩის საფრანგეთში გათხოვებას ნაყინის ინდუსტრიის იტალიიდან პარიზის სამეფო კარზე გადანაცვლება მოჰყვა. ახალგაზრდა დედოფალმა მზითვად გამოცდილი მზარეული წაიყვანა, რომლის ხელოვნებამაც მეფე ისე მოხიბლა, რომ ნაყინის რეცეპტი სახელმწიფო საიდუმლოდ გამოაცხადა, ხოლო ცოლის მზარეული — სამეფოს მთავარ მენაყინედ და სიცოცხლის ბოლომდე პენსია დაუნიშნა.

**იმდროინდელ საფრანგეთში მეფის ხაზინის გაქურდვისთვის უფრო მსუბუქი სასჯელი იყო დაწესებული, ვიდრე ნაყინის რეცეპტის გამოაშკარავებისთვის.**

წიგნებში სხვა ვერსიასაც ამოიკითხავთ: ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ჩარლზ I-მა დაახლოებულ პირთათვის დიდებული ნადიმი გადაიხადა. სტუმრებს მრავალი კერძი და დესერტი მიართვეს, მაგრამ შეფმზარეულს რთული დავალება ჰქონდა — მას რაიმე ახალი და უჩვეულო უნდა დაემზადებინა, რათა ყველა გაეცვიფრებინა. ვინ იცის, როგორ დაისჯებოდა, თუკი დავალებას თავს ვერ გაართმევდა...

დიდი ხნის ფიქრისა და მზადების შემდეგ ფრანგმა მზარეულმა ახალი ცივი კერძი შექმნა. ამბობენ, თოვლს ჰგავდაო, მაგრამ უფრო ტკბილი იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა დესერტი და რაღაცით კრემსაც მოგაგონებდათ.



მეფეც და სტუმრებიც აღტაცებულნი იყვნენ. მეფემ მზარეული თავისთან იხმო და სთხოვა, ახალი კერძის რეცეპტი არავისთვის გაემხილა. მონარქს სურდა, ამ დელიკატესს მომავალში მხოლოდ სამეფო სუფრა დაემშვენებინა. სამაგიეროდ მზარეულს ყოველწლიურად გასამრჯელოდ 500 ფუნტი შესთავაზა. მოგვიანებით, საბრალო ხელმწიფეს შეთქმულება მოუწყვეს და 1649 წელს თავიც წააცალეს. ამ დროისთვის გაყინული კრემის რეცეპტი საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა. მზარეულმა, რომელსაც დე მარკო ერქვა, პირობა არ შეასრულა.

**ევროპაში ნაყინი პირველად სიცილიაზე დაამზადეს.**

პირველი იმგვარი ნაყინი, როგორიც ჩვენთვისაა ცნობილი, რძის, შაქრის, შოკოლადის, ვანილისა და სხვა პროდუქტების დანამატებით, საფრანგეთის კაფე „თორტონიში“ დამზადდა.

თანამედროვე დანადგარების გამოგონებამდე ნაყინს მხოლოდ მაღალი ფენის წარმომადგენლები მიირთმევდნენ განსაკუთრებულ წვეულებებზე. ნაყინის დამზადება იმ დროს ძალიან რთული იყო. დღეისათვის ნაყინს ამზადებენ სპეციალურ ფრიზერებში (საყინულეებში), წარმადობა 1-15 კგ/სთ-მდე მერყეობს. უფრო დიდი რაოდენობით ნაყინის დამზადება შესაძლებელია ყინულის კომბინატებში.

1649 წელს ფრანგმა მზარეულმა ჟერარ ტირსენმა ორიგინალური რეცეპტი შექმნა. ის რძისგან და ნაღებისგან ამზადებდა გაყინულ ვანილის კრემს. ამ ახალ პროდუქტს დაერქვა „ნეაპოლიტანური ნაყინი“.

1686 წელს ფრანჩესკო პროკოფიო დე კოლტელიმ პარიზში პირველი კაფე-სანაყინე გახსნა.

1774 წელს საკვები პროდქტების მომმარაგებელმა, ლონდონელმა ფილიპ ლენზიმ პირველად გაუშვა სხვადასხვა ტკბილეულის და ასევე ნაყინის რეკლამა ნიუ იორკის გაზეთში.

1776 წელს ამერიკაში პირველი სანაყინე გაიხსნა. მას მერე, რაც გაყინული დესერტი მოხვდა ამერიკაში, ცნობილმა ადამიანებმა მაშინვე შეიყვარეს ის. ჯორჯ ვაშინგტონი და ტომას ჯეფერსონი სტუმრებს ნაყინით უმასპინძლდებოდნენ. 1813 წელს აშშ-ს პრეზიდენტის — ჯეიმს მედისონის მეუღლემ — დოლი მედისონმა თავისი ქმრის ინაუგურაციაზე სტუმრებს დესერტად ნაყინი მიართვა.

1799 წელს ჰამბურგში პირველი სანაყინე გაიხსნა, ეს კაფე დღესაც არსებობს.

**1843 წელს ნენსი ჯონსენმა გამოიგონა მოწყობილობა, რომლითაც ამზადებდა ნაყინს. მან დააპატენტა ეს გამოგონება, მაგრამ ფული არ ეყო ახალი ტექნიკის შესაძენად.**

ეს გამოგონება ნაყინის დამზადებას სერიო- ▶

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე ძვირ, 25 ათას ამერიკულ დოლარად შეფასებულ ნაყინ FROZEN HAUTE CHOCOLATE-ს ნიუ იორკის ერთ-ერთ კაფე SERENDIPITY 3-ში ამზადებენ. ასეთი ფასი შოკოლადის სიროფმოსხმულ და ათქვეფილი ნაღებით გაფორმებულ დესერტს ადევს. კონდიტრებმა ეს კულინარიული შედევრი იუველირების დახმარებით შექმნეს.

◀ ზულად აუმჯობესებდა და აადვილებდა. თუმცა თავად ნენსი ჯონსონი თავისი მიგნების ორიგინალობას ვერ მიხვდა და ვერც ის მოიაზრა, რომ გამოგონებაზე პატენტი აერო, ამიტომაც ამავე ტიპის აგრეგატზე პატენტი მხოლოდ 1848 წლის 30 მაისს გაიცა ვინმე იონგის სახელზე, რომელმაც სინდისს ვერ უღალატა და მას „ჯონსონის ფრიზერის პატენტი“ უწოდა. ამგვარად მოაღწია ჩვენამდე ნენსი ჯონსონის სახელმა.

**ნაყინის სერიული წარმოება იაკობ ფუსელმა 1851 წელს ბალტიმორში, ჩრდილოეთ ამერიკაში, დაიწყო. დღეს იგი ამერიკული ნაყინის ინდუსტრიის მამადაა აღიარებული. სხვათა შორის ice cream (ყინულის კრემი) ამ ტკბილეულს სწორედ ჩრდილოეთ ამერიკის მცხოვრებლებმა უწოდეს.** დაახლოებით 1926 წლისთვის კლარენს ვოგტმა საბოლოოდ დახვეწა უწყვეტი მოქმედების პირველი ფრიზერი. ცოტა მოგვიანებით დანადგარის წარმოება დაიწყეს, რომლის საშუალებითაც ნაყინის მასობრივი წარმოება დაიწყო.

თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნაყინი მანამდე არ იყიდებოდა. **პირველი, ვინც ნაყინის გაყიდვა დაიწყო, ტორონტოელი კონდიტერი თომას ვები იყო 1850 წელს.** ვილიამ ნელსონმა 1893 წელს ნაყინის პირველი კომერციული პარტია გამოუშვა ისევ ტორონტოში, გლედსთოუნ ავენიუზე.

**ვაფლის კონუსების გამოგონებას მიაწერენ ისევ იტალიელს — ემიგრანტ იტალო მარკონის, რომელმაც ვაფლის პირველი კონუსი ნიუიორკელების სამსჯავროზე 1896 წელს გამოიტანა და 1903 წელს დააპატენტა კიდეც.**

თუმცა ამ ხრაშუნა ნუგბარის ნაყინთან დაკავშირების მეორე ვერსიაც არსებობს.

თურმე ერთი სირიელი ემიგრანტი სენტ-ლუისში „მსოფლიო ბაზრობაზე“ ვაფლებს ყიდდა. იქვე, ჯიხურში ნაყინის ჭიქები გაუთავდათ. გონებამახვილმა სირიელმა ახალგამომცხვარი ვაფლები სასწრაფოდ დაახვია და მეზობელს შექმნილი უხერხული მდგომარეობიდან მარტივი გამოსავალი შესთავაზა.

**1919 წელს ამერიკელმა კრისტიან ნელსონმა ჩამოასხა შოკოლადით მოჭიქული და ჯოხზე წამოცმული ნაყინის ახალი სახეობა, რომელსაც „ესკიმოსის ღვეზელი“ (Eskimo Pie) შეარქვეს, რადგან ნელსონს თავის პროდუქცია ქალაქიდან ქალაქში ფორნით დაჰქონდა და ესკიმოსების შესახებ ფილმის ჩვენების დროს ყიდდა.**

მეორე ლეგენდის თანახმად, 11 წლის ფრენკ ეპერსონს ზამთრის ერთ ღამეს ლიმონათიანი ჭიქა შემთხვევით გარეთ დარჩა და დილით კოვზზე წამოცმული გაყინული ცილინდრი დახვდა. ამ ისტორიაში ბევრი რამ გაუგებარია: ჯერ ერთი, იმ დროს რომელი ბავშვი დატოვებდა დაულეველ ლიმონათს, მეორე — ვის რად უნდა გამაგრილებელი სასმელი ზამთარში და ისიც ყინვაში? მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ზუსტად 20 წლის შემდეგ ეპერსონმა ლიმონათის ესკიმოს მასობრივი წარმოება დაიწყო. თავის ქმნილებას ჯერ „ეპსიკილი“ დაარქვა (საკუთარი გვარი და icicle – ლოლუა გააერთიანა), მაგრამ გაყინულ ხილის წვენს თავიდან ეპერსონის შვილებიც არ ეკარებოდნენ და ნაყინს „პაპსიკლს“ ანუ მამის ლოლუას ეძახდნენ. სხვათა შორის, მოგვიანებით სწორედ ამ სახელმა იცვალა სახე და ასეთ ნაყინს დღესაც „პოპსიკლი“ (popsicle) ჰქვია.

XX საუკუნის დასაწყისში ვენაში კულინარიული წიგნიც კი გამოიცა, რომელშიც ნაყინის დამზადების სხვადასხვა მეთოდი იყო აღწერილი: ნაყინი ათქვეფილი ნაღებითა და დარიჩინით, ვანილითა და „მარასკანით“ (ალუბლის ლიქიორი), ლიმონით, ფორთოხლით, ღვინით, მარწყვითა და ჟოლოთი. სხვათა შორის, ეს კრებული სერიოზულ სამეცნიერო ნაშრომად ითვლებოდა და მასში წყლის გაყინვის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ახსნას რეცეფტზე უფრო დიდი ადგილი ეთმობოდა. მუყაოს ჭიქაში ჩასხმული ნაყინი და პლომბირი ნაპოლეონ III-ს მეფობისას (1852-1870) გამოიგონეს. შოკოლადის ნაყინისა და ყავის გლიასეს სამშობლოდ კი ავსტრიის დედაქალაქს თვლიან...

როგორც რუსები ამტკიცებენ, ნაყინის საკუთარი რეცეპტი ძველ რუსეთშიც ჰქონიათ. კიევის რუსეთში დესერტად გაყინული და წვრილად გახეხილი დაშაქრული რძე მოჰქონდათ. ევროპისთვის ნაყინის დამზადების ამგვარი წესი უცნობი იყო. შაქარყინულის რძისა და ნაღებისგან დამზადება ფრანგებმა გაცილებით გვიან მოისაზრეს. ნაღების ნაყინი მათ ნაპოლეონ მესამის დროს ქალაქ პლომბიერ ლე ბეში შექმნეს. სწორედ ამ ქალაქის სახელი ეწოდა შემდგომში „პლომბირს“, ნაყინის ერთ-ერთ საუკეთესო სახეობას. ნაყინის სახეობები თანდათან გაიზარდა, გაუმჯობესდა და გამრავლფეროვნდა. თითოეულ ერს, ვინც ნაყინი იგემა და შეიყვარა, საკუთარი კორექტივები შეჰქონდა. ავსტრიელებმა ნაყინს შოკოლადი დაუმატეს, იტალიელებმა – ხილი, თხილი, ლიქიორი, ორცხობილა, ყვავილებიც კი და ორიგინალური ასორტი შექმნეს.

მაგალითად, იაპონიაში გამოფენაზე, სულ რაღაც, 300 იენად (2,2 დოლარად) შეიძენთ ნაყინის მომცრო ჭიქას, რომელსაც საქონლის ენის, ქათმის ფრთის, მწარე მდოგვის, კიბორჩხალის ან უბრალოდ მარილის გემო აქვს. გამოფენას მრავალი დამთვარიელებელი ჰყავს. ცნობისმოყვარეობის გამო, როგორც წესი, სპეციალური მაცივრების წინ მსურველთა რიგიც დგება.

2003 წლიდან დნეპროპეტროვსკში წარმატებით საღდება „პლომბირი ყაყაჩოთი და კანაფით“. ამ დასახელების ნაყინი პოპულარულია უკრაინაში. შესაფუთ ქაღალდზე ლოგოტიპია – გადახაზული შპრიცი და წარწერა „Стор Наркотик“. უკრაინელთა თვალსაზრისით, ეს ერთგვარი წვლილია ნარკომანიასთან ბრძოლის საქმეში. იმასაც ირწმუნებიან, რომ სინამდვილეში ნაყინი არც ყაყაჩოს შეიცავს, არც კანაფს.

ნაყინის გამომგონებლების ფანტაზიას საზღვარი მართლაც არ აქვს. რამდენიმე წლის წინათ ჩილეში ერთმა მენაყინემ თავისი პროდუქციის გასაღების შესანიშნავ გზას მიაკვლია და, როგორც თვითონ ამბობდა, მომხმარებლებისთვის განწყობის გაუმჯობესების მიზნით, ნაყინს კოკაინის პასტა დაუმატა. ნარკოტიკის დოზა ზუსტად იმდენი იყო, პროდუქტზე დამოკიდებულების ჩამოყალიბებას რომ სჭირდებოდა და კლიენტებიც ისევ და ისევ ბრუნდებოდნენ საყვარელი დესერტის შესაძენად. თუმცა, გონებამახვილ მეწარმეს „კეთილი განზრახვა“ არ დაუფასეს და ციხეში უკრეს თავი.



ნაყინის ყველაზე მეტი – 709 სახეობა ვენესუელურ კაფესანაყინე Coromoto-შია წარმოდგენილი. იგი 1980 წელს გაიხსნა და სტუმრებს ნაყინის ისეთ ორიგინალურ სახეობებს სთავაზობს, როგორებიცაა: ვაფლის კონუსი თინუსით, ხახვით, ბეკონით, ლუდით, სტაფილოთი, პამიდვრით, კალმახით, კრევეტებითა და კალმარებით, სპაგეტით, ნივრით, ვარდის ფურცლებით, ჩილით და ა.შ.

**ყველაზე ძვირ, 25 ათას ამერიკულ დოლარად შეფასებულ ნაყინ Frozen Haute Chocolate-ს ნიუ იორკის ერთ-ერთ კაფე Serendipity 3-ში ამზადებენ. ასეთი ფასი შოკოლადის სიროფმოსხმულ და ათქვეფილი ნაღებით გაფორმებულ დესერტს ადევს. კონდიტრებმა ეს კულინარიული შედევრი იუველირების დახმარებით შექმნეს.** მის დასამზადებლად კაკაოს 28 სახეობას (მათგან 14 იშვიათი და ძვირფასია) და 0,2 უნცია (5,7 გრ) საჭმელ ოქროს იყენებენ. თავად ნაყინი კი ლანგარზე მოთავსებულ, ფეხზე ოქროს რგოლწამოცმულ, მოოქროვილ ფუჟერში დევს. დესერტთან ერთად ნაყინივით ძვირადღირებული შოკოლადის ტრიუფელი და თეთრი და ყავისფერი ბრილიანტებით მოოჭვილი ოქროს კოვზი მოაქვთ. კოვზი კერძის შემკვეთს რჩება სამახსოვროდ.

იმავე რესტორანში უფრო მოკრძალებული – 1000-დოლარიანი ნაყინიც აქვთ. Grand Opulence Sundae-ს გამორჩეული გემო აქვს და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. ტაიტისა და მადაგასკარზე დაკრეფილი ვანილისგან დამზადებული უმაღლესი ხარისხის ნაყინის ხუთ ბურთულას იღებენ, ბროლის ჭიქაში ათავსებენ, მერე საჭმელი ოქროს ფირფიტით ფარავენ და თავზე ერთ-ერთი უძვირესი შოკოლადის — Amedei Porcelena-ს ნაფხვენებს აყრიან და ვენესუელური კაკაოსგან დამზადებული უიშვიათეს შოკოლად Chuao-ს ნატეხებით რთავენ. შემდეგ ნაყინს პარიზული ხილის ცუკატებით, მოოქროვილი დრაჟეებით, ტრიუფელებითა და მარციპანის ალუბლებით აფორმებენ და თავზე უნიკალური სადესერტო ხიზილალა Grand Passion-ის გულსართიან მოოქროვილ შაქრის ყვავილს ადებენ. რაღა გასაკვირია, რომ ამ ნაყინსაც თვრამეტკარატიანი ოქროს კოვზით მიირთმევენ.

ნაყინის სახეობებს არა მხოლოდ გემოს, არამედ შემადგენლობის მიხედვითაც ასხვავებენ და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მხოლოდ მათთან არსებული, განსაკუთრებული სახეობებიც კი აქვთ. მაგალითად, მალაიზიასა და სინგაპურში სახელგანთქმულ Ais kacang-ს ლობიოს მარცვლებისგან ამზადებდნენ. ხილთან ერთად ტკბილ სიმინდს, ათასნაირი ბალახ-ბულახის ჟელესა და ალოე ვერას ურევენ, თავზე აგარ-აგარის ნაკუწებს აყრიან და დურიანის სიროფსა და შესქელებულ რძეს ასხამენ.

Bakdash-ი სირიული დელიკატესია და მისი გასინჯვა მხოლოდ დამასკოში შეიძლება. მას ნაღების, შაქრის, ვარდის წყლისა და ბუსტუღისგან კლიენტების თვალწინ ამზადებენ და რულეტივით ახვევენ.

თურქებს სალპესა და მასტიკისგან დამზადებული Dondurma აქვთ.

Halo-halo ძალიან პოპულარული ფილიპინური ნაყინია, რომელიც ერთმანეთში არეული დანაყილი ყინულისა და შესქელებული რძისგან მზადდება და არომატისთვის ათასგვარ მოხარშულ მარცვლეულსა და ხილს ურევენ (პალმის გული, ბარდა, ლობიო, პურის ხის ნაყოფი, საგო, ტაპიოკა და ა.შ.).

Kulfi პაკისტანურ-ინდური დესერტია და გემოთი და კონსისტენციით ჩვენებური ნაყინისგან საკმაოდ განსხვავდება.

Granita გაყინული ხილის წვენია.

Mellorine ხილისა და ბოსტნეულის რძისგან მზადდება.

Parevine კაშერული ნაყინია და იგი 1969 წელს ნიუ იორკში გამოიგონეს.

Sorbet-ი ნაყინის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა და ხილის პიურეს, შაქრის პუდრას და ხშირად ალკოჰოლსაც (შუშხუნა ღვინოს) შეიცავს.

XX საუკუნის ბოლოს ნაყინის კიდევ ორი ახალი „ჯიში“ შექმნეს: ჩამოსასხმელი, რომელზეც ბრიტანელ მეცნიერთა ჯგუფი (მათ შემადგენლობაში ყოფილი პრემიერმინისტრი მარგარეტ ტეტჩერიც შედიოდა) მუშაობდა, და ჩვეულებრივზე მეტად შესქელებული ფაქტურისა და უმაღლესი ხარისხის ნაყინი, რომელსაც, უბრალოდ, „სქელ ნაყინს“ ეძახიან (Ben and Jerrys, Beechdean, Haagen-Dazs).

სტატისტიკის თანახმად, ზაფხულობით ყოველ სამ წამში თითო ნაყინი იყიდება, რაც, ამ დესერტის პოპულარულობას თუ გავითვალისწინებთ, სულაც არ არის გასაკვირი.

მსოფლიოში დღეს ყველაზე მეტ ნაყინს ამერიკელები მიირთმევენ, ამიტომაც აშშ გაცილებით მეტ ნაყინს აწარმოებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა — დაახლოებით 900 000 000 გალონს. ყველაზე პოპულარული ვანილის ნაყინია. 1984 წელს ამერიკის პრეზიდენტმა „ივლისი“ ნაყინის ნაციონალურ თვედაც კი გამოაცხადა.

ყველზე დიდი ნაყინი 1998 წელს ხილითა და ნიგვზით დაამზადეს ალბერტაში (კანადაში) და ის დაახლოებით 24 ტონას იწონიდა.

**2001 წელს გერმანელმა მეცნიერებმა გამოავლინეს ნაყინის სასარგებლო თვისებები. მათი თქმით, ის ხელს უწყობს ორგანიზმში სეროტონინის წარმოშობას, რომელიც გვეხმარება, გავუმკლავდეთ სტრესსა და დეპრესიას.** ხსნის დაძაბულობასა და დაღლილობას. გარდა ამისა, ნაღები და რძე, რომლებიც ნაყინის შემადგენლობაში შედის, ბუნებრივი ტრანკვილიზატორებია, რომლებიც გვეხმარება უძილობის დაძლევაში.

ნასას განცხადებით, ნაყინი არ არის იმ კერძების ათეულში, რომელიც გაგზავნილია კოსმოსში.

2001 წელს გერმანელმა მეცნიერებმა გამოავლინეს ნაყინის სასარგებლო თვისებები. მათი თქმით, ის ხელს უწყობს ორგანიზმში სეროტონინის წარმოშობას, რომელიც გვეხმარება, გავუმკლავდეთ სტრესსა და დეპრესიას



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**პლანეტის მოსახლეობის დნმ 99,9%-ით ერთნაირია, მხოლოდ 0,1% არის უნიკალური და სწორედ ის განაპირობებს ჩვენს ინდივიდუალიზმს.**



# ექიმმა თავზარი დასცა მსოფლიოს

**ჯერ კიდევ უძველეს დროში არასასურველ ბავშვებს დაუნდობელი მეთოდებით იშორებდნენ თავიდან; განსაკუთრებით — გოგონებს, რადგან სუსტი სქესის ახალშობილების არაერთი ეთნოსი „ზედმეტ ტვირთად“ მიიჩნევდა. ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, თუმცა, თუ ადრე ახალშობილებს გალავნიდან ისროდნენ, ცივილიზებულმა სამყარომ მათ მოსაშორებლად აბორტი მოიფიქრა.**

11-12 კვირის ნაყოფს უკვე ტკივილის შეგრძნებაც აქვს, ხმაურს გაურბის და დედის სხეულში მოხერხებული პოზის დაკავებას ცდილობს, მალე დაძინებასა და გაღვიძებასაც ისწავლის დედასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ციდაა, მის სხეულში უკვე ყველაფერი ჩამოყალიბებულია და მომავალში მხოლოდ ზრდას განაგრძობს. იზრდება იქამდე, სანამ დაბადების დრო მოვა...

ამერიკელმა ექიმმა ბერნარ ნათანსონმა, რომელსაც 60 000 აბორტი ჰქონდა გაკეთებული და ერთ დღესაც „გონს მოეგო“, კვლევა ჩაატარა და დაადგინა, რომ ნაყოფი გრძნობს სიკვდილის მოახლოებას. მან პრაქტიკულად პირდაპირ ეთერში აჩვენა, როგორ წვდება სამედიცინო ხელსაწყო ბავშვს, ის კი გაურბის ექიმის ბასრ ინსტრუმენტს, უხშირდება გულისცემა, იქნევს ხელებს და აღებს პირს, თითქოს ყვირის... ნათანსონმა ამ მოქმედებას უხმო კივილი უწოდა და თავისი კვლევის შედეგებით თავზარი დასცა მსოფლიოს.



# ბევრი წყალი, მარილი და კოფეინი მოგკლავთ



### მზე

**სასიკვდილო დოზად მზეზე 8 საათის განმავლობაში ყოფნა მიიჩნევა.** თუკი რომელიმე ადამიანი ეგვიპტის მზის ქვეშ თავდაცვის საშუალებების გარეშე 8 საათს გაატარებს, ეს დღე მისთვის, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს. მზის დარტყმის დროს ადამიანს საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მაღალი სიცხე, გონების დაკარგვა აღენიშნება.



### ალკოჰოლი

ადამიანისთვის ალკოჰოლის სასიკვდილო დოზა 1,5 ლიტრი არაყია. ალკოჰოლის ერთი პრომილე ნიშნავს, რომ ერთ ლიტრ სასმელზე 1 მილიგრამი სუფთა ალკოჰოლი მოდის. 0,5 ლიტრი არაყი შეიცავს 200 მილიგრამ სუფთა ალკოჰოლს. ალკოჰოლის სასიკვდილო დოზად 5-6 პრომილე, ანუ 400-450 მილიგრამი სუფთა ალკოჰოლი ითვლება.



### კოფეინი

150 ესპრესო ერთ ჯერზე და თქვენ მკვდარი ხართ. ადამიანისთვის კოფეინის სასიკვდილო დოზა მისი სხეულის წონაზეა დამოკიდებული. ზოგადად, იგი 150-200 მილიგრამამდე მერყეობს.





### პოლივიტამინები

სასიკვდილო დოზად ერთ დღე-ღამეში მიღებული 5 000 ცალი აბი ითვლება. როგორც ვიცით, არსებობს ასეთი ცნება — ჰიპერვიტამინოზი. მაგალითად, თუკი მივიღებთ A ვიტამინის ზედმეტ დოზას, შემდეგი სიმპტომები იჩენს თავს: თავბრუსხვევა, გულისრევა, თავის ტკივილი, პულსის აჩქარება, კრუნჩხვა, ასევე, გონების დაკარგვა; თუკი B1-ის ზედმეტ დოზას მივიღებთ, მას თირკმელებისა და ღვიძლის დისფუნქცია მოჰყვება; ზედმეტი B12 სისხლის შედედებას და პულსის გახშირებას გამოიწვევს; D2 — გულისრევას, სისუსტეს, ციებ-ცხელებას, სიმშრალეს, წნევის აწევას, პულსის შენელებასა და სუნთქვის გართულებას.



### ნიკოტინი

ადამიანის მოკვლა ერთ ჯერზე მოწეული სიგარეტის 94 ღერს შეუძლია.



### მარილი

ერთ ჯერზე მიღებული 250 გრამი მარილი ადამიანისთვის სასიკვდილო დოზას შეადგენს. მარილის დიდი დოზის გამო სწრაფად იმატებს წნევა, რომელიც, დიდი ალბათობით, ტვინში სისხლის ჩაქცევას გამოიწვევს.



### წყალი

სასიკვდილო დოზად, დღეში 8-10 ლიტრი ითვლება. დაახლოებით 1 ლიტრ სითხეს ადამიანი საკვებთან ერთად იღებს. დღიური ნორმა 1,5-2 ლიტრს შეადგენს. თუკი დღიურ ნორმას 3-4-ჯერ გადააჭარბებთ, წყლით ინტოქსიკაციას მიიღებთ, რადგან თირკმელები ვერ მოასწრებენ ორგანიზმიდან ამხელა რაოდენობის წყლის გამოდევნას, რაც ფილტვებსა და თავის ტვინში სისხლის ჩაქცევას გამოიწვევს.



### კოღოები

სიკვდილს კოღოს 500 000 ნაკბენი იწვევს. მდედრ კოღოს ადამიანის ორგანიზმიდან 5 მილიგრამი სისხლის ამოწოვა შეუძლია. ადამიანს საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე 15% სისხლის დაკარგვა შეუძლია, ხოლო თუ იგი ერთ ჯერზე 2-2,5 ლიტრს დაკარგავს, ეს მის სიკვდილს გამოიწვევს.

# დნმ: ადამიანის წარმოშობის საიდუმლო

**დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა, იგივე დნმ, „მონაცემთა ბაზაა“, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისა და ფუნქციონირების გენეტიკური პროგრამის შენახვას, თაობიდან თაობაზე გადაცემასა და რეალიზებას. დნმ-ის შესახებ სამყარომ 1868 წელს შეიტყო, უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა იოჰან ფრიდრიხ მიშერმა გააკეთა. აღმოჩენიდან თითქმის 100 წლის შემდეგ ორმა მეცნიერმა დაადგინა, რომ დნმ ორი სპირალისგან შედგება. ეს მეცნიერები ფრენსის კრიკი და ჯეიმს უოტსონი იყვნენ.**

**პლანეტის მოსახლეობის დნმ 99,9%-ით ერთნაირია, მხოლოდ 0,1% არის უნიკალური და სწორედ ის განაპირობებს ჩვენს ინდივიდუალიზმს.**

ჩვენ 50%-ით ბანანები ვართ, ჩვენი დნმ ასაკის, სქესის, რასისა და კიდევ სხვა უამრავი ფაქტორების მიუხედავად, 30%-ით სალათის ფოთლებისა და 50%-ით ბანანის იდენტურია.

ერითროციტები ერთადერთი უჯრედებია, რომლებიც არ შეიცავს დნმ-ს.

ადამიანის დნმ 80 000 გენს შეიცავს, რომელთაგან 200 ბაქტერიისგან გვაქვს გადმოცემული.

ძალიან იშვიათად ჩნდებიან ადამიანები, რომელთაც, ერთის ნაცვლად, 2 დნმ აქვთ, ასეთ ადამიანებს ქიმერებს უწოდებენ, მათ ორგანიზმში ორგანოებს სხვადასხვა დნმ აქვთ. **ადამიანს 2 ქრომოსომით ნაკლები აქვს, ვიდრე შიმპანზეს.**

ადამიანის გენეტიკურ კოდს 2 მნიშვნელობა აქვს. ადრე ითვლებოდა, რომ მნიშვნელობა



მხოლოდ ერთია, მაგრამ ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ სტამატოიანოპოლუსმა საკუთარ გუნდთან ერთად მისი მეორე მნიშვნელობაც აღმოაჩინა. აღმოჩენა მომავალში ხელს შეუწყობს ექიმებს გენეტიკური მკურნალობის ჩატარებაში.

კოსმოსში არის „უკვდავების დისკი“, რომელშიც გამორჩეული ადამიანების ციფრული დნმ ინახება.



## მილიონერების ძაღლები

**მილიონერების ოთხფეხა მეგობრებს შეუძლიათ, ბევრის უფლება მისცენ თავს: აცვიათ ძვირფასი ტანსაცმელი, ამშვენებთ ძვირფასი სამკაულები, მიირთმევენ საუკეთესო რესტორნებში და ზოგიერთ მათგანს საკუთარი ავტომობილიც კი ჰყავს.** ყველამ იცის, როგორ ერთობიან მდიდრები, როგორი ქალების საზოგადოებაში ატარებენ დროს და როგორი სახლები და იახტები აქვთ. ამჯერად შინაური ცხოველების ჯერი დადგა, რომელთაგან ზოგს საკუთარი ექაუნთიც აქვს გახსნილი სოციალურ სქელებში. მათი „ძაღლური ცხოვრება“ გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე ზოგიერთი ადამიანის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე საშიში ქალი-განგსტერები



## ფელიქსი

**ფელიქსი კონკრეტულ წრეებში ძალიან ცნობილი ქალბატონია.** 2014 წელს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სწორედ ის გახდა მექსიკური ბანდის — Los Ⴢntrax-ს ხელმძღვანელი, რომელსაც მკვლელობებში მიუძღვის ბრალი. ფელიქსმა ეს პოსტი მას შემდეგ მიიღო, რაც მისი ბოიფრენდი და ამ ორგანიზაციის ლიდერი დაიჭირეს.



## მარია ლეონი

**მარია ლეონის სერიოზული კრიმინალური ცხოვრება ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ 13 შვილის დედა იყო.** მარია ბანდის უფროსი იყო, რომელიც ნარკოტიკების გადატანით, შეკვეთილი მკვლელობებითა და ადამიანებით ვაჭრობით იყო დაკავებული. ამასთან, მას მხარს უჭერდა მექსიკური მაფია, რომელმაც ის ლოს ანჯელესის ყველაზე სახიფათო განგსტერად აქცია. 2008 წელს მარიას შვილი პოლიციასთან შეტაკებისას გარდაიცვალა. ამ დროს ქალი უკვე მექსიკაში იყო და ამერიკაში მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, შვილის დასაფლავებაზე ჩუმად ჩამოსვლა მოისურვა. პოლიცია თვალყურს ადევნებდა მისი ბანდის წევრების აქტივობას და მარიაც მარტივად აიყვანეს.



## სანდრა ავილა ბელტრანი

**როდესაც ბელტრანი მექსიკური ნარკოკარტელის ლიდერი გახდა, ფსევდონიმად წყნარი ოკეანის დედოფალი დაირქვა.** ორჯერ იყო გათხოვილი და ორივე ჯერზე — პოლიციელებზე, რომლებიც სამსახურიდან ნარკობიზნესში ჩასართავად წამოვიდნენ. ორივე მათგანი დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა. 2002 წელს ბელტრანის შვილი მოიტაცეს და გამოსასყიდად 5 მილიონ დოლარს ითხოვდნენ, რაზეც პოლიციამ ცალკე გამოძიება წამოიწყო.

2007 წელს ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობისთვის და ნარკოტიკების წარმოებისთვის დაედო ბრალი. სანდრა ამჟამად ციხეში იხდის სასჯელს.



## ტელმა რაიტი

**ტელმა რაიტის მეუღლე ფილადელფიაში ნარკობიზნესის საქმეში დიდი ფიგურა იყო.** ის 1989 წელს მოკლეს, რის შემდეგაც ტელმა ჩაუდგა სათავეში ოჯახურ ბიზნესს და ნარკოკარტელის ახალი ლიდერი გახდა. 1991 წელს ტელმა კინაღამ ჩაცხრილეს, რის შემდეგაც ქალმა გადაწყვიტა, სამუდამოდ დაეტოვებინა ნარკოვაჭრობა.



## ჯუდი მორანი

**ჯუდი ავსტრალიაში ცნობილი კრიმინალური საგვარეულოს ლიდერია.** მორანების ოჯახმა სახელი გაითქვა ნარკოვაჭრობით. 1982 წელს ჯუდის მეუღლე დაცხილეს, 2000 წელს კი შვილი მოუკლეს, 2009 წელს მისი მეორე შვილი გამოასალმეს სიცოცხლეს. ამავე წელს დააკავეს ჯუდი და, სანამ სასამართლო მიმდინარეობდა, უცნობმა პირებმა მისი სახლი გადაწვეს, ქალბატონს 26-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.



# უძილობა დაგაბერებთ

**სარა ჩალმერსმა მონაწილეობა მიიღო კვლევაში „ძილს მოკლებული“. ექსპერიმენტის დაწყებისა და დასრულებისას სარას კანს სკანირება ჩაუტარეს, დადგინდა, რომ უძილობამ ქალის კანზე ფორები კიდევ უფრო გააღრმავა და მისი კანი საგრძნობლად გაწითლდა, დაბერდა.**

ექსპერიმენტისას დამკვირვებლები იკვლევდნენ, რა მოსდის ადამიანს უძილობით.

დროის გასვლის შემდეგ, ქალმა, რომელსაც ექსპერიმენტის დროს 8 საათის ნაცვლად 6 საათი ეძინა, საკუთარ თავს ცვლილებები შეამჩნია: „ახლა 46 წლის ვარ, მაგრამ ხანდაზმულივით გამოვიყურები. თვალის ქვეშ შავი ზოლები გამიჩნდა, კანი მომეჩვარა, გამიჩნდა ფორები და ლაქები. მოუხერხებელი, დაბნეული და გულმავიწყი გავხდი. ეს მხოლოდ ერთკვირიანი ექსპერიმენტის დროს, როცა დღე-ღამეში 6 საათს მეძინა და წარმომიდგენია, რა ემართებათ იმ ქალებს, ვინც იძულებულია, ძილი მუდმივად მოიკლოს.

სამსახური, შვილები, სოციალური ცხოვრება... შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ბოლო დროს ძილის დრო საგრძნობლად შემცირდა. თუ ადრე ადამიანს 8-9 საათი ეძინა, ახლა ბევრს მხოლოდ 6 საათი სძინავს.

„ძილის სკოლამ“ 11 ათასი ადამიანი გამოკითხა, ძილისთვის ისინი მხოლოდ 6 საათს იმეტებდნენ. შედეგად, დაუქვეითდათ გონებრივი და ფიზიკური აქტივობა. „გაგიკვირდებათ, მაგრამ ძილისთვის 1-2 საათის მოკლებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება“, — ამბობს ექსპერიმენტის ერთ-ერთი მონაწილე.

კოსმეტოლოგი და დერმატოლოგი ანიტა სტარნაჰამი გვირჩევს, არ მოვიკლოთ ძილი. „უძილობა აჩენს ნაოჭებს, სახე შუპდება, ჩნდება ჩამუქება თვალების ქვეშ. უნდა გახსოვდეთ, რომ უძილობისას ორგანიზმში დიდი რაოდენობით გამოიყოფა კორტიზოლი, იგი არღვევს კოლაგენს და კანის ელასტიკურობას, ამიტომაც უძილობისგან კანი მალე ბერდება“.

ამასთანავე, უძილობის დროს ადამიანის აქტივობის დონე ეცემა, ქვეითდება იმუნიტეტი, ადამიანი უფრო ხშირად ავადდება სხვადასხვა ინფექციით, ამიტომ ყველა საქმე და გასართობი გადადეთ და გამოიძინეთ!

# ენერგიის საუკეთესო მარაგი

**აქტიური სამუშაო რეჟიმი თანამედროვე ადამიანისგან მუდმივად ენერგიულობასა და ფორმაში ყოფნას მოითხოვს. ენერგია კი საკვების გარეშე წარმოუდგენელია. სამწუხაროდ, ბევრი საჭმელი სულაც არ ნიშნავს ენერგიის დიდ წყაროს. პირიქით, ბევრი საკვები სწორედ რომ გვაცლის ენერგიას.**



ენერგიის მატებაში ყველაზე კარგად ფაფები, ხაჭო, არაჟანი და რძემჟავა პროდუქტები დაგეხმარებათ. ამიტომ გირჩევთ, რომ დილა ყოველთვის ფაფით დაიწყოთ (ან რძიანი ფაფით). ეს შეიძლება იყოს წიწიბურის, შვრიის ან სიმინდის ფაფა. იგი 3-4 საათით მოგამარაგებთ ენერგიით, ანუ სადილამდე დანაყრებული იქნებით და მალე არ მოგშივდებათ.

თუ ძალიან გშიათ, შეგიძლიათ, ღვეზელი მიირთვათ და ჩაი მიაყოლოთ. შიმშილს დაიცხრობთ, თუმცა ძალიან ცოტა ხნით — მაქსიმუმ ერთ საათში ისევ მოგშივდებათ, ამიტომ ღვეზელით, მაკარონით, ტკბილეულით დანაყრება სასურველი არ არის. კალორიებს იღებთ, არადა, მშიერი რჩებით. ხანგრძლივი ენერგიისთვის მიირთვით ხორცი, პარკოსნები, ხილის წვენები, ხილი, განსაკუთრებით, ბანანი.

თუ ქათმის, საქონლის ან თევზის ხორცს უმ ან მოშუშულ ბოსტნეულთან ერთად მიირთმევთ, ენერგია თითქმის მთელ დღეს გეყოფათ. თუ საკვები ძალიან მარილიანი არ იქნება, შიმშილის გრძნობა უფრო გვიან შეგაწუხებთ.

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95






# ფინეთი — ათასი ტბის ქვეყანა


ჰელსინკი


ნაციონალური მუზეუმი

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ფინეთი (ოფიციალურად — ფინეთის რესპუბლიკა) ევროპის ჩრდილოეთში მდებარე სახელმწიფოა; აღმოსავლეთით ესაზღვრება რუსეთს, ჩრდილო-დასავლეთით — შვედეთს, ჩრდილოეთით — ნორვეგიას; სამხრეთითა და დასავლეთით აქვს სანაპირო ზოლი ბალტიის ზღვაზე.

ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს შვედურიდან — Finland — ფინეთის ქვეყანა. თვითონ ფინელები თავიანთ ქვეყანას **სუომის** უწოდებენ.

არქეოლოგიური გამოკვლევების თანახმად, ფინეთის ტერიტორიაზე პირველი დასახლება გაჩნდა გამყინვარების პერიოდის ბოლოს, ანუ 8 500 წლის წინათ ჩვენს ერამდე.

ფინეთი 1150-1809 წლებში შვედეთის შემადგენლობაში იყო, 1809-1917 წლებში — რუსეთის იმპერიის.

დამოუკიდებლობა მოიპოვა 1917 წლის 6 დეკემბერს.

ფინეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (თითქმის მეოთხედი) ჩრდილოეთის პოლარულ წრეშია მოქცეული.

**კლიმატი.** მიუხედავად იმისა, რომ ფინეთი პლანეტის ჩრდილოეთში მდებარე ქვეყანაა, მისი კლიმატი, ზღვის თბილი დინებების გავლენით, რბილია. ქვეყნის სამხრეთში საშუალო ტემპერატურა არის: ზამთარში — მინუს 10-15 გრადუსი, ზაფხულში — პლუს 15-20 გრადუსი. ქვეყნის ჩრდილოეთში (ლაპლანდია) უფრო მკაცრი კლიმატია: ზამთარში ტემპერატურა ეცემა მინუს 30 გრადუსამდე, ზაფხულში კი პლუს 15 გრადუსამდე იმატებს.

**ფლორა.** ფინეთის შედარებით ტენიან ადგილებში ხარობს ნაძვი, მშრალში — ფიჭვი; სამხრეთ-დასავლეთში წიწვოვან მცენარეებთან ერთად გვხვდება მუხა, თელა, ნეკერჩხალი, იფანი, ცაცხვი; ჩრდილოეთში, სადაც ტუნდრაა, ხარობს კენკროვანი მცენარეები — მოცვი, წითელი მოცვი, მიწამაყვალა, შტოში.

**ფაუნა.** დიდ ტყეებში ცხოველების რაოდენობა მცირეა. მხოლოდ აღმოსავლეთში ბინადრობს დათვი, პოლარული მელა და მგელი, ლაპლანდიაში — ირემი, ციყვი, კურდღელი და სხვ. ფინეთის ტერიტორიაზე ფრინველის 250-მდე სახეობაა: როჭო, კაკაბი, იხვი და სხვ. მდინარეები და ტბები მდიდარია თევზით, მათში ბევრია ორაგული, ქარიყლაპია, ქორჭილა.

ფინეთის უმაღლესი წერტილია **მთა ჰალტი — 1324 მ.**

უდიდესი მდინარე — **კემიიოკი (550 კმ).**

ფინეთში უამრავი ტბაა, ამიტომ მას ათასი ტბის ქვეყანას უწოდებენ. **უდიდესი ტბაა საიმა.**

ფინეთის **ტერიტორია 38430 კვ.კმ-ს შეადგენს** (64-ე მსოფლიოში), მისი 10 პროცენტი ტბებს უკავია.

**მოსახლეობა.** 2015 წლის შეფასებით, ფინეთში **5,5 მლნ** კაცი ცხოვრობს (113-ე). ეთნიკური შემადგენლობა: 93% — ფინელები, 6% — შვედები. ცხოვრობენ, აგრეთვე, კარელები, ბოშები და სხვ. ბოლო წლებში მოიმატა იმიგრანტთა რაოდენობამ.

**დედაქალაქი — ჰელსინკი (625 ათასი).**

**უდიდესი ქალაქები: ჰელსინკი, ტამპერე (213 ათასი), ტურკუ (182 ათასი).**

**ოფიციალური ენები: ფინური** და **შვედური.**


კომპოზიტორ იან სიბელიუსის სახელობის პარკი


სენატის მოედანი, ჰელსინკი


ლაპლანდია


ფინეთის კუნძულები ბალტიის ზღვაში

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ფინეთი საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა — უნიტარული სახელმწიფო, რომელსაც აქვს ერთი ნაწილობრივი ავტონომიის მქონე ტერიტორიული ერთეული. ქვეყნის პირველი პირია პრეზიდენტი, რომელიც 6 წლით ირჩევა საყოველთაო კენჭისყრით. ამჟამად ფინეთის პრეზიდენტია **საული ნიინისტე.** პრემიერმინისტრი — **იუჰა სიპილია.** პარლამენტის თავმჯდომარე — **მარია ლოჰელა.**

ტერიტორია დაყოფილია რეგიონებად, ქალაქებად და კომუნებად. კომუნებში გაერთიანებულია 19 პროვინცია.

**რელიგია.** ფინეთში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულია ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. მოსახლეობის 78,3% ლუთერანია; ცხოვრობენ, აგრეთვე, მართლმადიდებლები, კათოლიკები, მუსლიმანები და იუდეველები, ათეისტები კი 18%-ია.

## ეკონომიკა

ფინეთი მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს მიეკუთვნება. ქაღალდის წარმოებით მსოფლიოში პირველია; წამყვან პოზიციაზე — ხეტყისა და უჟანგავი ფოლადის წარმოების, აგრეთვე, მაღალი ტექნოლოგიების შემუშავების მხრივ. „ნოკია“, ფინური ტრანსნაციონალური კამპანია, ლიდერთა შორისაა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში. ქვეყნის ეკონომიკაში დიდია სოფლის მეურნეობის, ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის დარგების წილი. ფინეთში მოიპოვებენ ქრომს, ვანადიუმს, აპატიტებს (მეორეა ევროპაში უკრაინის შემდეგ), კობალტს, ტორფს, რკინას, სპილენძს, თუთიას, ნიკელს და სხვ.

მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს 185 მლრდ დოლარს (29-ე), მოსახლეობის ერთ სულზე 47 625 დოლარს (მე-15).

**ვალუტა: ევრო.**

**ინტერნეტდომენი: fi, AX (ალანდის კუნძულებისთვის).**

**სატელეფონო კოდი: +358.**

**საათობრივი სარტყელი: UTC+2, ზაფხულში UTC+3.**

## კულტურა

ჰელსინკი ერთ-ერთია 4 ქალაქიდან, რომელსაც მიენიჭა ტიტული — „დიზაინის დედაქალაქი“ (2012). მსოფლიოში სახელი გაითქვეს ფინელმა მწერლებმა: **ელიას ლიონროტმა, ალექსის კივიმ, ტუვე იანსონმა,** ნობელიის პრემიის ლაურეატმა ლიტერატურის დარგში **ემილ სილანპიაიამ**, კომპოზიტორმა **იან სიბელიუსმა**, არქიტექტორმა **ალვარ აალტომ**, ავტომრბოლმა — **მიკა ჰაკინენმა**, რომელმაც ორჯერ (1998-1999) გაიმარჯვა „ფორმულა-1“-ის რბოლებში.

**ღირსშესანიშნაობები**: ჰელსინკიში — პრეზიდენტის სასახლე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, სენატის შენობა; ტამპერეში — XX საუკუნის ტაძარი, საზღვაო ციხესიმაგრე სუომენ ლინა; ლახტი — სპორტის ზამთრის სახეობების ცენტრი.

## სამზარეულო

ფინელები კერძებს, ძირითადად, ამზადებენ თევზეულისგან (ორაგული, კალმახი, სიგი, ქაშაყი), გარეული ცხოველების ხორცისგან (ირემი, ღორი), სოკოსგან, აგრეთვე, კენკროვანი მცენარეებისგან — მოცვისა და შტოშისგან.



### ორაგულის სალათა ფინურად

**ეს სალათა, რომლის მომზადებაც ადვილია, ძალიან პოპულარულია ფინეთში.**

**ინგრედიენტები:**

* ორაგულის ფილე — 250 გრ
* დამწნილებული კიტრი — 3-4 ცალი
* კვერცხი — 3 ც
* მაიონეზი — 120 გრ
* მოხარშული ბრინჯი — 180 გრ
* მარილი — გემოვნებით
* პილპილი — გემოვნებით
* ქინძი — 50 გრ
* ოხრახუში — 30 გრ
* მოცვი — 50 გრ

**მომზადება:**

**1. ორაგულის ფილე დაჭერით თხელ ნაჭრებად, გაასუფთავეთ ფხებისგან და მოხარშეთ.**

**2. მოხარშეთ კვერცხი და კიტრთან ერთად პატარა კუბებად დაჭერით.**

**3. მოხარშეთ ბრინჯი ისე, რომ მარცვლები ერთმანეთს არ მიეკროს.**

**4. ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში აურიეთ, მოაყარეთ მარილი, პილპილი და მოასხით მაიონეზი. საერთოდ კი, ასეთი სალათა შეიძლება ფენებად მოამზადოთ: ბრინჯი, კვერცხი, კიტრი, ორაგული და ბოლოს — მაიონეზი.**

**სუფრაზე მიტანამდე კერძს წვრილად დაჭრილი მწვანილი (ქინძი, ოხრახუში) მოაყარეთ და მწვანილისვე ტოტებითა და მოცვის მარცვლებით მორთეთ.**

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გაამწვავოს ქრონიკული დაავადებები, გამოიწვიოს თავის ტკივილი და გუნება-განწყობილების გაფუჭება. თუ სიცხის გამო თავს შეუძლოდ იგრძნობთ, გააჩერეთ ავტომობილი წყალი დალიეთ და სახეზეც შეისხით.**

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ დავიცვათ თავი სიცხისგან ავტომობილის მართვისას

დადგა ივლისი და მზე სულ უფრო ძლიერად აცხუნებს. მაღალი ტემპერატურა ადამიანის ორგანიზმზე თითქმის ისევე მოქმედებს, როგორც ალკოჰოლი — მძღოლის რეაქცია ნელდება, რაც ზრდის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ალბათობას. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც მძღოლებს სიცხეში ავტომობილის მართვას გაუიოლებთ.

## როგორ უნდა მოიქცეს მძღოლი სიცხეში

სიცხის ზემოქმედება ორგანიზმზე ჰგავს ალკოჰოლის მოქმედებას — არაორდინარულ ვითარებაში ადამიანის რეაქციის სიჩქარე ნელდება და იზრდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ალბათობა.




არ დაგავიწყდეთ, რომ მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გაამწვავოს ქრონიკული დაავადებები, გამოიწვიოს თავის ტკივილი და გუნება-განწყობილების გაფუჭება. თუ სიცხის გამო თავს შეუძლოდ იგრძნობთ, გააჩერეთ ავტომობილი, წყალი დალიეთ და სახეზეც შეისხით. მგზავრობა დაიწყეთ დილით, როდესაც მზე არ აცხუნებს, ან საღამოს — მზის ჩასვლის წინ.

# გსურთ დაიკლოთ წონა? — სვით წყალი!

დიეტოლოგთა აზრით, ადამიანმა წონის დასაკლებად ყოველდღიურად 2 ლიტრზე ნაკლები წყალი არ უნდა დალიოს, მაგრამ ასე უნდა მოიქცნენ მხოლოდ ისინი, ვისაც გულ-სისხლძარღვთა და შარდსასქესო სისტემის პათოლოგიები არ აწუხებს. ინფოგრაფიკაზე მოცემულია, რამდენი ლიტრი წყალი უნდა მიიღოს ადამიანმა, თუ მას წონის დაკლება სურს.




**გაითვალისწინეთ:** * წონის დასაკლებად სვით წყალი, რომლის ტემპერატურა უნდა იყოს პლუს 7-15 გრადუსი; * დღის განმავლობაში მიიღეთ 1,5-2,0 ლ აუდუღებელი, გაუფილტრავი წყალი; * ჭამამდე 20-30 წთ-ით ადრე დალიეთ 250-300 გრ წყალი.

# იღბლიანი ხართ თუ მიზნის მისაღწევად მუხლჩაუხრელი მუშაობა დაგჭირდებათ?

ტესტი



**1. როგორ უპასუხებთ ხოლმე ზარს თქვენს ტელეფონზე?**
**ა)** ალო! — 0 ქულა;
**ბ)** ბატონო! — 20 ქულა;
**გ)** დიახ, გისმენთ! — 10 ქულა.

**2. რასთან ასოცირდება თქვენთვის სიტყვა „სპორტი"?**
**ა)** ჯანმრთელობასთან — 20;
**ბ)** ჯილდოსთან, მედლებთან — 10;
**გ)** მომქანცველ ვარჯიშთან და ტრავმასთან — 0.

**3. ვიღაცამ წლოვანება 5 წლით მოგიმატათ. როგორი იქნება თქვენი რეაქცია?**
**ა)** მშვიდად დავაზუსტებ ჩემს წლოვანებას — 10;
**ბ)** ისეთ გამომეტყველებას მივიღებ, თითქოს ვერაფერი გავიგე — 0;
**გ)** სიცილით შევნიშნავ, რომ ჩემი წლოვანების, ალბათ, ქვაც აღარ დაგორავს დედამიწაზე — 20.

**4. რომელი მსახიობი უფრო მოგწონთ?**
**ა)** ბრედ პიტი — 10;
**ბ)** არნოლდ შვარცენეგერი — 0;
**გ)** ჯორჯ კლუნი — 20.

**5. რომელი ქალბატონი იწვევს თქვენს გულწრფელ აღტაცებას?**
**ა)** სოფი ლორენი — 20;
**ბ)** პრინცესა დაიანა — 0;
**გ)** მერილინ მონრო — 10.

**6. წვეულებაზე შეამჩნიეთ ადამიანი, რომლის ვარცხნილობა ან ჩაცმის სტილი ძალიან მოგეწონათ, თქვენ:**
**ა)** თუ საშუალება მოგეცემათ, გამოხატავთ თქვენს მოწონებას — 10;
**ბ)** მიუახლოვდებით და გემოვნებას შეუქებთ — 20;
**გ)** ჩვეულებრივ, მოგერიდებათ კომპლიმენტის თქმა — 0.

**7. როდესაც დამსახურებულად შეგაქებენ, თქვენ:**
**ა)** საპასუხოდ რაღაც სასიამოვნოს ამბობთ — 20;
**ბ)** უხერხულად შეიშმუშნებით და ჩაილაპარაკებთ, რომ განსაკუთრებული არაფერი გაგიკეთებიათ — 0;
**გ)** შექებას მშვიდად იღებთ — 10.

### შეაჯამეთ ქულები:

**100-140 ქულა:**

ბედნიერ ვარსკვლავზე ხართ დაბადებული და პრობლემებს გვერდს უვლით. ოპტიმისტური და სხვების მიმართ კეთილგანწყობილი ხასიათი გაქვთ და, ალბათ, ეს არის თქვენი წარმატების საიდუმლო. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ფორტუნა ჭირვეულია და მხოლოდ მის იმედზე ნუ იქნებით.

**60-90 ქულა:**

ბედს ნამდვილად არ უჩივით, ხშირად გიმართლებთ, მაგრამ თქვენი წარმატებები, როგორც წესი, ციდან არ ცვივა. მიზნის მისაღწევად ბევრი შრომა გიწევთ, ამიტომ გალიზიანებთ როგორც მუდმივი ტრიუმფატორები, ასევე, თავიანთ უიღბლობაზე მოწუწუნე აუტსაიდერები.

**30-50 ქულა:**

ვერ დაიკვეხნით, რომ იღბლიანი ხართ, მაგრამ მიზეზი საკუთარ თავში ეძიეთ. არ არის საჭირო უიღბლობაზე გამუდმებით წუწუნი, ასეთი ადამიანები ხომ სიმპათიას ვერასდროს იმსახურებენ. წარმატების შანსი ყველას ეძლევა, თუმცა მის გამოსაყენებლად დიდი ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო.

**20 ქულაზე ნაკლები:**

სამწუხაროდ, იღბალი ხონჩით რომ მოგართვან, უარს იტყვით. მეტისმეტად პირქუში და ცივი ადამიანი ხართ. ასეთებს ფორტუნა ყოველთვის ზურგს აქცევს.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2 ივლისს სავსემთვარეობაა. მოიმატებს ბუნებრივი კატასტროფებისა და გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. კარგი პერიოდია ლომისა და სასწორის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**1 – 7 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

ამ პერიოდში სამსახურსა და პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ელოდოთ. მოგიწევთ უკვე დაკავებული პოზიციების შენარჩუნებაზე ზრუნვა და ყველა საკითხის გაკონტროლება.

შესაძლოა, დაგჭირდეთ დაგროვებული თანხის დახარჯვა ოჯახის საჭიროებისთვის.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ, თუ მოისურვებთ ლიდერობას ყველგან და ყველაფერში.

ტონუსის შესანარჩუნებლად ფიზიკურად დაიტვირთეთ და შეასრულეთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 4 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 1 ივლისი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

გამოგიჩნდებათ უამრავი საქმე, რომელთა მოგვარებაც საჩქარო იქნება. ოპტიმისტურად განეწყვეთ და დარწმუნებული იყავით, რომ რამდენიმე დღეში ყველა პრობლემას წარმატებით მოაგვარებთ. სირთულეების დაძლევაში კი კოლეგები და ახლობლები დაგეხმარებიან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში შეიძლება, ბზარი გაჩნდეს, თუ რამდენიმე დღისწინანდელ უთანხმოებას არ მოაგვარებთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

თუ შვებულების აღებას გეგმავთ, ისეთი ადგილი შეარჩიეთ, რომელიც თქვენს ბრონქებზე სასიკეთოდ იმოქმედებს.

**დადებითი დღე: 6 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივლისი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

დადგა პერიოდი, როდესაც შექმნილ ვითარებაში კარგად უნდა გაერკვეთ. ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად შეუპოვრობა, გაბედულება და გამოცდილება უნდა გამოიყენოთ. შესაძლოა, მოგიწიოთ ისეთ საკითხებზე მუშაობა, რომლებიც დაკავშირებული იქნება სახელმწიფო უწყებებთან. არ ინერვიულოთ ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ გადაწყდება.

მარტოხელა ტყუპებს, რომლებიც საწინააღმდეგო სქესის საინტერესო წარმომადგენელს გაიცნობენ, მიეცემათ შანსი, ეს რომანტიკული ურთიერთობა ქორწინებით დააგვირგვინონ.

გაუფრთხილდით ბრონქებსა და ფილტვებს, რადგან დიდია ამ ორგანოების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 4 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივლისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

ამ პერიოდს შეიძლება უწოდოთ „სიწყნარე ქარიშხლის წინ" — ცვლილებები და გადაადგილებები, იდეები და აქტიური მოქმედებები ცოტა ხანში დაიწყება, ამიტომ ჯერჯერობით აქტიურობა შეამცირეთ და ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ.

კირჩხიბები, რომლებსაც კონფლიქტი ჰქონდათ საყვარელ ადამიანთან, ურთიერთობის შენარჩუნებას ვერ შეძლებენ, თუ ემოციებს არ მოთოკავენ და მხოლოდ თავიანთი პოზიციების დაცვაზე იფიქრებენ.

ნერვული სისტემის გასამყარებლად, სჯობს, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 2 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 4 ივლისი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

თუ დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში, დაიწყეთ ახალი პროექტები, მაგრამ ყველა დეტალი კარგად უნდა გააანალიზოთ.

ხელმძღვანელმა ლომებმა ხელქვეითების მიმართ მეტი შემწყნარებლობა უნდა გამოიჩინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება, საუკეთესო კადრები გაექცეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ეძებეთ პრობლემების მოგვარების კომპრომისული გადაწყვეტილებები.

თუ შარდ-სასქესო სისტემის რომელიმე დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ გამოკვლევები.

**დადებითი დღე: 5 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 1 ივლისი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

საკმარისზე მეტი ენერგია გაქვთ იმისთვის, რომ აქტიურად იმოქმედოთ და ჩანაფიქრი განახორციელოთ. მოგეცემათ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობის შესაძლებლობა, რაც პოპულარობას მოგიხვეჭთ. წარმატებას მოგიტანთ ისეთი თვისებების გამოვლენა, როგორიცაა მოთმინება და შეუპოვრობა.

თუ გსურთ, ოჯახში სუფევდეს ურთიერთგაგების ატმოსფერო, მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანებს, განსაკუთრებით — ბავშვებს.

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონიდან ამოიღეთ მარილი და ცხარე პროდუქტები.

**დადებითი დღე: 3 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 7 ივლისი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

აქტიურობის პერიოდია. გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ და წარმატება არ დააყოვნებს. გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა, თუმცა ამისთვის მუხლჩაუხრელი შრომა მოგიწევთ.

თავი შეიკავეთ კოლეგების გაკრიტიკებისგან, რადგან დიდია კონფლიქტის ალბათობა, რომელიც რეპუტაციას შეგილახავთ.

ახლა არ ღირს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში რამეს შეცვლა, სჯობს, მის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინოთ.

თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ სჯობს, დიდ ფიზიკურ დატვირთვებს თავი აარიდოთ.

**დადებითი დღე: 3 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 7 ივლისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

თუ სწრაფად და აგრესიულად იმოქმედებთ, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად დრო არ დაგრჩებათ. ნაჩქარევი გადაწყვეტილებები კი იმ შედეგს არ მოგიტანთ, რომელსაც ელოდით. სამსახურში შეეცადეთ, საქმე თვითდინებაზე არ მიუშვათ, რადგან ამის გამო, შესაძლოა, ხელმძღვანელობისგან საყვედური დაიმსახუროთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. იზრუნეთ მასზე და ხშირად უთხარით, რომ ძალიან გიყვართ.

კარგი პერიოდია მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად. თუ გადაწყვეტილი გაქვთ, სიგარეტს თავი დაანებოთ, ახლა ამისთვის შესაფერისი დროა.

**დადებითი დღე: 3 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 7 ივლისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

თქვენს ცხოვრებაში, შესაძლოა, დაიწყოს ცვლილებები, თანაც — არცთუ სასიამოვნო. ყველაფერს ფილოსოფიურად მიუდექით, რადგან მოგვიანებით მოვლენები ისე განვითარდება, როგორც თქვენ გსურდათ. უფრთხილდით მოშურნეებს, მათი მხრიდან მოსალოდნელია თქვენი რეპუტაციის შელახვის მცდელობა.

საყვარელი ადამიანი ყველა წამოწყებაში მხარს დაგიჭერთ, რაც სიხარულს მოგგვრით. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის ხანდაზმულ წევრებს.

ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის ბევრი სითხის მიღება, განსაკუთრებით — ალკოჰოლური სასმელის.

**დადებითი დღე: 6 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 4 ივლისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

ადამიანებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, განსაკუთრებით — ბიზნესპარტნიორებთან, რადგან მაღალია მოტყუების ალბათობა და შესაძლოა, ფინანსურად დაზარალდეთ.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას რჩევისთვის გამოცდილ და სანდო ადამიანებს მიმართეთ.

თუ ემოციებს ვერ მოთოკავთ, საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი გარდაუვალი იქნება, ეძებეთ პრობლემების მოგვარების კომპრომისული გზები.

თუ შეამჩნევთ, რომ დაღლილი და გაღიზიანებული ხართ, შეიცვალეთ ცხოვრების რეჟიმი — მეტი იძინეთ, დაისვენეთ და სწორად იკვებეთ.

**დადებითი დღე: 6 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 8 ივლისი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

მოემზადეთ დიდი ცვლილებებისთვის. ინტუიციისა და მოხერხებულობის წყალობით შეძლებთ დასახული მიზნების მიღწევას და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შეიძლება დადგეთ არჩევანის წინაშე — ან თქვენი სიმშვიდე, ან ცხოვრებისეულ პრინციპებზე უარის თქმა საყვარელი ადამიანის საკეთილდღეოდ. ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებთ, შექმნილი ვითარება კარგად გააანალიზეთ.

ჯანმრთელობის მხრივ საფრთხე არ გემუქრებათ, თუმცა გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება არ გაწყენდათ, მაგალითად, სუნთქვითი სავარჯიშოების შესრულება.

**დადებითი დღე: 6 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივლისი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

ელოდეთ ცვლილებებს, შეიძლება არც ისე მკვეთრს, მაგრამ მნიშვნელოვანს. შეიძლება შეიცვალოს არა მხოლოდ თქვენი ცხოვრება, არამედ თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ. თუ ვინმემ გაგანაწყენათ, მიხვდებით, რომ ეს მხოლოდ უმნიშვნელო უსიამოვნება იყო.

შეეცადეთ, გაისტუმროთ ვალები, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. საყვარელ ადამიანთან საერთო ენის გამონახვა გაგიჭირდებათ, რადგან მიხვდებით, რომ თქვენს ურთიერთობას გამრავალფეროვნება სჭირდება და ამას მოუცლელობის გამო ვერ ახერხებთ.

თუ გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 6 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 3 ივლისი.**

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. „... რა“
2. ამოზნექილობა აქლემის ზურგზე
3. ქრისტეს ჯვარცმის ადგილი
4. მსახიობი კრისტიან ...
5. მევიოლინე ვანესა ...
6. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში
7. მსახიობი ... რაიანი
8. ... დიდი კურაპალატი
9. ებრაელთა წინამძღოლი მოსეს სიკვდილის შემდეგ
10. გემით მოგზაურობა
11. ედვარდ მუნკის ტილო
12. ხარების ბრძოლის მთავარი მონაწილე
13. შორეული ნაოსნობის დიდი გემი
14. დაბა აჭარაში
15. ხევებით დაფარული ადგილი
16. ჯიმ ქერი ფილმში „... ვენტურა“
17. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი სიტყვა
18. მიწაში ამოთხრილი ადგილი
19. ქალაქის, სასახლის საზეიმო შესასვლელი
20. მომღერალი ... გილანი
21. სამკითხაო კარტი
22. ქართული ფილმი „... დაიდარდო“
23. პოლიტიკოსი ... გელაშვილი
24. პატარა მტაცებელი ცხოველი



25. იმპერია დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე
26. ვულკანიდან ამოშვებული მასა
27. სულთანის მემკვიდრის აღმზრდელი, მეურვე
28. ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელი ... დეშამი
29. ბოშათა ლიდერი
30. იაპონური პოეზიის ერთ-ერთი ჟანრი
31. მოუხარშავი
32. ადგილი, სადაც ქვეწარმავლებს ინახავენ
33. ცხენბურთი
34. მთის წაწვეტებული მწვერვალი
35. ... თბილელი
36. მიმავალი ხალხის ნაწილი
37. მიმართვა ფრანგი მეფეებისადმი
38. სხეულის ზედაპირული საფარველი
39. უკრაინელი მომღერალი ანი ...
40. ებრაელთა ერთ-ერთი ენა
41. ბილიარდის ჯოხი
42. თუთისებრთა ოჯახის მცენარე
43. ტექსტის გარშემო დარჩენილი ადგილი
44. ბედნიერების, სიამოვნების გამოხატვა
45. ლირიკული ლექსის ფორმა ძვ. საბერძნეთში
46. ქვეყანა აშშ-ის ჩრდილოეთით
47. ციტრუსის კანი
48. ინტელექტუალთა თამაში „...? სად? როდის?“
49. ... პუდი
50. ხალხთა თავშეყრის ადგილი ძვ. საბერძნეთში
51. მემამულე, ფეოდალი აღმ. ქვეყნებში



52. მონასტერი ვერეს ხეობაში
53. ფეხბურთელი ... კინი
54. წილი საერთო საქმეში
55. მთა ისრაელში
56. იგივეა, რაც ნაცია
57. წმინდა მდინარე
58. ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის რაიონში
59. სოლო პარტია ოპერაში
60. ოთხნახნავიანი მანძილი

## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | 5 | | | | | 2 |
| | 5 | 4 | 8 | | | | | 9 |
| 3 | 7 | | 6 | | 9 | | | |
| | 8 | 1 | 7 | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | 4 | 9 | 7 | |
| | | | 2 | | 7 | | 5 | 1 |
| 5 | | | | | 3 | 8 | 9 | |
| 7 | | | | | 5 | 6 | | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 9 | | 8 | | |
| 2 | | 7 | 1 | | | | 3 | 4 |
| | | | | | 2 | | | |
| | | | 6 | | | 7 | | 8 |
| | 7 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | |
| 8 | | 5 | | | 7 | | | |
| | | | 2 | | | | | |
| 7 | 2 | | | | 5 | 9 | | 1 |
| | | 1 | | 3 | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | 9 | 8 | 2 | | 7 |
| | | | 5 | | | | | |
| 9 | 8 | | | | 6 | | | |
| 1 | | 3 | | | | | 9 | |
| | 7 | | | | | | 3 | |
| | 5 | | | | | 4 | | 1 |
| | | | 1 | | | | 4 | 5 |
| | | | | | 4 | | | |
| 4 | | 2 | 8 | 3 | | 7 | | |

# ერთობლივი პროექტი — ჯანმრთელობა

NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ზაფხულის დადგომისთანავე მნიშვნელოვნად მატულობს მწვავე დიარეული დაავადებების რაოდენობა. სტატისტიკური მონაცემებით, ამ პერიოდზე მოდის ამ დაავადებების რეგისტრირებულ შემთხვევათა 50 პროცენტზე მეტი, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია მაღალ ტემპერატურაზე პათოგენური მიკრობების ცხოველმყოფელობის გაძლიერებასთან.

ამ პრობლემას ეხება დღევანდელი პუბლიკაცია.

საქართველო და მსოფლიო

# ზაფხულში რომ არ დაავადდეთ

**დიარეით მიმდინარე დაავადებათა საკვებისმიერი ინტოქსიკაციების მაღალი მაჩვენებლები ზაფხულის პერიოდში აღირიცხება, როგორც ერთეული შემთხვევების, ისე ეპიდაფეთქებების სახით (ჯგუფური შემთხვევები). ეპიდაფეთქებებს უმეტესად იწვევს დაბინძურებული სასმელი წყლის მოხმარება და არასწორად მომზადებულ-შენახული საკვები.**



ქვეყანაში რეგისტრირებული შემთხვევების უდიდესი წილი (60-65 პროცენტი) მოდის ბავშვებზე, რაც შეიძლება აიხსნას ამ ასაკში დაავადების მაღალი მიმღებლობით.

**ამ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია შემდეგი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება:**

*წყალსადენში წყლის წყვეტილი მიწოდებისას, სასურველია, წყალმა იდინოს არანაკლებ 10 წუთისა და შემდეგ გამოიყენოთ სასმელად ან საკვების მოსამზადებლად;

*არ გამოიყენოთ სასმელად აუდუღებელი წყალი, თუ მის უვნებლობაში დარწმუნებული არ ხართ. ანადუღარი წყალი ვარგისია 24 საათის განმავლობაში;

*სასურველია, წყლის გამწმენდი სხვადასხვა ტიპის საოჯახო ფილტრების გამოყენება; უსაფრთხოა ცენტრალიზებული წყალსადენის წყალი, რომელიც იფილტრება და ქლორით დეზინფიცირდება;

*ცხოველური წარმოშობის საკვები, განსაკუთრებით, ფრინველის, ღორისა და საქონლის ხორცი, თევზი, კვერცხი ძალიან კარგად უნდა შეიწვას ან მოიხარშოს.

*მომზადებული კერძი, სასურველია, მიიღოთ ჯერ კიდევ ცხელი ან მზა კერძი ჭამის წინ კარგად გააცხელოთ.

*უმი და მზა პროდუქტისთვის აუცილებელია მოიხმაროთ (ცალ-ცალკე ხორცის, თევზისა და ბოსტნეულისთვის) იზოლირებული დასამუშავებელი დაფები;

*არ ჭამოთ უმი, ნახევრად მოხარშული ან შემწვარი კვერცხი, აგრეთვე, გოგლიმოგლი ან სახლში დამზადებული ნაყინი.

*არ დალიოთ აუდუღარი რძე;

*სასურველია, ზაფხულის პერიოდში უარს თქვათ მოხარშული და ათქვეფილი ნაღებით დამზადებულ ტორტებსა და კრემიან ნამცხვრებზე, ანდა მათი მომზადებისას გამოიყენოთ მხოლოდ დაუზიანებელი და სუფთანაჭუჭიანი კვერცხი, ხარისხიანი კარაქი. დამზადებული პროდუქტი მოათავსეთ მაცივარში 2 საათის განმავლობაში არა უმეტეს 8 გრადუს ტემპერატურაზე;

*არ შეიძინოთ ხორცი და ხორცის პროდუქტები, რომლებიც იყიდება ან ინახება არასათანადო პირობებში.

დაუშვებელია თვითმკურნალობა, არასწორად ჩატარებული მკურნალობა ხელს უწყობს ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბებას.

მოერიდეთ სოკოს შეგროვებას. გახსოვდეთ, რომ საკვებად ვარგისი სოკოებიც იწვევს მოშხამვას, განსაკუთრებით, ცხელი ამინდების შემდეგ. სოკოს დაბერების ან დაჭიანების შემთხვევაში დროთა განმავლობაში გროვდება ტოქსინები.

**მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, კვლავ მოგმართავთ სოკოს მოყვარულებს, გამოიჩინეთ განსაკუთრებული სიფრთხილე და დაიცავით შემდეგი წესები:**

შეაგროვეთ ტყეში მხოლოდ ის სოკო, რომლის შესახებ ზუსტად იცით, რომ ვარგისია საჭმელად;

საეჭვო სოკოს ნუ გამოიყენებთ საკვებად და ნუ გაუსინჯავთ გემოს;

არასოდეს შეაგროვოთ და საკვებად არ გამოიყენოთ გადამწიფებული, ჭიანი და გაფუჭებული სოკო;

ნუ გამოიყენებთ საკვებად უმ სოკოს;

არ შეიძლება სოკოს შეგროვება ქუჩებთან და ტრასებთან ახლოს, რადგან ასეთ პირობებში სოკოში აკუმულირდება მძიმე მეტალები;

სასურველია, სოკო მომზადდეს იმავე დღეს.

**გავრცელებული თვალსაზრის სოკოს შხამიანობის გარკვევისა — ვერცხლის კოვზის, ხახვისა და ნიორის სოკოსთან ხარშვისას გაშავება — მცდარია.**

ზაფხულში მატულობს სხვადასხვა ცხოველის (განსაკუთრებით, ძაღლების) მიერ ადამიანის დაკბენა-დაკაწვრა-დადორბვლის შემთხვევები. **ცოფის თავიდან ასაცილებლად** აუცილებელია საკუთარი და მიკედლებული ცხოველების ცოფზე აცრა, მოხეტიალე ცხოველების პოპულაციის რეგულირება. **ცხოველის მიერ დაკბენა-დაკაწვრა-დადორბვლის შემთხვევაში მიმართეთ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის აუცილებლობის საკითხის გადასაწყვეტად.**

**ზაფხულის პერიოდში აქტიურდებიან გველები.** გველის კბენისგან თავის დაცვის მიზნით, იმ ტერიტორიებზე, სადაც ცნობილია მათი გავრცელება, იარეთ მაღალყელიანი და სქელლანჩიანი ფეხსაცმლით. **გველის დაკბენის შემთხვევაში ეცადეთ, დაიხსომოთ გველის ფერი (ეს დაეხმარება ექიმებს სწორი ანტიდოტის შერჩევაში დაზარალებულის სამკურნალოდ), არ დაედევნოთ გველს და არ შეეცადოთ მის მოკვლას, არ დასეროთ დაკბენილი ადგილი და არ ეცადოთ შხამის გამოდევნას რაიმე მეთოდით, არ გამოიყენოთ ალკოჰოლი ან კოფეინის შემცველი სასმელები!** დაზარალებული მოათავსეთ მშვიდად, ეცადეთ, დაკბენის ადგილი გულზე უფრო ქვევით იყოს. დაკბენის ადგილი დაფარეთ სუფთა სახვევით და სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს ადეკვატური დახმარების მიღების მიზნით. **გახსოვდეთ! ყველა რაიონული ცენტრი მომარაგებულია გველის შხამის საწინააღმდეგო პრეპარატებით! რაიონის ცენტრში მდებარე საავადმყოფოებში შეძლებენ, აღმოგიჩინონ ადეკვატური დახმარება!**

**ბალახის ხმობის პერიოდში (ჩვეულებრივ, აგვისტოში) მატულობს ცხოველების ჯილეხით დაავადების ალბათობა და, შესაბამისად, ადამიანთა დასნეულების საფრთხეც.** აუცილებელია შინაური ცხოველების დროული აცრა ჯილეხის წინააღმდეგ. კატეგორიულად დაუშვებელია დაცემული ანდა ავადმყოფი ცხოველების დაკვლა-გატყავება. ჯილეხით დაავადების მაღალი რისკის ჯგუფი სწორედ ავადმყოფი ცხოველების დაკვლა-გატყავებაში მონაწილე პირებია.

შესაძლოა, ავადმყოფ ან მკვდარ ცხოველთან, ფრინველთან კონტაქტი საშიში იყოს ადამიანთათვის.

ცხოველის, ფრინველის დაავადების ან სიკვდილის შემთხვევაში მიმართეთ ვეტერინარს.

**იმუნიზაციით მართვადი ინფექციების შესახებ პროგნოზი,** რომელთა წინააღმდეგ არსებობს ეფექტიანი ვაქცინები და ქვეყანაში ტარდება იმუნიზაცია (დიფთერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, ყბაყურა, ჰეპატიტი B ბავშვებში), **კეთილსაიმედოა.**

**კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მშობლებს პოლიომიელიტის აცრების აუცილებლობას.**

**განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო მცირე წყალსატევებში ბანაობისას.**

მოსალოდნელია მენინგოკოკური (ბაქტერიული) ინფექციის ერთეული შემთხვევებიც.

**გარემოს ტემპერატურის მატების ფონზე იქმნება ხელსაყრელი პირობები ბევრი გადამდები დაავადების გავრცელების, მათ შორის, მალარიის გამომწვევის განვითარების ციკლის დამთავრებისთვის კოღოს (გადამტანის) ორგანიზმში, ასევე, ლეიშმანიოზის გადამტანის (ფლებოტომუსების) აქტიურობისთვის.** ამის გამო ინფექციის წყაროს (რეზერვუარის) არსებობის პირობებში მოსალოდნელია მალარიის (ქვეყანაში შემოტანის შემთხვევაში) ერთეული და ლეიშმანიოზის რამდენიმე შემთხვევა.

პროფილაქტიკისთვის აუცილებელია გადამტანებისგან თავის დაცვა განსაკუთრებით შებინდებისას, მაშინ, როცა გადამტანები აქტიურდებიან (ფანჯრების აბადვა, გრძელსახელოებიანი ტანსაცმელი, რეპელენტების (დამაფრთხობლები) წასმა ან შესხურება სხეულის ღია ადგილებზე. ანალოგიური წესები უნდა დაიცვათ ტკიპების საწინააღმდეგოდაც.

**ლელა სტურუა,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

## 31-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

სურ: გივი ბერიკაშვილი; მთაწმინდა; ენტონი ჰოპკინსი. 1. აი; 2. კუზი; 3. გოლგოთა; 4. ბეილი; 5. მეი; 6. ლიხტენშტეინი; 7. მეგ; 8. აშოტ; 9. ისუ; 10. კრუიზი; 11. კივილი; 12. მატადორი; 13. ლაინერი; 14. ხულო; 15. ტყე; 16. ეის; 17. ანტი; 18. ორმო; 19. კარიბჭე; 20. იან; 21. ტარო; 22. არ; 23. ვალერი; 24. ენოტი; 25. ოსმალეთი; 26. ლავა; 27. ათაბეგი; 28. დიდიე; 29. ბარონი; 30. ტანკა; 31. უმი; 32. ტერარიუმი; 33. პოლო; 34. პიკი; 35. აბო; 36. ნაკადი; 37. სირ; 38. კანი; 39. ლორაკი; 40. იდიში; 41. კიი; 42. ლეღვი; 43 არე; 44. ღიმილი; 45. ელეგია; 46. კანადა; 47. ცედრა; 48. რა; 49. რობინ; 50. აგორა; 51. ბეი; 52. ბეთანია; 53. როი; 54. პაი; 55. თაბორი; 56. ერი; 57. იორდანე; 58. ანაკლია; 59. არია; 60. რაპირა.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 8 | 5 | 7 | 1 | 4 | 3 | 2 |
| 1 | 5 | 4 | 8 | 3 | 2 | 7 | 6 | 9 |
| 3 | 7 | 2 | 6 | 4 | 9 | 1 | 8 | 5 |
| 2 | 8 | 1 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 4 | 9 | 7 | 3 | 5 | 8 | 2 | 1 | 6 |
| 6 | 3 | 5 | 1 | 2 | 4 | 9 | 7 | 8 |
| 8 | 4 | 9 | 2 | 6 | 7 | 3 | 5 | 1 |
| 5 | 2 | 6 | 4 | 1 | 3 | 8 | 9 | 7 |
| 7 | 1 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 | 2 | 4 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 4 | 7 | 9 | 3 | 8 | 6 | 2 |
| 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 4 | 3 | 2 | 6 | 1 | 9 | 7 | 5 | 8 |
| 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 6 |
| 8 | 6 | 5 | 3 | 2 | 7 | 4 | 1 | 9 |
| 9 | 5 | 8 | 2 | 7 | 1 | 6 | 4 | 3 |
| 7 | 2 | 3 | 4 | 6 | 5 | 9 | 8 | 1 |
| 6 | 4 | 1 | 9 | 3 | 8 | 2 | 7 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 4 | 3 | 9 | 8 | 2 | 1 | 7 |
| 3 | 2 | 1 | 5 | 4 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 9 | 8 | 7 | 2 | 1 | 6 | 3 | 5 | 4 |
| 1 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 | 6 | 9 | 8 |
| 6 | 7 | 9 | 4 | 8 | 1 | 5 | 3 | 2 |
| 2 | 5 | 8 | 9 | 6 | 3 | 4 | 7 | 1 |
| 7 | 3 | 6 | 1 | 2 | 9 | 8 | 4 | 5 |
| 8 | 9 | 5 | 6 | 7 | 4 | 1 | 2 | 3 |
| 4 | 1 | 2 | 8 | 3 | 5 | 7 | 6 | 9 |

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვევენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894